

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

ქეთევან დავითაძე

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციები

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი

დისერტაცია

სპეციალობა-ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:

სრული პროფესორი: *რამაზ ხალვაში*

ბათუმი

2018

შინაარსი

შესავალი	3
თავი I „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შემადგენლობა და სტრუქტურა	7
თავი II ლეონტი მროველი „ნინოს ცხოვრება“	33
თავი III არსენ იყალთოელი „ნინოს ცხოვრება“	51
თავი IV ნიკოლოზ გულაბერისძე „საკითხავი“	69
თავი V ნინოს ცხოვრების პერიფრაზი და სვინაქსარული რედაქციები	96
ძირითადი დასკვნები	120
გამოყენებული ლიტერატურა	122

შესავალი

კვლევის საგანი და თემის აქტუალობა. ქრისტიანობამწარუშლელი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში. ის გახდა მრავალი ისტორიული მოვლენის ათუფაქტის საფუძველი.

ამრელიგიამ დამისგანწამოს უღმა იდეოლოგია მგანსაზღვრა ბევრი ქვეყნისათუხალხის მთავალი და პოლიტიკური ცხოვრების წესი; მათ შორის არის – საქართველო და ქართველი ხალხი.

ახ.წ. IV საუკუნე კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დროითი მოწვევაა. განკაცებული ღვთისჯვარცმად დგომის შემდეგ, სულთმოფენობის დღესფუძე ჩაყრილმა ქრისტიანულმარელიგიამ, თავისი ისტორიის სამსაუკუნოვან პერიოდში, მრავალი ტანჯვა-წამება, დევნა და დამცირება გადაიტანა. ახ.წ. IV საუკუნიდან, კაცობრიობის ისტორიაში ისახალი ეტაპი იწყება, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნებში – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებაჰქვია.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა, რომელმაც IV საუკუნის 20-იან წლებში ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიადად იარა და ეს ფაქტი უპირობოდ უკავშირდება ქართველთა განმანათლებლის – წმინდა ნინოს სახელს.

საქართველოს ეკლესია სამოციქულოა, რადგან ჩვენში ქრისტიანობა მოციქულებმა გაავრცელეს. მოციქულთა ქადაგება ავტოკეფალიის ერთ-ერთი მთავარი საფუძველია. ქართლში (იბერიაში)¹ ქრისტიანობას სახელმწიფო რელიგიად მიიჩნევენ დროს გამოცხადდა. საქართველოს ეკლესია იერარქიულად ანტიოქიის ეკლესიას დაექვემდებარა და დამოუკიდებლობა (ავტოკეფალია) მოგვიანებით, ვახტანგ გორგასლის დროს მიიღო, რაც დაადასტურა კონსტანტინეპოლის VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ (680წ.): „ბრძანეს ესრეთ წმიდისა ეკლესიისა საქართველოსათვის, რომელ არს წმიდა მცხეთა, რათა იყოს სწორ პატივითა ვითარცა სამოციქულო კათოლიკე ეკლესიანი“ (ქცა I : 232 ; გოილაძე 1991:189). გასარკვევია ერთისაკითხი, – თუკისა საქართველოში ქრისტიანობამ მოციქულებმა გაავრცელეს,

¹IV საუკუნეში, ისევე როგორც მოციქულთა დროს, ქართლი (იბერია) შავ ზღვამდე ვრცელდებოდა და მოიცავდა დასავლეთ საქართველოს (ეგრისს) და ჭოროხის აუზის ქართულ პროვინციებს, სადაც ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს სახარება იქადაგა.

რატომ გახდა აუცილებელი წმინდანინოს შემოსვლა?

ესკითხვა უძველეს დროშიცაა წახეზობდათ.

ჯერ კიდევ ეფრემ მცირეს, გარკვეული შეუსაბამობა შეუნიშნავს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. იგი შეეცადა აეხსნა, თურითიყო გამოწვეული ასეთი შეუსაბამობა. მისიაზრით, მოციქულების შემდეგ ხალხმა დაივიწყა ქრისტეს მოძღვრება და ისევ წარმართობისაკენ მიიქცა, ქვეყანა „მრავალჯამდაიპყრნა ლუარძლმანმეკერპეთამან“. ეფრემ მცირეს განმარტებით, ასეთ ფაქტს ადგილი თვით საბერძნეთშიც ჰქონია, „ვიდრე უამთამდემეორედ პავლე დზუცი ითწოდებულისადიდისაკონსტანტინესთა“.

სწორედ წმიდა კონსტანტინე იმპერატორის ხელშეწყობით, იმპერიის მასშტაბით ქრისტიანობას გასაქანი მიეცა. უფალმა – ეფრემ მცირეს აღნიშვნით – „არცა ჩუენმცირენი და გვტევნა ულუაწად, არამედ სრეთგანაგოკუა-

ლა და ღმერთებამ ჩუენი“ და ჩვენთან ხელახლასაქადაგებლად გამოგზავნა წმინდანინო.

წმინდანინოს დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ მისი ქართლში შემოსვლის დროს ქრისტიანობას ხელმწიფოს არწმუნობა დგამოცხადდა.

მისი ქადაგების შედეგად სამეფო კარის წევრებთან ერთად მთელი ერი მოექცა ხალხს არწმუნობაზე. ამის გამო ითვლება იგი ქართველთა განმანათლებლად დამოციქულთა სწორად.

ყურადღებამ უნდა გამოახვილდეს იმ ფაქტზეც, რომ ქართველთა განმანათლებელი ქალია. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ეს ერთადერთი შემთხვევაა მსოფლიოს ქრისტიანული ქვეყნების ისტორიაში. ამ ფაქტის შესახებ ცნობილი ქართველოლოგი ბერნარდ უტიე აღნიშნავს: „ნამდვილად შეუდარებელი არის საქართველოში იმ ტომი, რომელიც ეწინააღმდეგება არწმუნობაში, თქვენი განმანათლებელი, თქვენი მოციქული-

ქალია, წმინდანინო; რამდენადაც ვიცით, ეს მსოფლიოს ისტორიაში მხოლოდ ერთხელ მოხდა ადამიანთა თქვენი, ქართველებთან“.

აღნიშნულ ფაქტს ჯერ კიდევ XII საუკუნის II ნახევარში მოღვაწევათა ლიკოსპატრიარქ მანიკოლოზ ბერის ძეგმ (1150-1177) მიაქცია ყურადღება. იგი ცდილობს, გასცეს პასუხი კითხვას: „...ხოლო პირველად ესე საძიებელი არს, თურა ისთ-

ვისუკუედედააკაციაჩინადაწარმოავლინაღმერთმანჩუენდამიმართ“. ნიკოლოზგულა
ბერისძემდე, როგორცმკვლევარიკორნელიკეკელიძეაღნიშნავს,
არავისმოსვლიააზრად,
პასუხიგაეცაკითხვაზე: „რატომირჩიაღმერთმაქალიამიზნისგანსახორციელებლად
აარამამაკაცი?“ თავისდროზეთავადნიკოლოზგულაბერის-
ძემგასცაპასუხიდასმულკითხვას. ნიკოლოზგულაბერისძისმიხედვით, ერთ-
ერთიფაქტორი, რამაცგანაპირობაწმიდანინოსმიერქართლისმოქცევა,
იყოსაქართველოსღვთისმშობლისწილხვედრობა.
ღვთისმშობელსთავადსურდაამქვეყნისმოქცევა,
მაგრამმაცხოვარმამისმაგივრადსაქართველოსმოსაქცევადმოცი-
ქულთასწორიწმიდანინომოავლინა.
თავისთავადსაქართველოსგანმანათლებლადმოსულიღირსიდედამალეთავადშეირაც
ხა, „ქართლისმაცხოვრად“ „დედადქართველთათემისად“.
ქართველთაგანმანათლებელიწმიდანინოსადმიმიძღვნილიწერილობითიწყაროებიმრ
ავალმხრივიდამრავალფეროვანია. მათიმრავალმხრივობაიმიტაგანპირობებული,
რომქართულიწერილობითიწყაროებისგარდა,
მისშესახებცნობებიდაცულიაადრეულიხანისუცხოურწერილობითიწყაროებში.
თავისმხრივ, ქართულიწყაროებისმრავალფეროვნებაიმაშიგამოიხატება,
რომჩვენამდემოაღწიაქართველიგანმანათლებლისადმიმიძღვნილმაჰაგიოგრაფიული
თხზულებისრამდენიმერედაქციამ, რომელიცსხვადასხვასაუკუნითთარიღდება.

ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის მიზანია: ქართველთა განმანათლებელი
ქალწულის – წმიდა ნინოს ღვაწლის წარმოჩენა, რომელიც აქტუალურ საკითხს წარ-
მოადგენდა ქართული ჰაგიოგრაფიის მთელი ისტორიის მანძილზე. ყოველი ახალი
ეპოქა ახლებურად გადაიაზრებდა წმიდა ნინოს ღვაწლს, იქმნებოდა „ნინოს ცხოვ-
რების“ ახალ-ახალი რედაქციები, რომლებიც თავისებურად პასუხობდნენ სხვადასხვა
ეპოქის მოთხოვნილებებს. კვლევის მიზანია „ნინოს ცხოვრებაში“ ძირითადი
ციკლების გამოკვეთა და ამ ციკლებში შეტანილი სხვადასხვა რედაქციული ცვლი-
ლებების ანალიზი.

საკითხის აქტუალობა, სიახლე და მნიშვნელობა: დიდისაღბათობითმეგვიძლიაგამოვთქვათმოსაზრება,

რომჩვენინაპრები, თავიდანვეგაანალიზებდნენრაქრისტიანობისმნიშვნელობას, იმთავითვექმნიდნენკიდევსეთიისტორიულისახისთხზულებებს,

რომლებშიცსათანადოდიქნებოდააღწერილი–

საქართველოშიქრისტიანობისსახელმწიფორელიგიადგამოცხადებისზუსტიდრო-

ჟამისამსახველიმოვლენები. დროთაცვლისშედეგად,სამწუხაროდ,

წყაროთაუმრავლესობამჩვენამდევერმოაღწია.

დღეისათვისჩვენსხელთარსებულწყაროთადიინაწილი,

ანგადამწერთამიერასახეცვლილი, ან–სხვადასხვამიზეზთაგამონაკლულოვანია,

რაცმკვლევართაშორისამათუიმწყაროსარაერთგვაროვანაღქმასგანაპირობებს.

სადოქტორო ნაშრომში ჰიმნოგრაფიული სისრულით წარმოჩნდა წმიდა ნინოს ცხოვრების თითოეული რედაქციის თავისებურება. სადისერტაციო ნაშრომს მეცნიერულ ღირებულებასთან ერთად ექნება პედაგოგიური დანიშნულებაც, იგი გამოადგება ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებს.

კვლევის მეთოდოლოგია - ეფუძნებაშედარებითი კვლევის მეთოდს, რომელიც ადგენს მხატვრული ტექსტის მიმართებას, სხვა კულტურულ კონტექსტში ჩართულ მხატვრულ ტექსტებთან. ამ მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა „წმ. ნინოს ცხოვრების“ რედაქციათა თავისებურებები გაგვეანალიზებინა ტექსტების შეპირისპირების შედარების, შეპირისპირებისა და განზოგადების გზით.

სხვადასხვა ტექსტის რედაქციული თავისებურებების ანალიზის დროს ვიყენებთ, აგრეთვე, ინტერტექსტურობის თეორიას, ხოლო ჰაგიოგრაფიული ტექსტების ცალკეული რეალიების განმარტების დროს – ჰერმენევტული კვლევის მეთოდს.

ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა:წინამდებარე ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა განპირობებულია დასახული მიზნებითა და ამოცანებით.

ნაშრომი შედგება:

1.შესავალი

2.„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – შემადგენლობა და სტრუქტურა

3. ლეონტი მროველი– „ნინოს ცხოვრება“

4.არსენ იყალთოელი–„ნინოს ცხოვრება“

5.ნიკოლოზ გულაბერისძე – „საკითხავი“

6.ნინოს ცხოვრების პერიფრაზი და სვინაქსარული რედაქციები

ნაშრომს თან ერთვის გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის სია.

თავი I

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სშემადგენლობა და სტრუქტურა

უძველესი ქართული საისტორიო წყარო, რომელმაც ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს ცხოვრება შემოგვინახა, ცნობილია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სახელით. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი ნაწილისაგან შედგება: პირველია „ქრონიკა“, რომელშიც ქრონიკების სახით მოთხრობილია ქართლის ისტორია ძველი წელთაღრიცხვით IV საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვით IX საუკუნემდე. აღნიშნულ ქრონიკაში ნინოს მოღვაწეობას მცირე ადგილი აქვს დათმობილი, რის გამოც, მას „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციას უწოდებენ.

„მოქცევაჲს“ მეორე ნაწილში გადმოცემულია „ნინოს ცხოვრება“ უფრო სრული სახით. ამიტომ, იგი ვრცელი რედაქციის სახელითაა ცნობილი. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ მოკლე და ვრცელი რედაქციები ერთმანეთისაგან მცირედ განსხვავდებიან. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მჩვენამდე ოთხი ხელნაწერის სახით მოაღწია. აქედან შატბერდული (იგი სამხრეთ საქართველოში არსებულ შატბერდის მონასტერში გადაიწერა) და ორი სინური (სინას მთაზე გადაწერილი) რედაქცია X საუკუნისაა, ხოლო ჭელიშური (იგი ჭელიშის მონასტრის კუთვნილება იყო) XIV საუკუნით თარიღდება. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შემოთ აღნიშნული ხელნაწერები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რედაქციებს წარმოადგენს.

როგორც ვხედავთ, ქართველთა განმანათლებელისადმი მიძღვნილი თხზულების უძველესი ხელნაწერი X საუკუნით თარიღდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ წმიდა ნინოსადმი მიძღვნილი თხზულება ამ დროს დაიწერა, იგი ადრე უნდა შექმნილიყო. კარგა ხნის მანძილზე ქართულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია. დღესაც მეცნიერთა დიდი ნაწილი ამ მოსაზრებას იზიარებს. თავიანთი შეხედულების დასამტკიცებლად მათ მოაქვთ ის ფაქტი, რომ „მოქცევაჲს“ ქრონიკაში თხრობა IX საუკუნით მთავრდება, და, აქედან გამომდინარე, წმიდანის ცხოვრებასაც ამ საუკუნით ათარიღებენ. უკანასკნელ პერიოდში ჩატარებულმა ტექსტოლოგიურმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ დაწერილია არა IX საუკუნეში, როგორც აქამდე მიაჩნდათ, არამედ წმიდა ნინოს მოღვაწეობის დროს, რაც, ჩვენი აზრით, რეალობასთან უფრო

ახლოს დგას. თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, ავთენტურ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, რადგან „წმინდა ნინოს ცხოვრებას“ მნიშვნელოვანი ცვლილება განუცდია.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ აღმოჩენა-გამოქვეყნების დღიდანვე მოექცა ფართო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მის აღმოჩენას თავისდროზე დიდი კულტურული-ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. იგისწორედ მაშინ გამოჩნდა, როდესაც „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს ზოგი კავკასიოლოგი უსაფუძვლოდ XII საუკუნეში შეთხზულს ეგონებოდა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შედგება ერთი სათაურის ქვეშე გაერთიანებული ორი თხზულებისაგან.

I ნაწილში, რომელსაც „ქრონიკას“ უწოდებენ, მოკლედ არის გადმოცემული ქართლის ისტორია ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობიდან IX საუკუნემდე;

II ნაწილი, რომლის სახელია **„ნინოს ცხოვრება“**, მხოლოდ ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოს არწმუნობა და გამოცხადების ისტორიას გადმოგვცემს. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობა იმის თაობაზე – **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“** ერთი მთლიანი თხზულება ან თუ შედგება სხვადასხვა ავტორის მიერ სხვადასხვად როს დაწერილი ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ნაწარმოებისაგან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ოთხი ცნობილი რედაქციიდან – ორი, XIX-XX საუკუნეების გასაყარზე (შატბერდული და ჭელიშური – ავტ.), ხოლო ორი (სინ 48 და 50 – ავტ.) კი XX საუკუნის მიწურულს იქნა აღმოჩენილი (სალუაშვილი 2010: 1-3). 1888 წ. ნ. მარის მიერ აღწერილ ხელნაწერთა შორის აღმოჩენილია მის მიერვე N 1141 დანომრილი ტექსტი, 1890 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა დაბეჭდა პირველად და მას შატბერდის კრებული უწოდა, რომელიც საბოლოოდ X საუკუნის 70-იან წლებში შესრულებულად იქნა მიჩნეული.

1903 წელს კი არქიმანდრიტ ამბროსი ხელაიას მიერ აღმოჩენილ ჭელიშურ ხელნაწერად სახელდებულ კრებულში შემავალი **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს ტექსტი XIV-XV საუკუნეებით უნდა იყოს შესრულებული.

XX საუკუნის 90-იან წლებში სინას მთაზე ზ. ალექსიძის მიერ აღმოჩენილი **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“**-ს ორი ხელნაწერი: სინ-48 და სინ-50 ტექსტი, პირველად, მის

მიერვე 2007 წელს იქნა გამოცემული, და, შესაბამისად, IX-X საუკუნეების გასაყარზე შესრულებულად იქნა მიჩნეული.

ჯერ კიდევ 1910 წელს ექვთიმე თაყაიშვილმა გამოაქვეყნა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული და ჭელიშური ვარიანტები ერთად.

მოგვიანებით, კერძოდ კი 1963 წელს, ილ. აბულაძემ პირველად გამოაქვეყნა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს შატბერდული და ჭელიშური ხელნაწერების ერთმანეთის პარალელური ტექსტი, ხოლო 2010 წელს დღის სინათლე იხილა – სინური (48 და 50), შატბერდული და ჭელიშური ხელნაწერების ურთიერთპარალელური ტექსტების კრებულმა.

ბუნებრივია, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს თავდაპირველად შექმნილი ძეგლის არარსებობა, ხელს უშლის დღეისათვის ცნობილი ოთხი ხელნაწერის დედანთან მსგავსების ხარისხის დადგენას. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ, მიუხედავად არაერთი თაობის მეცნიერთა კვლევა-ძიებისა, დღემდე ვერ ხერხდება ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბება არა მარტო იმაზე, თუ როდის დაიწერა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს სახელით ცნობილი ძეგლის დედანი, არამედ ბოლომდე გაურკვეველია, თუ როგორი თანამიმდევრობით იწერებოდა მასში შემავალი ცალკეული თავები.

დღეისათვის ცნობილ ხელნაწერთა დათარიღება საშუალებას იძლევა გამოკვეთილად დადგინდეს განსახილველი ძეგლის შექმნის მხოლოდ ზედა მიჯნა, რაც სინ-50-ის მიხედვით IX-X საუკუნეების გასაყარზე მოდის.

თავისთავად ცხადია ისიც, რომ ქართლის სამეფოში ქრისტიანობის სახელმწიფო დონეზე დამკვიდრების ისტორიის აღმწერი „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“, ვერ დაიწერებოდა IV საუკუნის 20-იან წლებზე უფრო ადრე, რადგან, სავარაუდოდ, სწორედ დროის ამ მონაკვეთში მოხდა ქართლის სამეფო კარის ქრისტეს რჯულზე მოქცევა.

ამდენად, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს თავდაპირველი ვარიანტი, თითქოსდა: IV საუკუნის I ნახევარსა და IX-X საუკუნეთა მიჯნას შორის არსებულ დროში დაწერილად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა, ასეთი მსჯელობაც არ შეიძლება მართებული იყოს. საქმე ისაა, რომ, როგორც ცნობილია, „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“ შედგება ორი პირობითი ნაწილისაგან – „**ქრონიკები**“ და „**წმიდანინოს ცხოვრება**“. ძეგლის მთლიანობაში საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, – სხვადასხვა დროს უნდა იყოს დაწერილი არა მარტო

მეგლის ორივე ნაწილი, არამედ სხვადასხვა წლების რედაქტირების კვალი იკითხება თითოეული ამ ნაწილის ცალკეულ ტექსტსა თუ შემადგენელ მონაკვეთებში. გარდა ამისა, ვერც იმაზე შეიქმნა ერთიანი აზრი, თუ როდის უნდა მომხდარიყო ამ ორი ნაწილის გაერთიანება. და ეს მაშინ, როდესაც მეცნიერთა ერთ ჯგუფს „მოქცევა ქართლისაჲ“, საერთოდ ერთიან თხზულებად მიაჩნიათ. როგორც ვხედავთ, აზრთა სხვადასხვაობა სახეზეა. საინტერესოა, თუ როდის და ვის მიერ არის შედგენილი, როგორც მეგლში შემავალი თითოეული მონაკვეთი, ასევე „მოქცევა ქართლისაჲ“-ს მთლიანი ტექსტი.

„მოქცევა ქართლისაჲ“-ს დღეისათვის ცნობილი ოთხი ხელნაწერიდან, „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ე.წ. ვრცელი რედაქცია მხოლოდ სამ მათგანშია წარმოდგენილი. ამასთან, ...ვრცელ „ნინოს ცხოვრებაში“, როგორც წესი, ყველა ფაქტს თავისი მხილველი და მთხრობელი ჰყავს. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს შესავალი, რომლითაც იხსნება კრებული. აქ აღწერილი მოვლენების გადმომცემი პიროვნება დასახელებული არ არის... (ჩხარტიშვილი 1987:149).

აქვე უნდა ითქვას, რომ სამივე რედაქციაში წარმოდგენილი ზოგადი თხრობის ერთიდაიგივეობის მიუხედავად, მათში აღწერილი ამბები სხვადასხვა თანამიმდევრობითაა გადმოცემული. ამ თვალთახედვით, თხზულებაში დაცული ზოგადი სურათი ასეთია:

კონკრეტული თავების ავტორები, სამივე ხელნაწერის მიხედვით, გახლავთ:

–**სინური ხელნაწერის მიხედვით:** სიდონია (თავი: ე, ვ, ზ) აბიათარ მღვდელი (თავი ა), იაკობ მღვდელი (თავის მითითების გარეშე) და მირიან მეფე (თავი ი, და თავის მითითების გარეშე წარმოდგენილი ანდერძი);

–**შატბერდული ხელნაწერის მიხედვით:** სალომე უჯარმელი (თავი: გ, დ და ვ); სიდონია (თავი: ზ, თ, ია), აბიათარ მღვდელი (თავი იბ); იაკობი (თავი იგ და იე, რომლის თანაავტორად მირიან მეფეა გამოყვანილი); მირიან მეფე (თავი იე, რომლის თანაავტორიც – იაკობია, და ბოლოში დართული ანდერძი);

–**ჭელიშური ხელნაწერის მიხედვით:** სიდონია (თავი: ე, ი, ზ,), აბიათარ მღვდელი (თავი ა), იაკობი და იოანე (თავი ია) და მირიან მეფე (თავი ი, და ხელნაწერის ბოლოში დართული ანდერძი).

აქედან გამომდინარე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ე.წ. II ნაწილი – „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციამთლიანობაში თოთხმეტი თავისაგანაა შემდგარი, იგისამი პირობითი ნაწილისაგან შედგება, ესენია:

- 1) შესავალი (ავტორის მითითების გარეშე);
- 2) თავები, რომელთა ავტორების დადგენაც შესაძლებელია;
- 3) ავტორის გარეშე წარმოდგენლი თავი, რომელიც მხოლოდ შატბერდულ კრებულშია დაცული.

ჩვენამდე მოღწეული ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლის თავდაპირველი რედაქციის შექმნის სავარაუდო დრომეცნიერთა შორის დღესაც საკამათოა. აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში, შესაბამის არგუმენტებზე დაყრდნობით, გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. განსახილველი ძეგლის შექმნის ქვედა მიჯნა თავისთავად უკავშირდება ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ზოგადად, ქართლის სამეფოს გაქრისტიანების თარიღი: IV საუკუნის I ნახევარშია საძიებელი; უფრო ზუსტად კი, ჩვენის აზრით, აღნიშნული თარიღი IV საუკუნის 20-იან წლებზე უნდამოდიოდეს. შესაბამისად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველი რედაქციის შექმნის ქვედა მიჯნა სწორედაც, რომ IV საუკუნის I ნახევრის სიახლოვესაა სავარაუდებელი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ I ნაწილში ე.წ. „ქრონიკებში“, ისტორიულ ამბავთა თხრობა IX საუკუნის ჩათვლითაა გადმოცემული. მეორეს მხრივ, განსახილველი თხზულების დღეისათვის ცნობილი 4 რედაქციიდან უძველესად სინ-50 ხელნაწერია მიჩნეული, რომელიც სავარაუდოდ IX-X საუკუნეების გასაყარზეა შექმნილი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ძნელი აღარაა ვივარაუდოთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შექმნის ზედა ზღვარი სწორედაც რომ: IX საუკუნეზე მოდის.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-მ, გამოქვეყნებისთანავე (1888-1890 წწ.), მეცნიერთა შორის დიდი დაინტერესება ჰპოვა. ყველასათვის ნათელი გახდა, რომ სახეზე იყო ძეგლის არა თავდაპირველი, არამედ მოგვიანებით რედაქტირებული ვარიანტი. დაიწყო მსჯელობა, თუ როდის შეიძლება შედგენილიყო „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველი რედაქცია.

ყველაზე გვიანდელი თარიღი, რომელიც გამოთქმულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველი რედაქციის შექმნის თაობაზე, ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. მისი დაკვირვებით, განსახილველი თხზულება, IX საუკუნეში შექმნილი ძეგლია და ამის დასადასტურებლად თავად ტექსტში არსებულ ერთ კონკრეტულ მინიშნებას იმოწმებს – „...ეს მატთანე შეუძლებელია IX საუკუნეზე უწინარეს იყოს შედგენილი იმიტომ, რომ როგორც პროფ. ბოლოტოვმა სამართლიანად აღნიშნა, იქ ერთი მსხვილი ქრონოლოგიური შეცდომა მოიპოვება და სასანელთა მეფეების დედაქალაქად ბაღდადი დასახელებული... რომელიც იმ დროს ჯერ არ არსებობდა, რადგან მის აგებას მხოლოდ 762 წელს შეუდგნენ... ეს გარემოება მემატთანეს აღარ სცოდნია, ხოლო მას რომ თუნდ VIII საუკუნეში ეცხოვრა, უნდა სცოდნოდა, როდის ააგეს ქალაქი ბაღდადი, როგორც ეს იცოდა, მაგალითად, იოანე საბანის ძემ... ამის გამო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანე IX საუკუნეშია შედგენილი... (ჯავახიშვილი 1977:114).

თავის დროზე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველი ვარიანტის IX საუკუნეში შექმნის ვერსია გაიზიარა კ.კეკელიძემაც, რომელსაც თავისი მოსაზრების გასამყარებლად საკმაო რაოდენობის არგუმენტაცია მოჰყავს – „...როდისაა დაწერილი ეს თხზულება? მხედველობაში გვაქვს მთლიანი თხზულების, კრებულის, შედგენის დრო და არა შემადგენელი მისი ნაწილებისა, რომელთაგან, შეიძლება ზოგიერთი მართლაც შედარებით ძველი იყოს. ამ მხრივ ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგ გარემოებას: 1) თხზულებაში დასახელებულია ქალაქი ბაღდადი, როგორც დედაქალაქი სასანიანთა მეფეებისა, ბაღდადი კი, ჩვენ ვიცით, აგებულია 762 წელს; 2) სია მეფეებისთავეებისა მოყვანილია აშოტ კურაპალატის (გარდ. 836 წ.) და მისი შვილის გუარამის (გარდ. 882 წ.) დრომდე, ესე იგი IX საუკუნის II ნახევრამდე; 3) თხზულებებში გვხვდება მთელი წინადადება ახალ სპარსულ ენაზე, რომელსაც IX საუკუნის II ნახევარზე ადრე ადგილი ვერ ექნებოდა; 4) თხრობა აღმართებისათვის პატიოსნისა ჯვარისა და კირილე იერუსალიმელის ეპისტოლე, რომლებითაც ავტორს უსარგებლია, ქართულ მწერლობაში შემოსული უნდა იყოს არაუადრეს VIII საუკუნის გასვლის ან IX საუკუნის დამდეგისა, ვინაიდან პირველად ისინი გვხვდება ჩვენ სინას მთაზე დაცულ 864 წლის „მრავალთავეში“, მაშასადამე, ამაზე ადრე ეს კრებული ვერ დაიწერებოდა; 5) თხზულების მიზანია, როგორც აღვნიშნეთ, დაამტკი-

ცოს, რომ ქართველებს თავისი საკუთარი განმანათლებელი ჰყავს, რომელიც სომხის მისიონერებისაგან, კერძოდ, გრიგოლ განმანათლებლისაგან სრულიად დამოუკიდებელია... **6)** თხზულებაში ჩანს წმიდა გიორგის კულტი, რომელიც განმტკიცდა ჩვენში არაუადრეს IX საუკუნის II ნახევრისა; **7)** აქ ნახმარია მარტის წელიწადი, რომელიც IX საუკუნის I ნახევარში შემოვიდა ჩვენში; **8)** თხზულებამ იცის პანოდორე ალექსანდრიელის წელთაღრიცხვა, რომელიც აგრეთვე IX საუკუნეში იდგამს ფეხს ჩვენში. ყოველივე ამ მოსაზრების გამო ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს კრებული შედგენილია არაუადრეს IX საუკუნისა, დაახლოებით მის უკანასკნელ მეოთხედში... (კეკელიძე 1980: 530-531).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ IX საუკუნეში შექმნის მოსაზრებას იზიარებს აგრეთვე ც. ქურციკიძეც (ქურციკიძე 1984:67).

აღნიშნულისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს პ. ინგოროყვა. მისი დაკვირვებით „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს მეორე ნაწილი – „წმიდა ნინოს ცხოვრების“ თავდაპირველი ვარიანტი VIII საუკუნეში უნდა იყოს შესრულებული (ინგოროყვა 1939:525).

თავად ძეგლის პირველად გამომქვეყნებელის ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, ის ფაქტი, რომ ქრონიკებში გაბმული თხრობა ქართლის სახელმწიფოებრიობის წარმოქმნიდან მოყოლებული – სტეფანოზ II ერისმთავრობამდე, ანუ VII საუკუნის II ნახევრამდე გრძელდება, და, რომ მის შემდეგ ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სიაა მოცემული, მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს თავდაპირველი შექმნის სავარაუდო დროა – VII საუკუნის II ნახევარი, და, რომ „ქრონიკების“ ბოლოს არსებული ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სია, მოგვიანებით IX საუკუნის უცნობი რედაქტორის მიერ უნდა იყოს მომატებული (თაყაიშვილი 1890: 44-48).

„ქრონიკების“ VII საუკუნის II ნახევარში შექმნის იდეას იზიარებდა პავლე ინგოროყვა (ინგოროყვა 1978:136).

საისტორიო თხზულებას VII საუკუნეში შექმნილად მიიჩნევდა მ. გოგოლაძე – „...ვფიქრობთ, ძეგლის შედგენის სავარაუდო დროს უფრო დაკონკრეტება შესაძლებელი ჩანს“. ავტორი საისტორიო თხრობას VII საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისით ამთავრებს. ვფიქრობთ, ეს შემთხვევითი არაა. ძეგლი რომ VII საუკუნის II ნახევარში დაწერილიყო, მისი ავტორი არაბთა შემოსევას ქართლში ჰაბიბ-იბნ-მასლას შემოსვ-

ლას 654 წელს, ქართლის დახარკვას და არაბთა ბატონობის დამყარებას ორიოდ სიტყვით მაინც აღნიშნავდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შედგენილი უნდა იყოს VII საუკუნის 40-იან წლებში, სახელდობრ, 642-643 წლებში, უფრო ზუსტად კი 642-654 წლებში, არაბთა მიერ ქართლის დაპყრობამდე (654 წ.) (გოგოლაძე 1998:46).

ზემოთქმულ მეცნიერთა შეხედულებისაგან განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამს სოლ. ყუბანეიშვილი. მისი აზრით, აღნიშნული თხზულების შექმნა უკავშირდება „პატიოსანი ჯვრის“ აღმართვის დღესასწაულის დადგენასა და ჯვრის ტაძრის აგებას, რომელიც სტეფანოზ I მეფობის დროს VI საუკუნის დასასრულსაა აგებული. შესაბამისად, თხზულებაც VI საუკუნეზე ადრე ვერ დაიწერებოდა (ყუბანეიშვილი 1945:313).

XX საუკუნის ბოლოს, საკითხის ახლებურად გააზრების გამო, ქართულ ისტორიოგრაფიაში, კვლავ წინა პლანზე წამოიწია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დათარიღებასთან დაკავშირებული საკითხები. გამოკვლევებით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს კულტურულ-ისტორიული ღირებულების მაღალი დონე, ეს კი გამოწვეულია არა მარტო იმით, რომ იგი ჩვენამდე მოღწეული ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლია, არამედ იმითაც, რომ, როგორც ახლად ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ქართლის გაქრისტიანების თანადროულად უნდა იყოს შექმნილი.

აღნიშნული საკითხის კვლევისადმი საგანგებო შრომა აქვს მიძღვნილი მ. ჩხარტიშვილს. იგი განიხილავს, რა მანამდე გამოთქმულ მოსაზრებებს, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის თავდაპირველად შექმნის თაობაზე, ბრძანებს:–„...ქართული წყაროების მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულების პირობებში „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის გვიანი საუკუნეებით დათარიღება ხდებოდა ფაქტებზე ძალდატანებით. როგორც მსჯელობებში ლოგიკური წრის შემცველნი, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის მტკიცებანი არ შეიძლება მივიღოთ არგუმენტად განსახილველი ძეგლის თარიღის გარკვევისას. დღეს, სპეციალისტთა ნაწილის მიერ, ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ გვიან ხანაში შექმნის შესახებ თვალსაზრისის გაზიარება ეყრდნობა მხოლოდ და მხოლოდ დასახელებულ მკვლევართა ავტორიტეტს და არა რაიმე მამტკიცებელ საბუთს... და იქვე, ავტორი ერთგვარად აჯამებს რა თავისი

გამოკვლევის ერთ ნაწილს, აღნიშნავს: – „...ამგვარად, არა გვაქვს არავითარი საფუძველი არ დავუჯეროთ თხზულებსვე მითითებას იმის შესახებ, რომ იგი IV საუკუნის ძეგლია“ (ჩხარტიშვილი 1987:153).

რაც შეეხება, მთლიანი ძეგლის VII საუკუნის II ნახევარში შექმნასთან დაკავშირებულ ვარაუდს, მ. ჩხარტიშვილის მოსაზრებით, – აღნიშნული თარიღი „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს არა შექმნის, არამედ მისი ერთ-ერთი რედაქტირების პერიოდი უნდა იყოს (ჩხარტიშვილი 1987:22).

ვ. გოილაძისეული დაკვირვებით: – „...ამ ბოლო ხანებში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია, ზემოდასახელებული საისტორიო თხზულებათა ძირითადი ფენები ქართლის მოქცევის თანადროულად მიიჩნიონ... მისივე მოსაზრებით „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს „ქრონიკა“ უშუალოდ მირიანის დროსაა შექმნილი და მისი მეფობისადმია მიძღვნილი (გოილაძე 1991:17).

რაც შეეხება „**წმიდა ნინოს ცხოვრებასა**“ და მის თავდაპირველად შექმნის სავარაუდო დროს, ვ. გოილაძე ბრძანებს: – „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-დან („ნინოს ცხოვრებიდან“) ზემოთ მოტანილი ცნობები, ვფიქრობ, აშკარად მიუთითებს: 1) ქართლში ნინოს მოღვაწეობისა და ქრისტიანობის გამარჯვების ამბავი, იმთავითვე ისეთ ცხოველ ინტერესს იწვევდა, რომ მაშინვე მომხდარა მისი წერილობითი ფიქსაცია (ასე რომ, IV საუკუნის I ნახევრის ქართლის სამეფოში უკვე არსებობდა თხრობათა ციკლი, რომელშიც ქართლის მოქცევის ამბები იყო გადმოცემული). 2) ქართლის მოქცევის შესახებ თხრობათა ციკლი ძირითადად მეფე მირიანისა და წმიდა ნინოს ირგვლივ იქმნებოდა. ამრიგად, საეჭვო არ ჩანს, რომ IV საუკუნეშივე არსებობდა თხრობათა ციკლი ქართლის მოქცევის შესახებ... (გოილაძე 1991: 25).

„**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს გაქრისტიანების თანადროულად შედგენილ ძეგლად მიიჩნევს ზ. ალექსიძე: – „...სავარაუდოა, რომ თავდაპირველად დაიწერა ქართლის ისტორია მირიან მეფის გარდაცვალებამდე და მას ეწოდებოდა „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“. მასში შედიოდა ქართლის სამეფოს შექმნის, მცხეთის შენების მშრალი ქრონიკა, წარმართ მეფეთა სია და ნინოს მიერ ქართლის გაქრისტიანების ვრცელი მოთხრობა. ასეთი სტრუქტურა ზუსტად ასახავს ტრადიციულ საეკლესიო ისტორიებისა და ქრონიკების მოდელს. შემდეგში „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს, როგორც ჩანს, დაემატა სხვა ნაწილებიც, ხოლო სათაური ძეგლი შერჩა. სულ ბოლო (IX საუკუნის 30-

იან წლები), მას უნდა დართვოდა ერისთავებისა და კათალიკოსების სია. ამასთან ერთად უნდა შექმნილიყო ის პროტორედაქცია, რომლიდანაც მომდინარეობს შატბერდული და ჭელიშური რედაქციები და რომელმაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სათაურით გააერთიანა „ქრონიკა“ და „ნინოს ცხოვრება“... (ალექსიძე 2007:150).

„წმიდა ნინოს ცხოვრება“ IV საუკუნის ძეგლად მიაჩნია რ. სირაძესაც: – „...ვფიქრობთ, რომ „ნინოს ცხოვრება“, უფრო ზუსტად, მისი ცალკეული ეპიზოდები, უნდა განეკუთვნებოდეს ქართული მწერლობის დასაწყის ხანას, კერძოდ IV საუკუნეს...“(სირაძე 1989:236). ამის ერთ-ერთ გამამყარებელ არგუმენტად კი მოჰყავს ის ფაქტი, რომ IV-V საუკუნეების ბერძენ-რომაელი ისტორიკოსების მონათხრობი ქართლის გაქრისტიანების ისტორიისა, თითქმის ზუსტად იმეორებს „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“ დაცულ მონაცემებს. – „...საქმე ისაა, რომ IV-V საუკუნეების ხუთი ბერძენ-რომაელი ისტორიკოსი, კლასიკური წარმომადგენლები საეკლესიო ისტორიისა, რომლებიც ახლოს იდგნენ ქართლის მოქცევის ეპოქასთან და პირველხარისხოვანი ცნობებით სარგებლობდნენ, ერთნაირად გადმოსცემენ ქართლის მოქცევის ამბებს და თანაც სწორედ ისე, როგორც „ნინოს ცხოვრებაში“. ესენია: გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერემია სოზომენე... (სირაძე 1989:237).

ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით, რ. სირაძე თავის კვლევაში დასკვნის სახით ბრძანებს: – „...რეკონსტრუირებული სახით წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს უძველეს ქართულ ნაწარმოებად, რომელიც შეიქმნა არაუგვიანეს IV საუკუნისა და რომლის ცნობები უკვე გამოყენებულია IV-V საუკუნეთა მიჯნაზე და V საუკუნის ბერძენ და სომეხ ავტორთა მიერ. წმიდა ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხავების შექმნა თითქმის ერთი საუკუნეს უნდა უსწრებდეს „შუშანიკის წამებას“... (სირაძე 1989:259).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ის თავდაპირველი ვარიანტის IV საუკუნეში შექმნას იზიარებენ: ივ. ლოლაშვილი (ლოლაშვილი 1984:439), გ. კუჭუხიძე (კუჭუხიძე 1999:129), გრ. გიორგაძე (გიორგაძე 1985:156), ს. გოგიტიძე (გოგიტიძე 1997:40).

როგორც ვხედავთ, ქართული ისტორიოგრაფიის უძველესი ძეგლის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს თავდაპირველი რედაქციის შექმნის დროსთან მიმართებაში, საკმაოდ ფართო– IV-IX საუკუნეთა არეალია გამოკვეთილი.

ერთ რამეში ყველა თანხმდება, რომ თხზულებას არაერთი რედაქციის კვალი ემჩნევა. ქართლის სამეფოს გაქრისტიანების დროთა სიახლოვეს შექმნილი ძეგლი, როგორც მინიმუმ ორჯერ: VII და IX საუკუნეებში ახალი მონაცემებით შეუვსიათ უცნობ რედაქტორებს – ქართლის სამეფოს გაქრისტიანებისეული თხრობის უცვლელად გადმოცემის პარალელურად ძეგლისათვის ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სია დაუმატებიათ. ამგვარი სახით „გასრულებული“ ძეგლი, თავის მხრივ, საფუძველი გამხდარა მის შემდგომად შექმნილი არაერთი საისტორიო თხზულებისა („ქართლის ცხოვრება“ და სხვა).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და **„ქრონიკები“**, სხვა მრავალ მნიშვნელოვან ინფორმაციათა შორის, შეიცავს მინიშნებებს ძეგლის ავტორის მიერ გამოყენებულ წყაროთა შესახებ. მათ შორის ყველაზე საყურადღებოა ცნობა გრიგოლ დიაკონის ავტორობით არსებული წყაროს თაობაზე: „...ვითარცა სწერია მცირესა მას მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა, გრიგოლი დიაკონისა მიერ აღწერილისა“... **(სალუსაშვილი 2010:16)**. ძეგლში დაცულმა ამ ცნობამ, თხზულების გამოქვეყნებისთანავე, მეცნიერთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ივ. ჯავახიშვილი შეეხო რა ამ საკითხს, ბრძანებს: – „...მასასადამე, ყოფილა „მცირე, მოკლედ აღწერილი წიგნი **„ქართლისა მოქცევისაჲ“**, რომლის ავტორადაც თურმე ვიდაც გრიგოლ დიაკონი ითვლებოდა. ახლა არც ამგვარი თხზულება, არც ამგვარი მემატიანე ცნობილი არ არის. წმინდა ნინოს შატბერდისეულსა და ჭელიშისეულს ცხოვრებაში თხრობა „მცხეთის პატოსნისა და ცხოველმყოფელის ჯვარის შესახებ“ თუმცა მოიპოვება, მაგრამ იგი სულ სხვაა, ამასთანავე იგი არის „აღწერილი იაკობ მღვდლისა და იოანე მთავარეპისკოპოსის“ მიერ... და არა გრიგოლ დიაკონის მიერ. როგორც ეტყობა, გრიგოლ დიაკონის შედგენილი „მცირე მოკლედ აღწერილი წიგნი **„ქართლისა მოქცევისაჲ“** შატბერდისეულ და ჭელიშისეულ ხელთნაწერებში შენახულ ვრცლად აღწერილ ქართლის მოქცევის წიგნის შემთხვევლს წყაროდ უნდა ჰქონოდა. ამიტომ გრიგოლ დიაკონის ნაწარმოები შატბერდისეულ მატიანეზე უძველესი ყოფილა... **(ჯავახიშვილი 1977:112-113)**.

გრიგოლ დიაკონის საკითხს საგანგებოდ შეეხო კ. კეკელიძე. ის გრიგოლ დიაკონს პირველ ქართველ ისტორიკოსად მიიჩნევს **(კეკელიძე 1960:127)**. განიხილავს რა მისი მოღვაწეობის სავარაუდო პერიოდსა და მის ნაშრომთან დაკავშირებულ

საკითხებს, ვ. კეკელიძე ბრძანებს: „...გრიგოლის შრომა „საკითხავია“ მცხეთის ჯვრის დღესასწაულისა (N144), რომელიც დადებულია „იერუსალიმის განჩინებაში“ ან კანონარში. როდესაც კანონარი ჩამოყალიბდა ქართულად და იმაში მცხეთის ჯვრის დღესასწაული შეიტანეს, საჭირო შეიქმნა „საკითხავიც“ ამ დღესასწაულისა, კანონარი კი დამუშავდა ქართულად არაუადრეს VIII საუკუნის ნახევრისა, ამისდა მიხედვით, გრიგოლის შრომა დაწერილი უნდა იყოს დაახლოებით VIII საუკუნის ნახევარში. მაშასადამე, გრიგოლიც ამ დროის მოღვაწედ უნდა ჩაითვალოს.

გრიგოლი ეკუთვნის იმ მწერალთა ჯგუფს, რომელნიც წარმომადგენელნი არიან წმინდა ეროვნული მიმართულებისა VIII-X საუკუნეთა ქართულ მწერლობაში. ეჭვი არ არის, შატბერდულ-ჭელიშური „ქართლის მოქცევის“ რედაქტორს თუ ავტორს გრიგოლის შრომიდან, მცხეთის ჯვრის აღმართვის გარდა, სხვა ცნობაც ექნება ნასესხები, მაგრამ დღესდღეობით იმაში ძნელია გამოყოფა იმისა, რაც გრიგოლს ეკუთვნის... (კეკელიძე 1960:128).

მისივე ვარაუდითა და დასკვნებით, გრიგოლ დიაკონის შრომის ფრაგმენტი დაცულია ჩვენამდე მოღწეულ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მე-14 თავში, რომლის სათაურიცაა – „აღმართებაჲ პატროსნისა ჯუარისა მცხეთისაჲ და მერმე კუალად გამოჩინებაჲ“ (კეკელიძე 1960:127).

ჭელიშური ხელნაწერის აღმომჩენი არქიმანდრიტი ამბროსი ხელაია (მოგვიანებით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი), ცნობათა სიმწირის გამო გრიგოლ დიაკონის მოღვაწეობის საკითხს სიფრთხილით ეკიდება და ბრძანებს: – „...ჩვენ არ ვიცით, ვინ არის ეს გრიგოლ დიაკონი და ან როდის ცხოვრობდა იგი, მაგრამ თუ ქართლის მოქცევის შედგენა მიეწერა VII საუკუნეს, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, მაშინ უეჭველია ეს გრიგოლი ცხოვრებულა VII საუკუნეზე ადრე. აქედან ისიც მტკიცდება, რომ VII საუკუნემდე არსებობდნენ სხვადასხვა ისტორიულნი წერილობითი თქმულებანი, რომელთაგან VII საუკუნეში უნდა შემდგარიყო ის „ქართლის მოქცევა“, რომლის ვარიანტები ახლა ხელთ გვაქვს...შესაძლებელია, რომ დიაკონი გრიგოლი ქართლის მოქცევის თანამედროვე თუ არა, ერთი იმ პირთაგანი მაინც იყოს, რომელნიც აღწერდნენ დიდმნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენათა იმ დროს, როდესაც თანამედროვეთ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დავიწყებული ნახულ-გაგონილი, როდესაც

შეეძლოთ ამათგან მოთხრობილი წერილობით გადაეცათ შთამომავლობისათვის...
(ხელაია 1909:14-15).

გრიგოლ დიაკონისა და მის თხზულებასთან დაკავშირებით ცალკე შრომა აქვს მიძღვნილი სოლ. ყუბანიშვილს. მისი ვარაუდით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მე-14 თავი, რომელიც ჭელიშურ ვარიანტში არ მოგვეპოვება, ეკუთვნის გრიგოლ დიაკონს. მისივე მოსაზრებით, გრიგოლ დიაკონის თხზულება შექმნილი უნდა იყოს სტეფანოზ I დროს ანუ VI საუკუნის დასასრულს, როცა დაწესებულა ჯვრის დღესასწაული– „...რაკი სპეციალური დღესასწაული დაუწესებიათ, მისთვის საჭირო იქნებოდა საკითხავიც, რომლის შედგენა უკისრია გრიგოლს. ეს კი მოხდებოდა ტაძრის აგების შემდეგ. ტაძარი კი საბოლოოდ აიგო სტეფანოზ I დროს VI საუკუნის დასასრულს. ცხადია, თხზულება ამაზე ადრე ვერ დაიწერებოდა... რაც შეეხება უშუალოდ გრიგოლ დიაკონს– „...მასალების უქონლობის გამო, თვით ავტორის შესახებ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, გარდა იმისა, რომ მწერალი სასულიერო პირი ყოფილა, როგორც ამას გადმოგვცემს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს პირველი ნაწილი... (ყუბანიშვილი 313-318).

3. ინგოროყვა გრიგოლ დიაკონს უძველეს ქართველ ისტორიკოსთა შორის მოიაზრებს, რომელსაც მისი ვარაუდით, უნდა დაეწერა „წმიდა ნინოს ქართველთა მოქცევისა“, სადაც მოკლედ იქნებოდა გადმოცემული წმიდა ნინოს მოღვაწეობისა და საქართველოს გაქრისტიანების ისტორია. მისივე აზრით, გრიგოლ დიაკონი IV-V საუკუნეების მოღვაწე უნდა ყოფილიყო (ინგოროყვა 1939:320).

როგორც აღვნიშნეთ, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულებების თანახმად, მთლიანობაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი დამოუკიდებელი თხზულების გაერთიანების შედეგია. თავის მხრივ, ჩვენის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მეორე ნაწილი, ე.წ. „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია, ასევე სხვადასხვა თხზულებათა გაერთიანების შედეგს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც დღემდე უცნობი ავტორის მიერ უნდა იყოს თავმოყრილი.

როგორც უკვე ითქვა „წმიდა ნინოს ცხოვრების“ ე.წ. ვრცელი რედაქცია, სამი პირობითი ნაწილისაგან შედგება: 1) ავტორის მითითების გარეშე მოცემული ე.წ. შესავალი; 2) თავები, რომელთა ავტორის დადგენაც შესაძლებელია, და 3) ასევე

ავტორის მითითების გარეშე წარმოდგენილი ის თავი, რომელიც მხოლოდ შატბერდულ კრებულშია დაცული.

გარდა ამისა, ხელნაწერში წარმოდგენილი თხრობა, თავის მხრივ, ორ ნაწილად შეგვიძლია დავყოთ: 1) სადაც, წმიდა ნინოს შესახებ თხრობა პირველ პირშია მოცემული და 2) სადაც, წმიდა ნინოს შესახებ თხრობა მესამე პირშია წარმოდგენილი.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ე.წ. შესავალი გვაუწყებს იმ თავყრილობის შესახებ, რომელიც წმიდა ნინოს დასწრეულების ადგილას – ბოდბეში გამართულა: „...და ვითარ მოვლო წმიდამან და სანატრელმან ნინო სანახები ესე ქართლისაჲ და მოიწია ქუეყანასა კხოთისასა, დაბასა, რომელსა ჰრქვიან ბოდისი, დასწრულდა სწრეულებითა დიდითა... მაშინ შეკრბეს მეფენი ქუეყანისანი დედებითურთ მათით და ყრმებით და სიმრავლე ერთა ძლიერთაჲ, რამეთუ ჰხედვიდა ყოველი კაცი პირსა ნინოისსა ვითარცა ზეცისა ანგელოზისასა“... (სალუაშვილი 2010:49).

დღეისათვის შემორჩენილი (აღმოჩენილი) ხელნაწერებიდან მხოლოდ X საუკუნის 70-იან წლებში შესრულებული შატბერდული კრებული იუწყება იმ პირთა ვინაობას, რომლებსაც დაუწყიათ წმიდა ნინოს ნაამბობის ჩაწერა – „მაშინ მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უჟარმელმან და სივნიელმან პეროჯავრი და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, და იგინი წერდეს... (სალუაშვილი 2010:47).

ივ. ჯავახიშვილი აღნიშნულთან მიმართებაში ბრძანებს: – „წმიდა ნინოს ცხოვრება უსახელო ნაწარმოებია: შემთხვევლის სახელი აღნიშნული არ არის. შეუძლებელიც იყო, რომ ავტორი დასახელებული ყოფილიყო, რადგან თვით თხზულება წმინდა ნინოს ანდერძია, მისივე ნაამბობი სიტყვა-სიტყვით ჩაწერილია... მართლაც, წმინდა ნინოს ცხოვრება ისეა დაწერილი, რომ მოსაუბრედ და მოამბედ თვით ნინოა გამოყვანილი... (ჯავახიშვილი 1977:106).

თხზულების შინაარსის გაცნობის შემდეგ ძნელი აღარაა იმაში დარწმუნება, რომ მართლაც უნდა არსებულიყო წმიდა ნინოს ნაამბობის გამაერთიანებელი „წიგნი“. აღნიშნულის დასტურად გამოდგება არა მარტო ხელნაწერში დაცული იმ მონაკვეთების არსებობა, რომლებშიც წმიდა ნინოს მიერ პირველ პირში გადმოცემული თხრობაა წარმოდგენილი, არამედ ის საინტერესო მინიშნებაც, რომელიც აბიათარ მღვდლის ასულის სიდონიას მიერ აღწერილშია მოცემული – წარმოდგენილ მონაკ-

ვეთში, უაღრესად მნიშვნელოვანი ინფორმაციაა დაფიქსირებული, რომლის მიხედ-
ვითაც ირკვევა, რომ აბიათარ მღვდლის ასული სიდონია, თავის თხოვრებაში, იმოწმებს
ჩვენთვის დღემდე უცნობ – წიგნს და თავის მსჯელობას სწორედ ამ წიგნში დაფიქსი-
რებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აგებს.

– შატბერდულ რედაქციაში დაცულ ამ წიგნზე მინიშნება: „რომელი იგი წინა
წერილ არსს ანდერძსა მას მისსა შინა“, სამწუხაროდ, ჭელიშურ რედაქციაში არ არის
დაფიქსირებული (სალუაშვილი 2010:84).

– სამაგიეროდ, აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია 1990 წელს სინას მთის
წმიდა ეკატარინეს მონასტერში გამოვლენილ ხელნაწერში, რომელსაც პირობითი
დასახელება: „სინ 50“ აქვს მინიჭებული... მასში კერძოდ ვკითხულობთ: – „...რომელ-
ნი იგი სწერიან წიგნსა მას ანდერძისა მისსა...“ (სალუაშვილი 2010:93).

აღსანიშნავია ისიც, რომ წმიდა ნინოს ანდერძად სახელდებული ამ წიგნის
შინაარსის თაობაზე, სამივე ხელნაწერში თითქმის ერთნაირი მინიშნებაა მოცემული –
„ვითარ-იგი თვით იტყვის ყოფასა შინა მისსა“ (სინური), „ვითარ-იგი თვით იტყვის
ყოფასა შინა მისსა“ (შატბერდული) და „ვითარ-იგი თვით იტყვის“ (ჭელიშური)
(სალუაშვილი 2010:85).

მამასადამე, მიუხედავად იმისა, რომ წმიდა ნინოს სავარაუდო – ანდერძი
წიგნთან დაკავშირებით, წმიდა ნინოს ცხოვრების არცერთ რედაქციაში მეტი
მინიშნება აღარ გვხვდება. შეიძლება ვიფიქროთ, რომ წმიდა ნინოს მიერ შესრულე-
ბული „ანდერძის“ წიგნი (წერილი), დროის ქარტეხილებს ვერ გადაურჩა, ან დღემდე
მისი აღმოჩენა ვერ მოხერხდა.

მიუხედავად იმისა, რომ წმიდა ნინოს მიერ პირველ პირში ნაამბობი ტექსტი,
თხზულების სამივე რედაქციაში, სალომე უჯარმელის სახელთან დაკავშირებულ
მონაკვეთებშია წარმოდგენილი, ვფიქრობთ რომ იგი მაინც წმიდა ნინოს მიერ
შესრულებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ. ე.წ. „წმიდა ნინოს ანდერძის წიგნი“, რო-
მელშიც წმიდა ნინოს ნაამბობის პირველ პირში გადმოცემული თხოვრებაა დაფიქ-
სირებული, თამამად შეგვიძლია მის დაწერილად მივიჩნიოთ, რომელსაც იქვე ერთ-
ვის ამ მონათხოვრების ჩამწერის სახელიც – სალომე უჯარმელი.

მ. ჩხარტიშვილი თავის კვლევაში ბრძანებს: – „სპეციალურ ლიტერატურაში კარ-
გა ხანია მიექცა ყურადღება იმ ფაქტს, რომ ვრცელი „ნინოს ცხოვრების“ თავების

სათაურებში ჩამწერად მხოლოდ სალომეა დასახელებული, პეროჟავრის აღწერილები კი აღარსად ჩანს: „თავების ზედა წარწერაში პეროჟავრ სივნიელის სახელს ჩვენ ვერსად ვხვდებით“ (კ.კეკელიძე). ამ ფაქტს ჩვეულებრივ იყენებენ „ნინოს ცხოვრების“ აღნიშნული რედაქციის ხარვეზიანობის საჩვენებლად, მაგრამ ეს გაუგებრობაა, რომელიც აღმოცენებულია იმაზე, რომ წყაროს ცნობა ორი ჩამწერის შესახებ გაგებულია, როგორც მორიგეობით წერა: „მწერალი ორი ყოფილა, ალბათ, როცა ერთი დაიღლებოდა, მეორე დაიწყებდა წერას“ (ივ. ჯავახიშვილი). სინამდვილეში, თხზულება მიგვითითებს, რომ ერთდროულად იწერდნენ... და ეს სავსებით ლოგიკურია, რომ ნინოს თქმულს, როგორც ისტორიული მნიშვნელობის სიტყვის ფიქსირებას, დიდი პასუხისმგებლობით მოჰკიდებოდნენ და რამდენიმე პარალელური ჩანაწერის გაკეთების საჭიროება ეგრძნოთ. ამგვარად, ავტორი ჯერ გვამცნობს, რომ ნინოს ნაამბობი ერთდროულად ორმა პირმა ჩაწერა, ხოლო შემდეგ, თავების სათაურებში მარტოდენ სალომეს აღნიშვნით, გვიზუსტებს, თუ კონკრეტულად რომელია შექმნილი ორი ვარიანტიდან წარმოდგენილი.

„წმიდა ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის დღემდე უცნობი ავტორი, თხზულების ე.წ. შესავალში გამოკვეთილად მიუთითებს იმას, თუ ბოდბეში, დასწრულეულ წმიდა ნინოსთან შეკრებილთა შორის, ვინ სთხოვს წმიდა ნინოს თავისი თავგადასავალის მოყოლას– „...და ეტყოდა დედუფალი სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი და მათ თანა ყოველნი მთავარნი, და ჰკითხვიდეს... (ჯავახიშვილი 1977:45). რაც შეეხება იმ ცნობას, თუ ვინ იწყებს წმიდა ნინოს ნაამბობის თხრობის ჩაწერას, ამასთან დაკავშირებით ხელნაწერებში სხვადასხვა მდგომარეობაა.

კერძოდ:

– IX-X საუკუნეების მიჯნაზე შესრულებული **სინური ხელნაწერი** და XIV-XV საუკუნეების ჭელიშური კრებული, ჩამწერთა ვინაობის თაობაზე არაფერს იუწყება– „მაშინ მსწრაფლ მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი და იწყო სიტყუად წინა შობისა მისისა...“ (სალუაშვილი 2010:45).

– რაც შეეხება X საუკუნის 70-იან წლებში შესრულებულ **შატბერდის კრებულს**, მასში ჩამწერთა ვინაობა უკვე დაკონკრეტებულია – „მაშინ მო-ხოლო-იხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და სივნიელმან პეროჟავრი, და იწყო სიტყუად წმიდამან ნინო და იგინი წერდეს...“ (სალუაშვილი 2010:45).

რითი შეიძლება აიხსნას წყაროთა შორის არსებული ეს განსხვავება?

დიდის ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შატბერდის კრებულის შემდგენელი ან ისეთი წინარე რედაქციით სარგებლობს, რომელშიც წმიდა ნინოს ნაამბობის ჩამწერთა ვინაობაა დაკონკრეტებული, ანდა ეს ცნობა მის მიერ უნდა იყოს ჩამატებული. სავარაუდოდ, საქმე ამ უკანასკნელ შემთხვევასთან უნდა გვეკონდეს.

შატბერდის კრებულის გადამწერმა, ე.წ. შესავალში, წმიდა ნინოსთან საუბრის წარმმართველ პირთა თაობაზე არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ჩათვალა რომ წმიდა ნინოს ნაამბობის ჩამწერელნი სწორედ – იგივე პირნი, ანუ – სალომე უჯარმელი და პეროჟავრი სივნიელი უნდა ყოფილიყვნენ. მას უდავოდ „გამორჩა“ ის ფაქტი, რომ თხზულებაში მხოლოდ სალომე უჯარმელის ავტორობაზე მიმანიშნებელი ტექსტებია დაცული და არაფერია ნათქვამი პეროჟავრ სივნიელზე.

ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წმიდა ნინოს მონათხრობის ჩამწერი, ანუ დღევანდელი ტერმინით თუ ვიტყვით, – რედაქტორი, არის ის, ვისი ავტორობითაცაა მოცემული თხზულების ის ნაწილი, რომელშიც წმიდა ნინოს ნაამბობი პირველ პირშია გადმოცემული, და ესაა – სალომე უჯარმელი, ხოლო „**წმიდა ნინოს ცხოვრების**“ ე.წ. ვრცელი რედაქციის შემდგენელი, ჩვენის აზრით, უნდა იყოს ის ქართველი ისტორიკოსი, რომლის ნაშრომის, როგორც წყაროს, გამოყენების თაობაზეც მიგვანიშნებს ე.წ. „ქრონიკებისეული“ ტექსტი – „...ვითარცა სწერია მცირესა მას წიგნსა ქართლისა მოქცევის(ა)სა, გრიგო(ო)ლი დიაკონის მიერ აღწერილსა“ (**სალუაშვილი 2010:16**).

საინტერესოა, ვინ არის გრიგოლ დიაკონი?

წყაროსეული ინფორმაციის თანახმად, გრიგოლი საეკლესიო იერარქიის წარმომადგენელია (**სალუაშვილი 2010:1-6**).

როგორც ვიცით, „დიაკონი (ბერძ. „მსახური“) – მღვდელმსახური(ა) მღვდლობის მესამე, უმდაბლესი ხარისხისა, რომელიც ეპისკოპოსსა და მღვდელს ღმრთისმსახურებისა და საიდუმლოთა შესრულების დროს ეხმარება.

კ. კეკელიძე აღნიშნავს: –გრიგოლი პირველი ქართველი ისტორიკოსია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით(**კეკელიძე 1980:127**).

ერთგვარად თუ შევაჯერებთ ზემოთქმულს, მთლიანობაში ასეთი სავარაუდო სურათი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ: – **„წმიდა ნინოს ცხოვრების“** ე.წ. ვრცელი რედაქციის შესავლის სავარაუდო ავტორი გრიგოლ დიაკონი არის:

– „პირველი ქართველი ისტორიკოსი“ (ვ. კეკელიძე);

– რომელიც: „იყო არა მარტო ქართველი, არამედ, კერძოდ, შიდა ქართლის განსაზღვრული რაიონის მცხოვრები“. (ს. კაკაბაძე);

– იგი, დიაკვნის ხარისხში აუყვანია კონსტანტინე იმპერატორის მიერ, მირიან მეფის თხოვნის თანახმად, ქართლის სამეფოში მოვლენილ იოვანე მთავარეპისკოპოსს;

– გრიგოლ დიაკონი, შესაძლოა წმიდა ნინოს იმ თანმხლებთა შორისაც მოვი-აზროთ, რომლებთან ერთადაც გაემგზავრა წმიდა ნინო მთიელთა განსანათლავად. ყოველ შემთხვევაში, გრიგოლ დიაკონი, როგორც მინიმუმ, ბოდბეში ჩასვლის მომენტისათვის უკვე წმიდანინოსთანაა;

– გრიგოლ დიაკონი თანამონაწილე ჩანს, მცხეთიდან წასულთა და ბოდბეში მყოფ დასნეულებულ წმიდა ნინოს შორის გამართული შეხვედრისას მიღებული ისტორიული გადაწყვეტილებისა, დაწერილიყო ქართველთა განმანათლებლის წმიდა ნინოს თავგადასავალი.

უდავოდ დიდი იყო IV საუკუნის 30-40-იანი წლებში შედგენილი ძეგლის გავლენა ქართულ და უცხოურ წყაროებზე.

„ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის შედგენის სავარაუდო დროის თაობაზე, არაერთ მეცნიერს აქვს თავისი აზრი გამოთქმული. **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს** ე.წ. მეორე ნაწილს IV საუკუნეში შექმნილად მიიჩნევენ: – ს. კაკაბაძე (კაკაბაძე 1924:10), ივ. ლოლაშვილი (ლოლაშვილი 1984:439), ზ. ალექსიძე (ალექსიძე 1984:150), მ. ჩხარტიშვილი (ჩხარტიშვილი 1987:153), ვ. გოილაძე (გოილაძე 1991:25), რ. სირაძე (სირაძე 1989:259) და სხვ.

– როგორც ზემოთ ითქვა, **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში** შემავალი **„წმიდა ნინოს ცხოვრების“** ვრცელი რედაქცია, დღეისათვის შემორჩენილი მოცულობით, თითქმის მთლიანად წარმოადგენდა „ქრონიკებში“ მოხსენიებული გრიგოლ დიაკონის მიერ შედგენილი – „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისა“-ს ორგანულ ნაწილს;

– და, რომ, გრიგოლ დიაკონის – „მოკლედ აღწერილი წიგნი „ქართლისა მოქცევისა“, თავისი თავდაპირველი სავარაუდო ვარიანტით, შედგენილი უნდა იყოს წმიდანინოს გარდაცვალებიდან, ვიდრე რევისა და მირიანის გარდაცვალებამდელ დროში, ანუ **338-352/353 წლებში**.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, უკვე დიდ სიძნელეს აღარ წარმოადგენს იმაში გარკვევა, თუ რატომაა– „...რომ IV-V საუკუნეების ხუთი ბერძენ-რომაელი ისტორიკოსი, კლასიკური წარმომადგენლები საეკლესიო ისტორიისა, რომლებიც ახლოს იდგნენ ქართლის მოქცევის ეპოქასთან და პირველხარისხოვანი ცნობებით სარგებლობდნენ, ერთნაირად გადმოსცემენ ქართლის მოქცევის ამბებს და თანაც ისე, როგორც ეს „ნინოს ცხოვრებაში“. ესენია: გელასი კესარიელი, რუფინუსი, თეოდორიტე კვირელი, სოკრატე სქოლასტიკოსი და ერემია სოზომენე. არავითარი საფუძველი არ არსებობს და ფაქტობრივად არც არავის უჩვენებია, რომ უნდა დავეჭვდეთ ამ ავტორთა ცნობებში. ანდა, რა ინტერესი ამომრავებდა ამ ავტორებს, რომ „ვილაც“ ტყვე-ქალისთვის მიეწერათ ქართლის გაქრისტიანება და არა, ვთქვათ, კონსტანტინე-პოლელი (ანდა: რომაელი – ავტ.) ღვთისმსახურისთვის?! (**სალუაშვილი 2010:237**).

მიზეზი ერთადერთია – ბერძენ თუ რომაელ ისტორიკოსებს ხელთ უნდა ჰქონოდათ ქართლის სამეფოს გაქრისტიანების უშუალო თვითმხილველებისა და ამ პროცესში მონაწილეთა მიერ შედგენილი წერილობითი ძეგლი, რომელშიც მთელი სიგრძე-სიგანით (მაშინ– სრულად, ახლა კი შემორჩენილი „ფრაგმენტების“ სახით) იყო წარმოდგენილი, ნიკეაში 325 წელს გამართული I მსოფლიო საეკლესიო კრების გამართვის შემდეგ გაქრისტიანებული პირველი სამეფოს ქრისტეს რჯულზე მოქცევის ამბები.

მათთვის რომ ეს ამბები ხელმისაწვდომი იქნებოდა, ამაზე თავად „**მოქცევაჲ ქართლისაი**“-ს ტექსტი მიგვანიშნებს. როგორც ვიცით, ქართლის სამეფოს მოქცევის ამბების გადმომცემ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ როგორც მოკლე („ქრონიკები“), ისე მის ვრცელ რედაქციაში, ცალსახად მიგვენიშნება მირიანის თხოვნისა და ამის შედეგად კონსტანტინე იმპერატორის მიერ მღვდელმსახურთა გამოგზავნის თაობაზე:

– „...და წარავლინნა მეფემან მოციქულნი და წიგნი ნინოისი საბერძნეთად, მეფისა კონსტანტინესა, თხოვად მღდელთა, ხოლო მოციქულნი იგი მსწრაფლ მიიწ-

ვიეს წინაშე მეფისა... ხოლო მეფემან წარავლინა ეპისკოპოსი იოვანე და ორნი მღვდელი და ერთი დიაკონი... და ვითარცა მიიწინეს, ნათელიდეს სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა მირიან მეფემან და ნანა დედოფალმან და ყოველმან პალატ-ბანაკმან მათმან“**(სალუაშვილი 2010:13-15)**;

– „მაშინ მოვიდეს საბერძნეთით მღვდელთმოდლუარი და მღვდელი და დიაკონნი და იწყეს ნათლის-ღებად მეფემან და ყოველმან ერმან; ვითარცა ზემოწერილ არს“**(სალუაშვილი 2010:104)**.

კონსტანტინე იმპერატორის მიერ ქართლის სამეფოში მღვდელმსახურთა გაგზავნის თაობაზე ასევე იუწყება ზემოთ მოხსენიებული ხუთივე ბერძენ-რომაელი ისტორიკოსი.

კონსტანტინე იმპერატორის მიერ გამოგზავნილ მღვდელთმსახურებს, ბუნებრივია მჭიდრო კონტაქტი ექნებოდა როგორც მათ წარმომგზავნელ, ასევე სხვა ქრისტიანულ ეკლესიებთან. მომხდარ მოვლენათა თაობაზე არსებული ინფორმაციების ორმხრივი ურთიერთგაცვლის პირობებში, ძნელი აღარაა ვივარაუდოთ – ქართლის სამეფოს გაქრისტიანების ამბების მათდამი (დანარჩენი ქრისტიანული ეკლესიებისადმი) შეტყობინების ფაქტი.

დ. ბაქრაძე, 1889 წელს გამოთქვამდა ვარაუდს:–„მირიანის დროს წმიდა ნინოს მიერ ქართლის ამბების გადმოცემისას რუფინუსი, სოზომენე და მოვსეს ხორენაცი ქართულ ცნობებს იყენებდნენო“ **(ბაქრაძე 1889:50)**. აღნიშნული თხზულების კვალი ამჟამად შეინიშნება სხვა ქართულ წყაროებშიც.

აღსანიშნავია, რომ ქართლის სამეფოს გაქრისტიანების უშუალო მონაწილეთვითმხილველის გრიგოლ დიაკონის მიერ, სავარაუდოდ 338-352/53 წლებში შედგენილი თხზულება – „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისა“, მრავალი ისტორიკოსისათვის გახდებოდა (და გამხდარა კიდევ) ფასდაუდებელი წყარო, მათ მიერ აღნიშნული ამბების გაშუქებისას.

ფაქტია ისიც, რომ დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს არც ერთი ხელნაწერი, სრულად ვერ ასახავს გრიგოლ დიაკონის მიერ შედგენილი თავდაპირველი თხზულების შინაარსს. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა: –„...შატბერდისეული ხელთნაწერი ამ ცხოვრების თავდაპირველი ნუსხა-დედანი კი არ არის, არამედ გადმოწერილი უნდა იყოს სხვა ხელთნაწერთგან, რომელიც ამასთანავე

შეიძლება თვით გადმოწერილი ყოფილიყო თავდაპირველი ნუსხისგან...“(ჯავახიშვილი 1977:109).

თავდაპირველ დედანში არსებული ნამდვილი სურათის სრულად აღდგენა, დღეისათვის აღმოჩენილი ხელნაწერების საფუძველზე, თითქმის შეუძლებელია, თუმცა ჩატარებული კვლევის საფუძველზე ამკარაა, რომ:–...რეკონსტრუირებული სახით წარმოდგენილი „ნინოს ცხოვრება“ უნდა ჩაითვალოს უძველეს ქართულ ნაწარმოებად, რომელიც შეიქმნა არაუგვიანეს IV საუკუნისა და რომლის ცნობები უკვე გამოყენებულია IV-V საუკუნეთა მიჯნაზე და V საუკუნის ბერძენ და სომეხ ისტორიკოსთა მიერ.

სავარაუდოა, რომ გრიგოლ დიაკონი, თავის თხზულებას ქართულად დაწერდა, რომელსაც პარალელური, ბერძნული თარგმანის ტექსტიც შეიძლება შეესრულებინა. მასალათა სიმწირის გამო, ძნელია იმის განსაზღვრაც, თავდაპირველად რომელ ენაზე დაიწერებოდა– სალომე უჯარმელის, სიდონიას, აბიათარ მღვდლისა თუ იაკობ მღვდლის (მთავარეპისკოპოსის) ავტორობით შესრულებული მონაკვეთები.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ გრიგოლ დიაკონს თავისი თხზულება, სახელმწიფოს უმაღლესი იერარქიდან მომდინარე მოთხოვნის შესაბამისად უნდა შეექმნა, მაშინ დიახაც უნდა ვივარაუდოდ რომ, „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისა“ – ქართულად დაიწერებოდა. აღნიშნულის დამადასტურებელი (ანუ თხზულების იმდროინდელი ვარიანტის ამსახველი) ხელნაწერის უქონლობა, ბუნებრივია, ამნელებს გამოთქმული მოსაზრების უცილობელ ფაქტად აღიარებას, თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც ეწინააღმდეგება მას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ორი სხვადასხვა თხზულების გაერთიანების შედეგად მიღებული ისტორიული ძეგლია.

ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერების დეტალურად შესწავლის საფუძველზე დადგენილია, რომ „ქრონიკების“ თავდაპირველი ტექსტი სტეფანოზ II ერისმთავრობის დროს, ანუ VII საუკუნის II ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

ხელნაწერებში წარმოდგენილი თხრობის სისავსიდან გამომდინარე, ასეთი შეხედულების რეალობა უფრო სარწმუნოდ უნდა ჩანდეს VII საუკუნის შუახანებში. ქართლის ხელისუფალთა წინაშე კვლავ დადგა საკითხი, რათა ქართლის ეკლესიი-

სათვის ავტოკეფალია მსოფლიო საეკლესიო კრებას დაედასტურებინა. ალბათ, კვლავ გახდა საჭირო ქართლში ქრისტიანობის ისტორიის შესახებ სათანადო წიგნი ჰქონოდათ. და, როგორც დღესაა მიღებული, VII საუკუნის შუახანებში „მოქცევაი ქართლისაი“-ს ახალი რედაქცია შეიქმნა... „ქრონიკის“ თხრობა ქართლის ერისმთავარ სტეფანოზ II დრომდე რომ არის მოყვანილი, შემთხვევითი არაა. სტეფანოზ II და მისი ძის – „ღმრთივგვირგვინოსანი“ მეფე არჩილის ზეობაში კონსტანტინეპოლში გამართულმა VI მსოფლიო საეკლესიო კრებამ ქართლის ეკლესიას ავტოკეფალია დაუდასტურა... (სალუაშვილი 2010:26).

„ქრონიკების“ აღნიშნული რედაქციის ავტორს, სახელმწიფოდან მომდინარე მოთხოვნა, მის ხელთ იმდროისათვის არსებული წყაროების ბაზაზე შეუსრულებია.

მსოფლიო საეკლესიო კრებისათვის ვახტანგ გორგასლის დროს მოპოვებული ავტოკეფალიის დადასტურების მოთხოვნით წარმდგარ ქართული სახელმწიფოს წარმომადგენლებს, თავისი პოზიციის გასამყარებლად, უდავოდ წაადგებოდათ ქართლის სამეფოს ზოგადი ისტორიის ამსახველი დოკუმენტის ხელთ ქონა.

„ქრონიკები“, თავის მხრივ, ასევე იყოფა რამდენიმე პირობით ნაწილად – წარმართ მეფეთა მოღვაწეობა, ქართლის გაქრისტიანებისეული თხრობა, – ქრისტიან მეფეთა ისტორია, უმეფობის პერიოდი – ერისმთავართა მმართველობა, რომელიც გუარამ ერისმთავრიდან – სტეფანოზ II მოყვანილი.

თითოეული ეს მონაკვეთი, თავის მხრივ უნიკალურ ინფორმაციებს შეიცავს. თუმცა, აშკარაა, რომ მათში ყველაზე უფრო დეტალურად ქართლის მოქცევის ამბებია აღწერილი, ანუ ყველაზე მრავალმხრივი ინფორმაცია დროის ამ მონაკვეთში მომხდარი მოვლენების თხრობაშია წარმოდგენილი.

სწორედ ქართლის მოქცევისეულ თხრობაში გვეუწყება, რომ „ქრონიკების“ შემდგენილი იცნობს გრიგოლ დიაკონის მიერ შედგენილ – „მოკლედ აღწერილსა მას წიგნსა ქართლისა მოქცევისასა“ (სალუაშვილი 2010:16).

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული „მოქცევაი ქართლისაი“-ს ტექსტის ამ ორი მონაკვეთის შედარება, აშკარად გვანახებს მათ შორის არსებულ ინფორმაციათა მსგავსება-განსხვავებებს, რაც კიდევ უფრო მეტ საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ისინი ცალ-ცალკე შედგენილი თხზულებებია:

– გრიგოლ დიაკონის წინაშე იდგა ამოცანა – შეექმნა ქართლის მოქცევისეული ისტორია;

– „ქრონიკების“ ავტორი, აღნიშნულის პარალელურად, ქართლის სამეფოს ისტორიას აღწერს, რომელშიც როგორც ერთ-ერთ მის შემადგენელ ნაწილს, ქართლის გაქრისტიანებისეულ ისტორიის ყველაზე უფრო დიდი ადგილი უკავია.

VII საუკუნის შუა წლებში მცხოვრები ქართველი ისტორიკოსი, ქმნის ქართლის მოქცევის ისტორიის ამსახველ – დამოუკიდებელი ხასიათის ნაწარმოებს. მისი აგების სტრუქტურა, თხრობის სტილი, და ხშირად მასში არსებული ინფორმაციებიც კი ერთგვარად განსხვავებულია. ბუნებრივია, VII საუკუნის უცნობი ქართველი ისტორიკოსი, ძირითადად იმეორებს IV საუკუნეში მოღვაწე გრიგოლ დიაკონისეულ თხრობაში გადმოცემულს, თუმცა, ალბათ, მის ხელთ არსებული წყაროებისეული ინფორმაციებით, ერთგვარად ავსებს კიდევ მას. ზემოთქმულის შეჯერებით შეიძლება დავასკვნათ:

– „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ს ე.წ. „ქრონიკები“, შექმნილი უნდა იყოს VII საუკუნის II ნახევარში, 680 წელს კონსტანტინეპოლში გამართული VI მსოფლიო კრების წინარე დროში. მასში წარმოდგენილი თხრობა, დაწერის დრომდე არსებული „ქართლის სამეფოს ისტორიას“ აღწერს.

არსებული „ქრონიკების“ ტექსტის გადამუშავება, ანუ მისი რედაქტირება სავარაუდოდ IX საუკუნეში უნდა მომხდარიყო.

როგორც უკვე აღინიშნა, „შატერდის კრებულის“ პირველი გამომცემლის, ექვთიმე თაყაიშვილის აზრით, თუკი „ქრონიკის“ პირველი ნაწილი მეფეთა თუ ერისმთავართა, ანდა მღვდელმსახურთა ნამოქმედარის უმთავრესი მომენტების დაფიქსირებით ხასიათდება, – ...სტეფანოზ II შემდეგ ეს წესი უცებ იცვლება და შემოკლებული ცნობების მაგივრად, ერისთავების შესახებ მხოლოდ სიაა მოყვანილი ცამეტთა დიდ ერისთავთა. არცერთი ღირსსახსოვარი ფაქტი მათი ერისთავობის დროისა, აღნიშნული არ არის. არ არის ნაჩვენები, თუ რომელი კათალიკოსი რომელ ერისთავის დროს იყო, არამედ ერისთავების სიის შემდეგ სიითვე არის წარმოდგენილი 27 კათალიკოსი.

აღნიშნული სიის IX საუკუნისეული ინფორმაციით შემოფარგვლა, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, სწორედ იმაზე მიანიშნებს, რომ, თითქოს „ქრონიკების“ ახალი რედაქცია IX საუკუნეშია შექმნილი.

ჩვენის აზრით, „ქრონიკებში“ IX საუკუნის 30-იანი წლებისეული ინფორმაციის არსებობა, მიგვანიშნებს არა მარტო VII საუკუნეში შექმნილი თხზულების ახალი რედაქტირების კვალზე, არამედ გვიფიქსირებს თავად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დღეს არსებული ვარიანტის – წინარე თხზულების შექმნის დროსაც. მომხდარი პროცესის სავარაუდო ქრონოლოგია ასეთი უნდა იყოს.

IX საუკუნის I ნახევრის უცნობი მემატეანის წინაშე, მიზეზთა გამო, დამდგარა „ქართლის სამეფოს ისტორიის“ ახალი რედაქციის შექმნის აუცილებლობა. ამ მიზნით მას გადაუწყვეტია მის ხელთ არსებული ორი დამოუკიდებელი თხზულების ერთიან ნაწარმოებად გაერთიანება. კერძოდ:

– VII საუკუნეში შექმნილი თხზულებისათვის მას დაუმატებია სტეფანოზ II დროიდან მოყოლებული იმ დრომდე არსებულ ერისთავთა და მღვდელმსახურთა ჩამონათვალი, რითაც ე.წ. საერო ისტორიის „დასრულებული“ სურათის მიღება დაფიქსირდა.

– IV საუკუნეში შექმნილი გრიგოლ დიაკონის სახელით ცნობილი თხზულება, მას, ძეგლის – მის ხელთ არსებული სახით, სრულად მიუმატებია ე.წ. საერო ისტორიის ნაწილისათვის;

– ერთიანი ნაწარმოების შექმნის მიზნით, IX საუკუნის მემატეანე (ძეგლის რედაქტორი), თხზულებათა თავებს ერთიან თავებად ნომრავს, რითაც სავარაუდოდ, დასრულდა კიდევ – დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სახელით ცნობილი ძეგლის საბოლოო სახის მიღება.

ამდენად, IX საუკუნის ის 30-იანი წლებში, ერთიანი თხზულების სახე მიიღო, ანუ ერთ ძეგლად გაერთიანდა მანამდე ორ დამოუკიდებელ ნაწარმოებად არსებული თხზულებები. ახალი ხელნაწერის რედაქტორს, ეტყობა იმდენად დიდი კრძალვა ჰქონდა უძველესი ხელნაწერებისა, რომ, როგორც ითქვა, სავარაუდოდ მხოლოდ ერისთავთა და კათალიკოსთა მშრალი სიის მიმატებით შემოიფარგლა, ხოლო სხვა ყველაფერი უცვლელად გადმოიტანა.

როგორც ჩანს, „წმიდანინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ხელთ არსებული ტექსტი იმდენად ყოფილა დაზიანებული, რომ მასში ავტორის ვინაობის დამადასტურებელი ინფორმაცია აღარც კი იყო შემორჩენილი. იქნებ, სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ ე.წ. „ქრონიკებში“ გრიგოლ დიაკონის სახელის არსებობის მიუხედავად, ძეგლის მეორე ნაწილში მისი სახელის ხსენებაც კი აღარაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელი ხდება ასეთი საერთო დასკვნის გაკეთება:

– IV საუკუნის 30-40-იან წლებში იქმნება ქართველი ისტორიკოსის გრიგოლ დიაკონის – „მოკლედ აღწერილი წიგნი ქართლისა მოქცევისისა“, რომელშიც ქართლის სამეფოს გაქრისტიანების უშუალო მომსწრე-მონაწილეთა მიერ შექმნილი მონაკვეთებია გაერთიანებული;

– IV საუკუნის 50-იან წლებში, კერძოდ კი იაკობ მთავარეპისკოპოსის დროს, გრიგოლ დიაკონის სავარაუდო თხზულება – პირველ რედაქტირებას განიცდის; რის შედეგადაც სამღვდელმთავრო ტახტის უმაღლეს საფეხურზე მყოფი – იაკობია.

– VII საუკუნის II ნახევარში უცნობი ქართველი მემატიაწე ქმნის „ქართლის სამეფოს ისტორიას“, რომელიც ხუთი პირობითი ნაწილისაგან შედგება, ესენია:

1) ალექსანდრე მაკედონელის კავკასიაში სავარაუდო ლაშქრობიდან მოყოლებული, ვიდრე ქართული სახელმწიფოს უკანასკნელი წარმართი მეფის მირიანის მმართველობამდე არსებული ისტორია;

2) ქართლის სამეფოს გაქრისტიანების ისტორია;

3) ქრისტიან მეფეთა ისტორია;

4) უმეფობის პერიოდი;

5) ერისმთავართა სტეფანოზ II არსებული მმართველობის ისტორია.

IX საუკუნეში მოღვაწე უცნობი ქართველი მემატიაწე (რედაქტორი), მის ხელთ არსებულ წყაროთა გათვალისწინებით, ქმნის „ქართლის სამეფოს ისტორიის“ ამსახველ ახალ თხზულებას, რომელშიც მანამდე არსებული ორი თხზულება ერთიანდება:

ა) VII საუკუნის „ქართლის სამეფოს ისტორიად“ მოაზრებულ ნაშრომს ემატება სტეფანოზ II მოყოლებული IX საუკუნის 30-იან წლებამდე, ანუ ძეგლის რედაქტირებამდე არსებულ ერისთავთა და მღვდელმსახურთა მშრალი სია;

ბ) IV საუკუნის შუა წლებში რედაქტირებული ქართლის სამეფოს გაქრისტიანების ისტორიის ამსახველი და სავარაუდოდ (უკვე იმდროისათვის), ნაკლული სახით შემორჩენილი თხზულება (უნდა ვიფიქროთ რომ – უცვლელად) ე.წ. „ქართლის სამეფოს საერო ისტორიის“ ხელნაწერთან ერთიანდება. ხდება, მათი თავებისათვის ერთიანი ნუმერაციის დასმა, რითაც ვღებულობთ კიდევ IX-X საუკუნეების გასაყარზე „არშუშაყოფილ იოვანეს“ მიერ გადაწერილი სან-50-ის სახელით ცნობილი ხელნაწერის (სავარაუდოდ) წინარე თხზულების დედანს.

ჩვენის აზრით, სწორედ ასეთი უნდა იყოს დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული თხზულების შექმნის თითქმის ხუთ საუკუნოვანი (IV-IX საუკუნეები) ისტორია. ძეგლისა, რომელსაც დღეს: **სინური-შატბერდული-ჭელიშური** ხელნაწერებით წარმოდგენილი სახე აქვს და რომელიც სამართლიანად ითვლება დღეისათვის ცნობილ ხელნაწერთა შორის – უძველეს ქართულ საისტორიო თხზულებად.

ამრიგად, ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაციები **„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სტექსტშია** თავმოყრილი: მოკლე **„ნინოს ცხოვრება“**, რომელშიც, თავის მხრივ, ნახსენებია გრიგოლ არქედიაკონის უფრო ადრეული „მოკლე ქართლის მოქცევის“ წიგნი; ვრცელი **„ნინოს ცხოვრება“**, ძირითადად, წმ. ნინოს მონათხრობს ემყარება და წარმოადგენს წმ. ნინოს თანამედროვე მოღვაწეების – სიდონიას, აბიათარ მღვდლის, პეროჟავრი სივნიელის, სალომე უჯარმელის, იაკობ მღვდლის, სუჯი დედოფლისა და მირიან მეფის თხზულებათა (მოგონებათა) კრებულს.

თავი II

ლეონტი მროველი–„ნინოს ცხოვრება“

წმიდანინოსმოციქულებრივიღვაწლიარაერთმათხზულებამშემოგვინახა.

ქართველთაგანმანათლებელიეკლესიამშეაფასაწოდებით„მოციქულთასწორი“,ხოლოსასულიერომწერლობამ–მისიმოღვაწეობისადა„სრბის“აღმწერარაერთიძეგლით.

„წმინდანინოსცხოვრების“ერთ-ერთირედაქციადაცულია XI საუკუნის II ნახევრისისტორიკოსის–ლეონტიმროველისეული„ქართლისცხოვრების“(ქართლისცხოვრება 1955: 72-130)სახელითცნობილკრებულში, სადაცავტორიეყრდნობა„ნინოსცხოვრების“უძველესრედაქციას.

ნაშრომში „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა დანათესავთა“მირიან მეფის მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ნინო განმანათლებლის ამბავიც არის გადმოცემული.ლეონტი მროველის რედაქცია შატბერდულ-ჭელიშურის თავისებური გადაკეთებაა. მარიამ დედოფლისეულსა და ანა დედოფლისეულის ქართლის ცხოვრებაში ერთს ადგილას აღნიშნულია: – „არჩილის წამება და მეფეთა ცხოვრება და ნინოს მიერ ქართლის მოქცევა ლეონტი მროველმა დაწერა“.

ვინ იყო ლეონტი მროველი და როდის ცხოვრობდა იგი, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება. საყურადღებოა, რომ ათონის ივერთა მონასტრის ერთ ხელნაწერში (N61), ნ.მარის სიტყვით მოხსენიებული ყოფილალეონტი მროველი მთავარეპისკოპოსი, მაგრამ ამ უკანასკნელის შესახებაც მეტი ცნობები არ არსებობს. ისტორიკოსი და ათონის ხელთნაწერში აღნიშნული ლეონტი მროველი ერთი და იგივე პირია თუ არა. მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია განვსაზღვროთ დრო, როდესაც მოღვაწეობდა ჩვენი ისტორიკოსი.

ლეონტი სარგებლობს„მოქცევა ქართლისა“ და შატბერდისეულ წმიდა ნინოს ცხოვრებით, მოხსენიებული აქვს ანდრია და სვიმონ კანანელის ქადაგება საქართველოში. ამის გამო შეუძლებელია ლეონტი მროველს XI საუკუნეზე ადრე ეცხოვრა.

ლეონტი მროველის თხზულებას „ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ ჩვენამდე არ მოუღწევია როგორც თვით ავტორს

უნდა დაეწერა და დაუწერია. „ნინოს ცხოვრება“ გადამწერთაგან დროთა განმავლობაში თვალსაჩინოდ დაზიანებულია.

ნაწარმოები იყოფა ორ ნაწილად: პირველი შეიცავს ქართველთა „პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა და მეფეთა“ ცხოვრებას წარმართობის დროს, ხოლო მეორე – მირიანითგან მოყოლებული ვახტანგ მეფემდე.

ლეონტის მიერ დაწერილი „ქართლის მოქცევა“ და „წმიდა ნინოს ცხოვრება“ თითქმის სიტყვა-სიტყვით გამეორებაა შატბერდისეულ წმიდა ნინოს ცხოვრებისა. ამიტომაც არსენ კათალიკოზს სრული უფლება ჰქონდა შატბერდისეულ წმიდა ნინოს ცხოვრებისა და ლეონტის თხზულების ამ ნაწილის შესახებ ეთქვა: – „მრავალკეცსა და მასვე თანააღრეულობასა ჰამბავისასა“ მკითხველი ვერ ასდის, ორივე ნაწარმოები „მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უხმარ“-ო.

მიუხედავად იმისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტის „ნინოს ცხოვრება“ თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ერთმანეთს, მათში მაინც შეინიშნება ლეონტი მროველის მიერ შეტანილი ცვლილებები, როგორც პერიფრაზული, ასევე თანმიმდევრული განლაგების მხრივ.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ იწყება გიორგი კაბადოკიელის ხსენებით, ხოლო ლეონტი მროველი შესავალს აკეთებს და ასახელებს დასაწყისშივე წმინდა ნინოს ცხოვრების აღმწერლებს: დედოფალს, სალომე უჯარმელს, მის ცოლს მირიან მეფისა, ასულს თრდატ სომეხთა მეფისა და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს საუბარს გიორგი კაბადოკიელზე.

„მოქცევაჲ“ ასევე აგრძელებს თხრობას და საუბრობს: – „კაცი ერთი ვინმე, რომელიც ჰრომთა მეფის წინაშე წავიდა მსახურებად“, და ცოტა მოგვიანებით ასახელებს ამ ერთი ვინმე კაცის ვინაობას, ხოლო ლეონტი თავიდანვე შენიშნავს, რომ მას ზაბილონი ერქვა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ლეონტის თხზულება უფრო გვიანდელია და ის კარგად იცნობს სხვა რედაქციებს, შესაბამისად ლეონტის თხზულება ქრონოლოგიურად უფრო დახვეწილია და შინაარსობრივად უკეთ აღქმის საშუალებას იძლევა.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ნახსენებია ათი საერისთავო და მდინარე, ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ცოტა სახელცვლილია მათი სახელწოდებები.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – დაიდრა ათი საერისთავო: ხოლამაი და ხოზაბაი, ხლაჭაი, ხენეშაგი, ტიმგარაგი, ზაქაი, ზარგაი, ზარდაი, ზარმაი და თმონიგონისამეფოი და მოეგებვოდეს მდინარესა დიდსა ღდამარასა (**მოქცევაჲ 2008:54**).

ლეონტი მროველი: – მაშინ დაიდრნენ ათი საერისთაონი: ხოზამა, ხოზა, გაახილაჯა, ტენეზაგა, ხინგარაგი, ზიჯა, ზაგა, ზადა, ზარმა და თმონიდი სამეფოდა მიეგებვოდეს ესე ყოველი მდინარესა ზედა დიდსა და ღრმასა (**ქართლის ცხოვრება 1955:74**).

პარალელურ ტექსტში კარგად ჩანს, რომ ლეონტი მროველი შერჩევით, მაგრამ თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს „მოქცევაჲს“ ცალკეულ მონაკვეთებს, თუმცა მას ცვლილებები შეაქვს პირველწყაროდან დამოწმებულ სახელწოდებებში:

1) „**მოქცევაჲ ქართლისაჲ**“-ში ნახსენებია ასევე პატრიარქის და– სუსანას სახელით, ხოლო ლეონტი მას, როგორც სოსანას, ისე გვამცნობს;

2) „**მოქცევაჲში**“ ზაბილონი წმინდა ნინოს ეუბნება, თუ შენ გაქვს შიში ღვთის, იგი ყველაფერს მოგცემს, ხოლო ლეონტი შიშის ნაცვლად იყენებს სიტყვა სიყვარულს, რაც ნათელს ხდის იმას, რომ ლეონტი ტექსტს შინაარსობრივად არ ცვლის, თუმცა აკეთებს საკუთარ ინტერპრეტაციებს;

3) „**მოქცევაჲში**“ ნახსენებია „**ჰურიები**“, ანუ იუდეველები, ხოლო ლეონტი მათ მხოლოდ მოსეს რჯულის მცოდნეებად მოიხსენიებს;

4) „**მოქცევაჲში**“ თავდაპირველად არაა დასახელებული ქალაქი იერუსალიმი, სადაც ჯვრებია დამარხული, ლეონტი კი მაშინვე ასახელებს მას, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ლეონტი კარგად იცნობს „**მოქცევაჲს**“ ტექსტს და ეს ქალაქიც უკვე მისთვის ცნობილია;

5) ასევე ეს ორი ტექსტი ენობრივი თვალსაზრისითაც განსხვავდება, ვინაიდან „**მოქცევაჲში**“ შეინიშნება ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები, მაგალითად: „**მოქცევაჲ**“ – მო-ვინმე-ვიდა, ხოლო ლეონტისთან გვაქვს– მოვიდა;

6) „**მოქცევაჲში**“ საუბარია, რომ წმიდა ნინო პატრიარქის (ბიძის) კურთხევით ერთ დედაკაცთან ერთად გაემართა და იქ ნახა დედოფალი, მეფეთა შთამომავალი, სახელად რიფსიმე. ლეონტი მროველი კი განავრცობს საუბარს და აქვე ასახელებს რიფსიმეს დედამამუძეს გაიანეს.

ასევე „მოქცევაი ქართლისაი“-ში თავიდანვე არაა დასახელებული კონკრეტულად სად წავიდა წმიდა ნინო რიფსიმესთან ერთად, ხოლო ლეონტი გვაუწყებს, რომ ეს ადგილი იყო „ჰრომი“;

7) „მოქცევაჲს“ ტექსტიდან ასევე ვგებულობთ, რომ საბერძნეთს მოხედა უფალმა და მათ ირწმუნეს ქრისტეს რჯული, და ეს მოხდა დასაბამიდან 544, ხოლო ქრისტეს ამალეებიდან – 311 წლებში. ლეონტი კი ამ საკითხს საერთოდ არ ეხება;

8) „მოქცევაჲს“ ასევე საუბრობს ნიკეას კრებაზე „მეშვიდესა წელსა იყო წმიდაი კრებაი ნიკეას“, რაზედაც ასევე არ საუბრობს ლეონტი მროველი;

9) „მოქცევაჲს“ მწირად საუბრობს იმაზე, თუ როგორ წარმოემართნენ წმიდა ნინო, დედოფალი რიფსიმე და გაიანეორმოცდაათ მხლებელთან ერთად და მივიდნენ სომხეთში, 15 იანვარს, თრდატ მეფის ბაღში, სადაც რიფსიმე და გაიანე სიკვდილით დასაჯეს, პირველი თვის ოცდაათში, პარასკევ დღეს, ხოლო ლეონტი მროველი უფრო ვრცლად წარმოგვიდგენს ამ მონაკვეთს. ის მოგვითხრობს, რომ კეისარმა, რომელსაც რიფსიმეს ცოლობა სურდა, გამოუშვა კაცი საძებნელად. მათ იპოვეს ის და მისი ხატი გაუგზავნეს კეისარს ამოსაცნობად, რის გამოც კეისარი გამხიარულდა და დაიწყო საქორწილო სამზადისი, ხოლო როცა ქალწულებმა იხილეს ეშმაკის მიერ მოვლენილი განსაცდელი, ერთობლივი განზრახვით დატოვეს ქვეყანა;

10) „მოქცევაჲში“ ვგებულობთ, რომ წმიდა ნინო რიფსიმე და გაიანესთან და ორმოცდაათ ადამიანთან ერთად სომხეთში გაიქცა, თუმცა კონკრეტულად რომელ ქალაქში, არაა დასახელებული; ხოლო ლეონტი აკონკრეტებს ქალაქის სახელწოდებას და გვაუწყებს, რომ ეს ქალაქი დვინი იყო და იმასაც დასძენს, რომ ეს ქალაქი ვაჭრობით გამოირჩეოდა. ასევე დამატებითი ინფორმაციის სახით გვამცნობს წერილის შესახებ, რომელიც კეისარმა სომხეთის მეფეს გაუგზავნა, სადაც ის ატყობინებს, რომ ეს ქალწულები (რიფსიმე და გაიანე) ემსახურებოდნენ ჯვარცმულ ღმერთს და სიკვდილით დაესაჯა ისინი, ხოლო რიფსიმე კი მისთვის გაეგზავნა;

11) „მეფეთა ცხოვრების“ II ნაწილი იწყება ნინოს მიერ ქართლის მოქცევით. როგორც ჩანს, ლეონტი მროველის ცნობა და სხვა რედაქციები ზუსტად არა, მაგრამ ერთმანეთს შინაარსით მიჰყვება. თუ „შატბერდის კრებულში“ ავტორის თხრობასშიგადაშიგ ერთვის პირველ პირში თხრობა ნინოს მიერ, მროველთან

თხრობა მესამე პირში მიმდინარეობს. ეს გასაგებიცაა, რადგან საისტორიო ჟანრშია ჩართული ნინოს ცხოვრების ეპიზოდი და სტილი ამგვარი უნდა იყოს.

რაც შეეხება ათ მცნებას, რაც არის „მოქცევაში“, იგივე გვხვდება ლეონტი მროველთანაც. ორივე რედაქციის თანახმად, წმიდა ნინოს ეუწყა, რომ ის საქართველოში უნდა შემოსულიყო საქადაგებლად.

„მოქცევა ქართლისაჲ“-ს ტექსტი გვამცნობს, რომ წმიდა ნინომ საქართველოსკენ წამოსვლის შემდეგ დაიზამთრა ულოპორეთში, რეალურად კი ეს ადგილი არ არსებობს, იგი ნიშნავს ტყიან ადგილს და იქ ნახა ტბა, რომელსაც ფარავანი ერქვა. ლეონტი მიუთითებს, რომ წმიდა ნინო მივიდა ორბანათ, სომხეთის საზღვარზე და იქ დაიზამთრა. იპოვა ტბა, რომელსაც ფარავანი ერქვა. ლეონტი ასევე დამატებით ცნობებს იძლევა ამ ადგილის კლიმატის შესახებ – მიუხედავად იმისა, რომ ზაფხული იყო, თოვლი იდო ირგვლივ და სასტიკი ჰაერი იგრძნობოდა;

12) „მოქცევაჲ“ მოკლედ გვამცნობს, რომ წმიდა ნინომ მწყემსებს ჰკითხა ადგილის ვინაობა, ხოლო ლეონტი იმასაც აღნიშნავს, რომ წმიდა ნინომ ნიაფორისგან ნასწავლი სომხური იცოდა და ამის მეშვეობით შეძლო მწყემსებს გასაუბრებოდა;

13) ასევე საყურადღებოა ქალაქების დასახელება. წმიდა ნინო მწყემსებს ეკითხება, თუ სადაურები არიან ისინი. „მოქცევაში“ დასახელებული ქალაქის სახელწოდება ლეონტის ტექსტში დასახელებულისაგან დაწერილობით განსხვავდება:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მწყემსებმა უთხრეს: „ზოგნი დაბაი ელირგნით, ზოგნი საფურცლით და ზოგნი ქინჯარელნი, და რაბატელნი დიდისა ქალაქისა მცხეთისანი, სადა ღმერთი ღმერთობენ და მეფენი მეფობენ“ („მოქცევაჲ“ 2008:64).

ლეონტი მროველი – „დაბით ელარბინით და საფურცლით, და ქინძარელნი“ (ქართლის ცხოვრება 1955:85).

ნიშანდობლივია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“- ეს არის პირველი წყარო, ხოლო ლეონტის ეს ტექსტი კარგად შესწავლილი აქვს. მას ის გადაუმუშავებია, განუვრცია, ზოგიერთ ადგილას შესწორებებიც შეუტანია. სწორედ ეს უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ლეონტი ზოგიერთ ადგილს უფრო აკონკრეტებს ან ქრონოლოგიურად წინ უსწრებს პირველწყაროს;

14) წმიდა ნინოს მცხეთაში მისვლის, იქ წარმართი ხალხის ხილვის ეპიზოდი ლეონტის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სრედაქციიდან სიტყვა-სიტყვით აქვს გამეორებული.

ამის შემდეგ კი უკვე იწყება „მოქცევაჲს“ თავებად დაყოფა, და თავი „ვ“-ს ავტორად დასახელებულია სალომე უჯარმელი, ასეთ დაყოფას კი ლეონტისთან ადგილი არ აქვს. ლეონტი ქრონოლოგიურად, თანმიმდევრობით გვესაუბრება, თანაც მესამე პირში.

განსხვავება შეინიშნება ასევე არმაზის კერპის აღწერისას,კერძოდ:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“- არმაზის კერპს თავს ეხურა ოქროს ჩაფხუტი და სამხარნი ესხნეს ფრცხილი და ბივრიტი და ხელსა მისსა აქუნდა ხმალი ლესული”. („მოქცევაჲ“ 2008:79).

ქართლის ცხოვრება- „თავსა მისსა ეხურა ჩაბალახი, მყარი და თუალნი ესხნეს ზურმუხტი და ბივრილი, ხოლო ხელთა აქუნდა ხმალი ბრწყინვალე“. (ქართლის ცხოვრება 1955:89).

„მოქცევაჲ“ ქანდაკებას, როგორც კერპს ისე მოიხსენიებს, ხოლო მროველი კი კაცს უწოდებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – „და მარჯულ მისა იდგა კერპი ოქროისა და სახელი მისი გაცი“(„მოქცევაჲ“ 2008:70).

„ქართლის ცხოვრება“- „და კულად იყო მარჯვენითმისა კაცი ოქროსი და სახელი მისი გაცი“(ქართლის ცხოვრება 1955:89).

„მოქცევაჲ“ ასევე ასახელებს მეორე კერპს და მას უწოდება „გა“-ს, ხოლო ლეონტი კი - „გაიმს“.

„მოქცევაჲში“წმიდა ნინო ურწმუნოებს მოიხსენიებს, როგორც „უჩინო“, ანუ უჩინარ სულებად, ხოლო ლეონტი კი მათ ურჩებს უწოდებს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“- „მოხედენ და შეჰრისხენ სულთა ამათ უჩინოთა...“ („მოქცევაჲ“ 2008:70).

„ქართლის ცხოვრება” – „შეჰრისხენ სულთა ამათ ურჩითა...“ (ქართლის ცხოვრება 1955:90);

15) ასევე სხვაობა შენიშნება ძვირფასი თვალის დასახელებისასაც. „მოქცევაჲ“ გვეუბნება, რომ როცა სასტიკი ქარი ჩადგა, წმიდა ნინო გამოვიდა კლდის

ნაპრალიდან და იპოვა თვალი ბივრიტი („მოქცევაჲ“ 2008:74), ხოლო „ქართლის ცხოვრებაში“ ამ თვალს ლეონტი ბივრილს უწოდებს (ქართლის ცხოვრება 1955:92);

16) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში მოკლედაა გადმოცემული როგორ იხილა წმიდა ნინომ ჩვენებაში, რომ უნდა აეღო მიწა და მიეცა საჭმელად ანასტოსისა და მისი მეუღლისთვის (რადგან ისინი უშვილობით იტანჯებოდნენ) – და ასეც მოვიქციო დასძენს წმიდანინო („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2008:76), ხოლო ამ ეპიზოდს ლეონტი განავრცობს წმიდა ნინოს საუბრით, სადაც იგი ცოლ-ქმარს ესაუბრება იესო ქრისტეზე და ქრისტიანული სარწმუნოების მნიშვნელობაზე, და ასევე აღნიშნავს, რომეს ცოლ-ქმარი აქამდე ქრისტიანები არ იყვნენ და ამ ფაქტის შემდეგ ისინი ფარულად დაემოწაფნენ წმიდა ნინოს (ქართლის ცხოვრება 1955:94);

17) ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ საუბრობს უფლის კვართზე. წმიდა ნინოს ნიაფორისაგან გაგებული ჰქონდა, რომ „კუართი უფლისა მცხეთელთ ჰურიათა წაულიაო“, და იგი დაინტერესებული იყო მოემია იგი. სწორედ ამის გამო მან იპოვა ერთი ჰურია მღვდელი, სახელად აბიათარიდა უქადაგა მას და მის ასულს სიდონიას სახარება უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი. ხოლო მათ ირწმუნეს და დაემოწაფნენ მას. მათთან ერთად ექვსნი დედანი და სხვა ჰურიანი. აიღეს წმინდა ნინოს სწავლება და მისი ხელით მოინათლნენ, და ფარულად დაემოწაფნენ მას და ასე დადიოდა წმინდა ნინო მცხეთაში სამი წლის განმავლობაში. „მოქცევაჲში“ კი ეს ცნობები მწირად და სხვადასხვა თავში გაბნეულად არის მოცემული;

18) „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ – თავი „ზ“ (თავი 7) იწყება აბიათარ მღვდლის შვილის– სიდონიას ნაამბობით („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2008:78), ხოლო ლეონტი მროველი კი მას ასე ასათაურებს: „თქმული აბიათარ მღვდელისა, რომელი დაემოწაფა წმიდასა და ნეტარსა ნინოს“ (ქართლის ცხოვრება 1955:108), თუმცა ეს თავები ერთმანეთს თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევენ, ავტორებად სხვადასხვა პიროვნებებია დასახელებული.

აღნიშნულ თავებშიავტორი მოგვითხრობს ქრისტეს დაბადების, წამებისა და მისი კვართის ჩამოტანის შესახებ საქართველოში– ლონგინოს კარსნელისა და ელიოზ მცხეთელის მიერ, –თუ როგორ გაემართა ელიოზი უფლის ჯვარცმის დღეს იერუსალიმში და როგორ შეევედრა მას თავისი დედა არ ზიარებულიყო უკეთურ საქმეს.

წავიდა ელიოზი და სხვა იუდეველები, რომლებიც მოწმენი გახდნენ უფლის ჯვარცმისა, ხოლო ელიოზს წილად ხვდა სამოსელი უფლისა, რომელიც თან წამოიღო. ელიოზის დამ ჩაიკრა გულში კვართი და მაშინვე მიიცვალა. ელიოზმა ის კვართთან ერთად დაკრძალა, ვინაიდან შეუძლებელი გახდა მისთვის კვართის გამორთმევა. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში იხსენიება მეფე ამაზაერ, აბიათარის ძმისწულის შვილი, რომელიც ცდილობდა კვართის ხელში ჩაგდებას, ხოლო ქართლის ცხოვრებაში ლეონტი მას მოიხსენიებს, როგორც ადერკი მეფეს.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „მაშინ იყო მცხეთაში მეფეების, მთავრებისა და მთელი ხალხის დიდი მღელვარება. ნახა ამაზაერ მეფემ იესოს სამოსელი და უნდოდა მისი წაღება, მაგრამ მკვდარი ქალის მიერ სამოსლის ხელში ჩაგდების შემზარავი ამბის გამო შეეშინდა და ვერ გაბედა. („მოქცევაჲ“ 2008: 87)

„ქართლის ცხოვრება“: „მაშინ იყო საკვირველი დიდი და შეშფოთება მცხეთას შინა. რამეთუ განკვირდა თვით დიდი მეფე ადერკი და ყოველი სიმრავლე ერისა და მთავართა. და სთნდა მეფესა ადერკის სამოსელი იგი, გარნა საკვირველებისა მისგან შეშინებულ იქმნა და არა ინება გამოღება ხელთაგან მის მკუდარისათა“. (ქართლის ცხოვრება 1955:100).

კვართის ადგილსამყოფელის შესახებ ორივე რედაქციაში განსხვავებული ცნობებია წარმოდგენილი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „დის სამარხის შესახებ ნათქვამია, რომ ეს არის ის ადგილი, რომელიც იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყვს, რამეთუ არა ჯერ არს სიტყუად აწ“ („მოქცევაჲ“ 2008:86).

„ქართლის ცხოვრება“: „და ელიოზ დამარხა დაი თვისი, ხელთა აქუნდა სამოსელი იგი უფლისადა არს ადგილი იგი, რომელი უფალმან უწყის“ (ქართლის ცხოვრება 1955:100).

ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“ დამატებითი ინფორმაციის სახით გვატყობინებს, თუ როდის მოხდა აბიათარის წმიდა ნინოთიდაინტერესება. აბიათარი გვაუწყებს, რომ მას მცხეთაში სწორედ იმ პერიოდში ხვდა წილად ყოფილიყო, როდესაც წმიდა ნინო მცხეთაში მივიდა. ანტიოქიიდან მოვიდა ჰურია მღვდლისაგან წერილი, რომელშიც ეწერა, რომ: – „ღმერთმა სამად განხეთქა მეფობა ისრაელისა და ჰრომთა დაიპყრეს ჩვენი ქვეყანა, მთელი ერი ვტიროდით, რადგან

განვარისხეთ ღმერთი შემოქმედი“. წერილში ასევე აღწერილი იყო, თუ როგორ მოკლეს იესო. და ვითარმედ რომ არა ისმინა მათი ვედრება და არც ლხინი მოუვლინა, რომლის გამოც საგონებელში ჩავვარდნენ, ვითარმედ ნუ უკუე და ზეცით იყო განგება ესევეთარი“ განამრავლა მოწერილი. აბიათარი ამბობს, რომ როგორც კი ეს შვეტიცვე ეს დავიწყე წმიდა ნინოს მოკითხვა ქრისტესთვის, თუ ვინ იყო იგი, ანუ რომლისა მიზეზისთვის იქმნა იგი კაც მე ღმრთისა. „მაშინ წმიდა ნინომ აღიღო პირი და დაიწყო საუკუნო ქადაგება, წიგნთა ჩვენთა ზეპირად ამბობდა და განმარტავდა და მე, როგორც მძინარეს მალვიძებდა და გონიერ-მყოფდა, სჯულის შეცვლაში მარწმუნებდა, მანამ სანამ არ მრწმენა სიტყუათა მისთა. და მე და ჩემი შვილი ღირსი გავხდით ემბაზისა წყლისა. და კვლავ მრავალი სასწაული იხილა ჩემმა თვალმა მცხეთას, წმიდა ნინოს აღსრულებული დღეთა ჩვენთა“ (ქართლის ცხოვრება 1955:101).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში, სიდონია გვამცნობს (თავი „ჰოი“), რომ მან წმინდა ნინო იხილა პირველად მცხეთის ციხის თავზე, მაღალ კოშკზე, ბრინჯის ხის ქვეშ, ბარტან მეფის საგრილობელში, როცა მოსასვენებლად იჯდა („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2008:88).

„ქართლის ცხოვრებაში“ კი არ არის ნახსენები, თუ როდის ნახა პირველად სიდონიამ წმიდა ნინო. აქ უკვე ტექსტში ვხედავთ, რომ სიდონია დამოწაფებულია და წმიდა ნინო მას საკუთარი ჩვენების შესახებ ესაუბრება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 1955:101).

„მოქცევაჲში“ მწირად არის წარმოდგენილი ნანა დედოფლის განკურნება, („მოქცევაჲ“ 2008:90), ხოლო ლეონტი კი დიალოგებს წარმოგვიდგენს, რომელიც განკურნებას უძღვის წინ (ქართლის ცხოვრება 1955:104).

ეპიზოდი, როცა მირიან მეფე დაავადებულ სპარსს მიუყვანს წმიდა ნინოს, თითქმის დუბლირებაა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების, თუმცა განსხვავებაც შეინიშნება. „მოქცევაჲში“ ნახსენებია ქალდეველთა ღმრთის სახელი- ითრუშანა, ხოლო ლეონტი მროველი მას მოიხსენიებს როგორც- ითრუჯან.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „ეგ არმაზი და ქალდეველების ღმერთი ითრუშანა ყველანაირად მტრები არიან“ („მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2008 :92).

„ქართლის ცხოვრება“: ესე არმაზ ქართველთა და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან“**(ქართლის ცხოვრება 1955: 107).**

მირიან მეფის მოქცევას ორივე რედაქციაში ერთი და იგივე ავტორი ჰყავს–სიდონია, რომელიც საუბრობს მირიან მეფის მოქცევის სასწაულზე, ასევე ჯვრის სასწაულებრივად აღმართებაზე, ეკლესიათა აღშენებაზე და მას შინა სასწაულებზე.

ამ თავს ლეონტი, რა თქმა უნდა, უფრო ვრცლად წარმოგვიდგენს. კონკრეტულად **„მოქცევაში“** არაა საუბარი იმაზე, თუ როგორ დაიბარა მირიან მეფემ მსახურები და დაავალა მათ ქრისტიანების შემუსვრა, რადგან მიიჩნევდა, რომ ისინი გრძნეულებით ჩადიოდნენ სასწაულებს; და თუ ნანა დედოფალიც არ მოეგებოდა გონს, მასაც იგივე ელოდა **(ქართლის ცხოვრება 1955:109).**

მირიან მეფის მიერ სანადიროდ წასვლა, იქ მზის დაბნელება და მირიან მეფის მიერ ნინოს ღმრთის– იესოს აღიარებას ორივე რედაქცია სიტყვასიტყვით იმეორებს, ხოლო როცა მირიან მეფე საბერძნეთში აგზავნის მოციქულებს, ამ ეპიზოდს ლეონტი უფრო ვრცლად წარმოგვიდგენს:

„მოქცევა ქართლისაჲ“: „და ხვალისა დღე წარავლინა მოციქულნი საბერძნეთსა. ხოლო ნეტარი ნინო ასწავებდა დღე და ღამე ყოველსა კაცსა ჭემმარიტსა მას გზასა სარწმუნოვებისასა. **(„მოქცევაჲ“ 2008:100).**

„ქართლის ცხოვრება“: „და ხვალისა დღე წარავლინნა მოციქულნი საბერძნეთად მირიან მეფემან წინაშე კონსტანტინე ბერძენთ მეფისა და წიგნი ნინოსი ელენე დედოფალსა წინაშე და აუწყეს ესე ყოველი სასწაული ქრისტეს მიერი, რომელი იქმნა მცხეთას შინა მირიან მეფესა ზედა და ითხოვეს მოსწრაფებით მღვდელნი ნათლისღებისთვის; ხოლო წმინდა ნინო და მოწაფენი მისნი ქადაგებდეს ერსა მას ზედა დღე და ღამე დაუცხრომელად, და უჩუენებდეს ჭემმარიტსა სასუფეველისასა“**(ქართლის ცხოვრება 1955:111).**

„მოქცევაჲსაგან“ განსხვავებით, ლეონტი მროველი ასევე გავრცობილად და თანმიმდევრულად წარმოგვიდგენს ეკლესიის მშენებლობისა და ძელის აღმართვის ეპიზოდს:

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „ხოლო მეფემან ჰრქუა: „მიყუარან მაყვალნი ეგე შენნი და მუნ მინებს გონებითა, არამედ არა ესრეთ, არამედ არა ვჰრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა

მათ სულწელებასა, არამედ მას შინა აღვაშენო ტაძარი სალოცველად ჩემდა, რომელი ეგოს უკუნისამდე“ („მოქცევა“ 2008:100).

„ქართლის ცხოვრება“: რქუა მეფემან: „მიყუარან მე მაყვალი ესე შენნი და მუნ მნებავს გონებითა ჩემითა, გარნა არა ვყო ესრეთ, არამედ არა ვრიდო სამოთხესა მას სამეუფოსა, და ნაძუთა ამათ სიმაღლესა, და ბაბილოთა ამათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა სურწელებასა. რამეთუ ჩუენება რომელი იხილე შენ ფრინველთა მათ ფრთითა უშუერითა განზანა წყლითა და განსპეტაკება ბრწყინვალედ; და დასხდომა მათი ხეთა მათ ზედა სამოთხისათა და ხმოზა მათი ხმითა ტკბილთა,- ჭემმარიტად სამოთხე ესე ხორციელი წარწყმედილი შეგეცვალოს სამოთხედ საუკუნოდ, და მუნ აღვაშენოთ სახლი ღმრთის სალოცველად ჩუენდა ვიდრე მოსვლამდე მღვდელთა საბერძნეთით“ (ქართლის ცხოვრება 1955:111).

(ძელის აღმართვის ეპიზოდი)

„მოქცევა ქართლისა“: „და მეყსეულად მოიღეს ძელი და იწყეს შენებად და მოჰკვეთეს ნაძვი იგი და შეამზადეს სუეტად და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი ეკლესიისაი. და იყო სუეტისა მის საშინელ ხილვაი და საძირკუელი რომელი ზემო წერილ არს“ („მოქცევა“ 2008:102).

„ქართლის ცხოვრება“: „და მეყსეულად მოილო ძალი და ასწავებდა ხუროთა, და მოჰკუეთა ნაძვი იგი და ნაძვსა მისგან შემზადნა შვიდნი სუეტნი ეკლესიისანი. და ვითარ აღაშენეს კედელი იგი ძელითა, და აღმართნეს ექუსნი იგი სუეტნი თვისთვისად. ხოლო სუეტი იგი უდიდესი, რომელი საკვირველ იყო ხილვითა, საშუალ ეკლესიისა შესაგდებელად გამზადებული, ვერ შეუძლეს აღმართებად მისა. და აუწყეს მეფესა საკვირველი იგი ყოვლად ვერ-ძვრა ადგილთაცა სუეტისა მის“ (ქართლის ცხოვრება 1955:112).

„მოქცევა“ ტექსტიდან მწირად ვგებულობთ, რომ ეკლესიის შენების დროს საბერძნეთიდან მოდიოდნენ მღვდელთმთავრები და დიაკვნები, და მათ იწყეს საქართველოში ნათლისცემა; ლეონტი კი, რა თქმა უნდა, არ არღვევს ტრადიციას და აქაც გავრცობილად გვამცნობს, რომ მირიან მეფემ მოციქულები საბერძნეთში კონსტანტინე მეფისა და ელენე დედოფლის წინაშე გააგზავნეს, რადგან მათ ეცნობინებინათ, თუ როგორ იღებდა ნათელს მოსახლეობა საქართველოში. ამისთვის ისინი განმხიარულდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. მათ წარმოაგზავნეს მღვდელი იოვანე

ეპისკოპოსად და მასთან ერთად ორი მღვდელი და სამი დიაკონი და მიწერა კონსტანტინე მეფემ ლოცვის წიგნი, ასევე ჯვარი და ხატი მაცხოვრის და ასევე უამრავი საბოძვარი. ელენე დედოფალმა კი ქებისა და ნუგეშის წიგნი მისწერა მათ.

იოვანე ეპისკოპოსი და მასთან ერთად მღვდელნი, დიაკონნი და მოციქულები მცხეთად მივიდნენ და აღივსნენ სიხარულით მეფე და დედოფალი დაყოველი ერი მათი, რადგან მათ გულითადად სურდათ მონათვლა. აქვე ლეონტი დასძენს, რომ წმიდა ნინოს ხელით მოინათლა მირიან მეფე, ხოლო დედოფალი და მისი შვილები— მღვდლების საშუალებით.

ასევე ლეონტი ქართლის ცხოვრებაში აღნიშნავს, რომ მთიელმა კავკასიელებმა უარი განაცხადეს მონათვლაზე:

„ქართლისა ცხოვრება“: „არა ნათელ იღეს მთიულთა კავკასიანთა, არცა მოვიდეს მოფენასა მას ნათლისასა, არამედ დაადგრეს ბნელსა შინა ჟამ რაოდენ|მე. და ჰურიათა მცხეთელთა არავე ნათელიდეს, გარნა ბარბიანთა ნათელ იღეს ორმოცდაათმან სახლმან და იქმნეს ქრისტიანე ჭეშმარიტ“ (**ქართლის ცხოვრება 1955:117**).

სწორედ ამის გამო მეფემ უბოძა ბარბიანელებს დაბა, რომელსაც ჰქვია ციხე-დიდი. აქვე ლეონტი დასძენს, რომ არ მოინათლა ასევე მირიან მეფის სიძე ფეროზი, რომელსაც ჰქონდა რანი ბარდავამდინ მიცემული მირიან მეფისაგან. არცა ერმან მისმან ნათელ-იღო, არამედ ხორციელ ოდენ მსახურებდა მირიან მეფეს. (**ქართლის ცხოვრება 1955:117**).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და **„ქართლის ცხოვრება“**, ორივე ტექსტი ერთნირად გვაუწყებს, რომ მეფე და მთელი ქალაქი ქრისტიანობას შეუდგა. მათ დაიწყეს ეკლესიის მშენებლობა, მაყუალთა მათ ზედა, საყოფელსა წმიდისა ნინოსა, სადაც ახლა საეპისკოპოსოა. ამის გამო წმინდა ნინო ჰმადლობდა უფალს.

„მოქცევაიში“ დასათაურებული თავი „იგ“ (13), ქვესათაურად კი წარწერილია, რომ აქ არის „პატიოსნისა ჯვარისათვის, რომელი აღწერა იაკობ“, ლეონტისთან ეს თავი დასათაურებულია: „აღმართებისთვის პატიოსნისა ჯუარისა“.

აშკარაა, რომ ამ თავის დასახელება ერთმანეთს ემთხვევა. როცა მოინათლნენ მეფე და დედოფალი, მათი შვილები დაყოველი ერი, მაშინ იდგა ერთ ადგილას ხე, რომელიც საოცარ სურნელს გამოსცემდა. საკვირველი ფოთლები ჰქონდა ამ ხეს, ვინც შეჭამდა ამ ხის ფურცელს სიკვდილისაგან თავისუფლდებოდა. ეს წარმართებს

საკვირველად მიაჩნდათ და აუწყეს ეპისკოპოსსა იოვანეს ყოველივე, ხოლო ეპისკოპოსმა უთხრა: „აჰა ესერა, ჭეშმარიტად პირველთგანვე დამარხულ არს ქუეყანა ესე ღმრთისგან აღმოცენდა ხე იგი დამარხული ჟამისა ამისთვის. რამეთუ აწ მოეფინა მადლი ღვთისა ქართლსა და მის ხისგან ჯერ არს შქმნად ჯუარი პატიოსანი, რომელსა თაყუანის-ცეს ყოველმან სიმრავლმან ქართლისამან“**(ქართლის ცხოვრება 1955:119)** .

„ქართლის ცხოვრებაში“ ასევე ვკითხულობთ, რომ წავიდა რევ, ძე მეფის და ეპისკოპოსი და ერის სიმრავლე, მოჰკვეთეს ხე და რტოთი წამოიღეს. შეიკრიბა ხალხი ამ სასწაულის სანახავად. როცა ყველა ხე ხმელი იყო, ეს ხე მაინც მწვანით იყო შემოსილი **(ქართლის ცხოვრება 1955:119)**.

საკვირველი ხის აღმართვა ორივე რედაქციაში თითქმის სიტყვასიტყვით მეორდება.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „მაშინ ძირსა ზედა აღმართეს, კარსა ეკლესიისა სამხრითსა. ქუეყანასა მას ჩრდილოისასა და ჰბერვიდა წყალთაგან ნიავი და შლიდა ფურცელსა ხისგან მისგან და აძლევდა რტოთა მისთა და იყო ხილვაი მისი შუენიერ , ვითრცა სმენით ვიცით ხისა მისთვის ალვისა. და ესე მოვკვეთეთ თუესა მარტსა , დღესა პარასკევსა. და დადგა ხე იგი ოც და ათჩვიდმეტ დღემდე და არა შეიცვალა ფურცელი მისი, ვითარცა ძირსა მდგომარისაი თავსა წყაროისასა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მალნრისანი შეიმოსნეს ფურცლითა და ხენი ნაყოფიერნი შეიმკვნის ყუავილთა“. **(„მოქცევაჲ“ 2008:118)**.

„ქართლის ცხოვრება“: „და ძირსა ზედა აღმართეს ხე იგი კარსა ზედა ეკლესიისასა, სამხრით, სადა ბერვიდა ნელი ნიავი, და შლიდა ფურცელთა მის ხისათა, და ძვრიდა რტოთა მისთა. და იყო ხილვა მისი შუენიერი, ვითარცა სმენით ვიცით, ხისა მის ალვისა. ესე მოჰკვეთეს მარტსა ოცდახუთსა, დღესა პარასკევსა. და დაადგრა ხე ეგრეთ დღესა ოცდაჩვიდეტსა, და არა შეიცვალა ფურცელმან მისმან, ვითარცა დგა ძირსავე ზედა წყაროსასა, ვიდრემდის ყოველნი ხენი მალნარისანი შეიმოსნეს ურცლითა და ხენი ნაყოფისა გამომღებელნი შეიმოსნეს ყუავილითა“. **(ქართლის ცხოვრება 1955:120)**.

„მოქცევაჲსგან“ განსხვავებით, „ქართლის ცხოვრებაში“ ლეონტი მროველი ასახელებს ამ ხის მოკვეთის თვეს და რიცხვს.

„ქართლის ცხოვრება“: „ესე მოჰკვეთეს მარტა ოცდახუთსა პარასკევსა. და დადგა ხე იგი ეგრეთ დღესა ოცდაჩვიდმეტსა და არ შეიცვალა ფერი ფურცელმან“. (ქართლის ცხოვრება 1955:120).

ასევე მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ორივე რედაქცია („მოქცევაჲ“ და „ქართლის ცხოვრება“) მთიულთა გაქრისტიანების შესახებ. წმიდა ნინოს მირიან მეფემ უთხრა, რომ მას სურდა მახვილით მთიელთა და მისი სიძის ფეროზის მოქცევა: –„დავამონოთ ძესა ღმრთისასა და ვათაყვანოთ პატიოსანსა ჯვარსა“. ასევე ვფიქრობ საგულისხმოა პასუხიც, რომელიც მეფეს გასცეს: –„არა ბრძანებულ არს უფლისაგან მახვილისა აღება, არამედ სახარებითა და ჯუარითა პატიოსნითა უჩუენოთ გზა ჭეშმარიტი, მიმყვანებელი ცხოვრებად საუკუნოდ, დამადლმან ღმრთისამან განანათლოს ბნელი იგი გულთა მათთა“(ქართლის ცხოვრება 1955:125).

ასევე რედაქციებიდან ვგებულობთ, რომ წავიდა წმიდა ნინო და ეპისკოპოსი იოვანედა მათ თან წაიყვანეს ერთი ერისთავი. მივიდნენ და გაჩერდნენ წობენს, მოუწოდეს ჭართალელთა, ფხოელთა, წილკანელთა, გუდამაყრელთა და უქადაგეს მათ რჯული ქრისტესი. მათ არ ისურვეს ნათლისღება, მაშინ ერისთავმა მცირედ გამოიყენა მახვილი და შემუსრა მათი კერპები. გამოვიდნენ იქედან და დადგნენ ჟალეთს, და უქადაგეს ერწო-თიანელთა. ხოლო მათ შეიწყნარეს და ნათელ-იღეს; ხოლო ფხოველებმა დატოვეს ქვეყანა და გადავიდნენ თუშეთს. წმინდა ნინო ამის შემდეგ წავიდა რანს, ფეროზის მოსაქცევად, როდესაც მივიდა დაბა ბოდს, დაყო იქ რამოდენიმე დღე. და მოდიოდნენ კახეთით და აღიარებდნენ ქრისტეს. მაშინ წმინდა ნინო იქ დასნეულდა. როდესაც ეს გაიგო რევ, მირიან მეფის ძემ, და სალომე მისმა ცოლმა, რომელიც უჯარმას ცხოვრობდა, მივიდნენ წმინდა ნინოსთან და აცნობეს მეფესა და დედოფალსა. ხოლო მათ მიავლინეს იოვანეპისკოპოსი წმიდა ნინოს წამოსაყვანად, ხოლო წმიდა ნინო არ დამორჩილდა. მაშინ თვით მეფე და ერის სიმრავლე წავიდა წმიდა ნინოსთან, რადგან მთელი ერი წმიდა ნინოს ხედავდა როგორც ანგელოზს, ისინი ტიროდნენ მის გამო.

აქვე ორივე რედაქციის საშუალებით ვგებულობთ, თუ ვინ იყო წმიდა ნინოს ცხოვრების ჩამწერნი.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: და ეუბნებოდნენ მას პეროჟავრი სივნიელი და მათთან ერისთავნი და მთავარნი, თუ „ვინა ანუ სადათ მოხვედ ამა ქუეყანასა მაცხოვრად

ჩუენდა, ანუ სადათმე იყო აღზრდა შენი, დედოფალო; მაუწყე ჩვენ საქმე შენი. რასა იტყვი ტყვეობასა, ტყუეთა მხსნელო სანატრელო, რამეთუ ესერა გვისწავლეს შენ მიერ, ვითარმედ ყოფილ არიან წინასწარმეტყველი პირველ ძისა ღმრთისა, და შემდგომად მოციქულნი თორმეტნი და სხუანი სამოცდაათანი, და ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ, და ვითარ იტყვი, ვითარმედ ტყუე ვარ მე, ანუ ვითარ უცხო“ („მოქცევაჲ“: 2008:127).

„ქართლის ცხოვრება“: მაშინ წმინდა ნინომ თქვა: –„ასულო სარწმუნოებისანო, მახლობელნო დედოფალნო ჩემნო. გხედავ თქვენ, ვითარცა პირველთა მათ დედათა ყოველთა სარწმუნოებასა ზედა ქრისტესსა; გნებავს გზათა ჩემთა ცნობა, გლახაკისა მხევლისათა. აწ გაუწყოსცა, რამეთუ მოსრულ არს სული ჩემი ხორცად ჩემდა, მეძინების მე ძილითა დედისა ჩემისათა საუკუნოდ. არამედ მოიხუნით საწერელნი და დაწერეთ გლახაკი და უღები ცხოვრება ჩემი, რათა უწყოდინა შვილთაცა თქუენთა სარწმუნოება თქუენი, და შეწყნარება ჩემი, და სასწაულნი ღმრთისანი, რომელ გიხილვან. მაშინ მსწრაფლ მოიხუნეს საწერელნი სალომე უჯარმელმან და პეროქავრი სივნიელმან: იწყო სიტყუად წმიდამან ნინო, ხოლო იგინი წერდეს... და წარმოუთხრა ყოველი, რომელი ზემოთ დავწერეთ, ცხოვრება მის წმინდისა და ნეტარისა. და შევედრა მეფესა იაკობ მღვდელი, რათა შემდგომად იოვანესსა იგი იყოს ეპისკოპოს. მაშინ იოვანე ეპისკოპოსმან შეწირა ჟამი და აზიარა წმინდა ნინო ხორცსა და სისხლსა ქრისტესსა. და შევედრა სული თვისი მეუფესა ცათასა, ქართლად მოსვლითგან მისით მეთოთხმეტესა წელსა, ქრისტეს ამალღებითგან სამას ოცდათურამეტსაწელსა, დასაბამითგანთა წელთა ხუთი ათას რვაას ოცდათურამეტსა (ქართლის ცხოვრება 1955:127).

აქვე მეტად საინტერესო ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი წმიდა ნინოს გარდაცვალების შესახებ. „მოქცევაჲს“ მიხედვით, როცა წმიდა ნინო მიიცვალა, მისი ცხედრის დაძვრა ვერ შეძლო ორასმა ადამიანმა, ამიტომ იძულებული გახდა მეფე, წმიდა ნინო დაეკრძალა ბოდს, ხოლო ლეონტი ამბობს, რომ წმიდა ნინოს ბოდში დაკრძალვა მისი ანდერძის თანახმად მოხდა.

„ქართლის ცხოვრება“: „მაშინ შეიძრნენ ორნივე ესე ქალაქნი, მცხეთა და უჯარმა და ყოველი ქართლი, მიცვალებასა ნინოსსა. მუნმივიდეს და დამარხეს ძლევიტ შემოსილი გუამი მისი ადგილსავე ზედა კუხეთს, დაბასა ბოდისასა, რამეთუ მუნ

ითხოვა თვით დაფლვა მეფისაგან, შეხედვებითა ღმრთისათა: სიმდაბლისათვის ქმნა ესე წმიდამან, რამეთუ ადგილი იგი შეურაცხი იყო; და მწუხარე იყო მეფე და ყოველნი წარჩინებულნი მუნ დაფლვასა მისსა, არამედ მცნებისა და ანდერძისა მისისა აღსრულებისათვის დაფლეს მუნ“**(ქართლის ცხოვრება 1955:128)**.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“: „ხოლო მე განვიზრახე წმიდაი იგი გუამი ისი რაითამცა წარმოვიდე გულს-მოდგინებითა დიდითა აქა, წინაშე სუეტსა ნათლით შემოსილსა. და არა ვპოვე ღონე ყოვლადვე, რამეთუ ვერ განძრეს ორასთა კაცთა მცირე იგი ცხედარი, რომელსა ედა შეისუენა წმიდამან და სანატრელმან ნინო.მაშინ დავმარხეთ წმიდაი იგი გუამი მისი ყოვლად-ვე დიდებულისაი ბოდს, დაბასა კახეთისასა. **(„მოქცევაჲ“ 2008:144)**.

„ქართლის ცხოვრება“ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სგან განსხვავებით გვაუწყებს, რომ, როცა წმიდა ნინო მიიცვალა, მირიან მეფემ განამტკიცა ქართლი და ჰერეთი სარწმუნოებრივად. მაშინ კეისარს კონსტანტინეს, რომელსაც ჰყავდა მირიან მეფის ძე მძევლად, სახელად ბაქარი, გამოაგზავნა დიდი პატივით და მირიან მეფეს ასე მიწერა:–„მე, კონსტანტინე მეფე, თვითმპყრობელი, ახალი მონა ცათა მეუფისა, პირველ ეშმაკისაგან წარტყუნული და მერმე გამოხსნილი დამბადებელისა მიერ, მოვსწერე შენდა ღმრთივ-განბრძნობილისა და ჩემთანავე ახალნერგისა, მორწმუნისა მეფისა მირიანისა. იყავნ შენ თანა მშვიდობა და სიხარული! ვინათგან იცან შენ სამება ერთარსება, ღმერთი დაუსაბამო, დამბადებელი ყოვლისა, არღარა მიხმს მე, შენგან მძევალი, არამედ კმა არს ჩუენ შორის შუამდგომლად ქრისტე, ძე ღმრთისა, ხსნისათვის ჩუენისა. და შვილი შენი შენდანვე მომინიჭებებს, იხილე და განიხარე“.

(ქართლის ცხოვრება 1955:128).

ლეონტი მროველი ასევე აღნიშნავს, რომ მირიან მეფემ განასრულა ეკლესია საეპისკოპოსო და აღასრულა სატფურება მისი მრავლითა დიდებითა.და მოქცევით-გან მირიან მეფისათ მეოცდახუთესა წელსა მოკუდა ძე მისი რევ, სიძე თრდატ სომეხთა მეფისა, რომლისადავე მიეცა მეფობა სიცოცხლესავე მისსა. და დაფლეს აკლდამასვე, რომელი თვით მასვე რევს აღეშენა**(ქართლის ცხოვრება 1955:129)**.

ასევე ლეონტი მროველი გვამცობს, რომ ამავე წელს დასნეულდა მირიან მეფე. მან მოუხმო მის ძეს და ანდერძად დაუბარა, რომ: – „შვილო ჩემო, შენდა მომიცია გვირგვინი მეფობისა ჩემისა, და უანდერძა, რომ სადაც შეხვდებოდა კერპს შეემუსრა

და მისი შვილებისათვის ეცნობინებინა განკაცებული ქრისტეს შესახებ“; და მოაყვანებინა ჯუარი იგი წმიდა ნინოსი, რომელი პირველთაგან აქუნდა, და ჩამოჰკიდა გვირგვინი სამეფო ჯუარსა მას. დამოიყვანა ძე თვისი ბაქარ; და თავსა მისსა გამოსახა სახე ჯუარისა და აღესრულა მირიან მეფე და დაეფლა ზემოსა ეკლესიასა, საშუალსა სუეტსა სამხრითსა, ჩრდილოთ– კერძო; და მეორე წელსა მოკუდა ნანა დედოფალი, და დაეფლა მასვე სუეტსა დასავალით, სადა მირიან მეფე დამარხულ იყო (**ქართლის ცხოვრება 1955:130**).

(ასე ასრულებს მეფეთა ცხოვრებაში ლეონტი წმიდა ნინოზე საუბარს).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ქართლის ცხოვრებისაგან განსხვავებით, ცალკე თავად არის გამოყოფილი– მირიან მეფის ანდერძი, რომელიც აღწერა იაკობ მთავარ-ეპისკოპოსმა და მისცა სალომე უჯარმელს, თავის ძის ცოლს, რომელიც ჭეშმარიტად ყოველივეს მცოდნე იყო.

ზემოხსენებულ თავში თხრობა პირველ პირში მიმდინარეობს, მეფე საკუთარ თავს ოცდამეთექვსმეტე მეფედ მოიხსენიებს და ამბობს, რომ უფალმა მოხედა ცოდვით დაბნელებულ ქვეყანას: –„და იყო იმ დროს, როცა გაიხსენა უფლმა ჩრდილოეთის ეს ქვეყანა, ცოდვით დაბნელებული და ეშმაკის ცდომილებებით სავსე, ვიყავით ჩვენ, როგორც დასაკლავი ცხვრები, ვინაიდან მე ვარ ოცდამეთექვსმეტე მეფე, რა დროიდანაც ჩვენი მამები გამოჩნდნენ ჩემამდე“(**„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2008:139**).

ასევე მირიანი აღწერს, რომ კერპების მოსაწონი რომ გამხდარიყვნენ, უფრო მეტად კი ორი მთის, არმაზისა და ზადენის, რომლის ქვებიც კი დაელტვოთ ჩვილთა სისხლით.

ამავე თავში წმიდა ნინო, როგორც ტყვე ქალი, აი, ამ სახელწოდებით გვხვდება. მას ასე უწოდებს მირიან მეფე: –„ოდეს მოიწია ჟამი და მოვიდა ნეტარი ესე დედაკაცი, მოციქული და მხარებელი ძისა ღმრთისაი, წმიდაი ნინო, პირველ ვითარცა ტყუე, ვითარცა მწირი, ვითარცა შეუწევნელი, ვითარცა უსმი და უტყვი, რომელიც აწ მექმნა ჩუენ ტყუე იგი დედოფალ, უცხოდიგი– დედა. შეუწევნელი შესავედრებელ ყოველთა, და უტყვი იგი – ქადაგ ძლიერ და მეცნიერ დაფარულთა ჩემთა გულისსიტყუათა; და მომცა ჩუენ შჯული ახალი ცხოვრებისაჲ და სიხარულისაჲ. აქვე აღნიშნავს მირიან მეფე, რომ იგი გახდა წმიდა ნინოს მორჩილი და როგორც წმიდა ნინომ ასწავლა, ისე

აღაშენა მისი მამების ბაღში ეკლესია სალოცავად, სადაც აღმართა ნათლის სვეტი, რომელიც ღვთის მსახურმა თვალის დახამხამებაში მიწიდან ზეცისკენ აწია.

აქვე გადმოგვცემს მირიან მეფე ჯვრის აღმართვის შესახებ: –„და ოდეს მაუწყა აღმართებაი, წარვაგლინენ ხურონი ძიებად ხესა. და იპოვეს ერთი ხე, კლდეზე მარტო მდგომი, რომლისადა არა მიხებულ იყო ხელი კაცისაი.ეს ხე, როგორც ლეონტი აღნიშნავდა მოქცევაიც ადასტურებს, რომ სასწაულთმოქმედი იყო. რის გამოც მეფე გაკვირვებული იყო.იგი დასძენს, რომ: „და ერთი აღმართე იმ ადგილას, სადაც უფლისმიერი გამოცხადება ვიხილე, თხოთის მთაზე; ხოლო ერთი– ქალაქ უჯარმაში, რომელიც წაიღო სალომემ. და აღვაშენე ეკლესია ნინოს იმ მაყვლოვანში. და აღვაშენე ჩემთვის ზემო ეკლესია ქვით და მრავალი ხალხის მეშვეობით.ქვემო ეკლესიას ერქვა „წმიდათა წმიდა“, რის გამოც მე ვერ ვბედავდი შესვლას მღვდლების გარეშე, რადგან შიში იყო დაცემული ყველა ადამიანზე ცხოველი სვეტისგან; და ვერ გავბედე მის წინაშე ჩემი სამარისთვის მიწის ამოკვეთა, ამიტომ გავიმზადე ჩემი საფლავი ზემოთ, რადგან მეშინოდა მისი მე, ოდენ ცოდვის მოქმედს“.

„მოქცევაჲს“ მიხედვით, მირიან მეფემ ანდერძად დაუბარა ნანა დედოფალს, რომ თუკი ნანა დედოფალს მირიან მეფის შემდეგ დასცალდება ცხოვრება, სამეფო გაყოს ორად, ერთი ნაწილი წმიდა ნინოს საფლავს უძღვნას, რომ არ შეირყეს უკუნისამდე ის ადგილი, ასევე ვევედრები მთავარეპისკოპოსს, რომ დააწესოს იმ ადგილის დიდება, რადგან პატივისცემის ღირსია. ხოლო მის ძეს, რევს, დაუბარა: –„აწ სადაცა ჰპოვნე ქუეყანასა შინა შენსა ვნებანი იგი ქართლისანი, მაცთურნი კერპნი, ცეცხლითა დაწუნ და ნაცარი მათი შეასუ მათ, ვინ მათ ეგლოვდეს (შდრ.გამოსვლ.32,20).და ეს ამცნე შენს შვილებს, რადგან ვიცი მე ეს, კავკასიაში ისინი სწრაფადარ დაილევიან. და შენ ასე მოიქეცი: შენი თავი შეავედრე ზეცისგან განდიდებულ სვეტს და მიებარე მიწას საუკუნო ძალისთვის წმიდა სამების სარწმუნოებაზე, ამენ(„**მოქცევაჲ ქართლისაჲ 2008:148**).

ამრიგად,ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“ ემყარება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემავალ ორივე ტექსტს – „ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციას „ქართლის ცხოვრების“ შემდგენელი ქრონოლოგიური პარადიგმის ფუნქციას აკისრებს და სათანადო ადგილებში შეაქვს ჩანართები ვრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“.

თავი III

არსენ იყალთოელი–„ნინოს ცხოვრება“

ორივე რედაქციის ნაკლი (ქრონოლოგიური თანმიმდევრობის, მწყობრი, კომპოზიციის უქონლობა) გაითვალისწინა ახალი მეტაფრასტული რედაქციის XII საუკუნის დასაწყისში ავტორმა, როგორც ვარაუდობენ, არსენ იყალთოელმა. მან დიდი პატრიოტული შემართებით შექმნა ისტორიულ-ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც შეიცავს საინტერესო და ზოგჯერ უნიკალურ ცნობებს ქართლის მოქცევასა და განმანათლებელთა შესახებ.

„ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტულ რედაქციის ჩანართის ბოლოს არსენ ბერი² ახასიათებს მოციქულთა ქადაგების შემდეგ საქართველოში შექმნილ რელიგიურ ვითარებას: „მეფე ქართველთაჲ და უმრავლესი კერძო ქუეყანისა ჩრდილოისაჲ დაშთა მასვე სიბნელესავე და საცთურსა კერპთმსახურებისასა“, ამან კი შექმნა წმიდა ნინოს მისიონერული ღვაწლის აუცილებლობა-ო.

არსენ იყალთოელმა, ანუ იგივე არსენ ბერმა, შიო-მღვიმეში დაწერა ორიგინალური აგიოგრაფიული თხზულება ნინო განმანათლებლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. ეს დიდი ფაქტი განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: – ქართველ ინტელიგენციას საუკუნეების განმავლობაში აინტერესებდა საქართველოს გაქრისტიანების ისტორია და იმ მისიონერთა ვინაობა, რომელთაც პირველად იქადაგეს ჩვენში ქრისტეს სჯული. ამ პრობლემის გარშემო, მართალია, ადრეფეოდალიზმის ხანაში უკვე არსებობდა ფრაგმენტული ჩანაწერები, მაგრამ ქართლის მოქცევის გაბმული მოთხრობის უქონლობა მაინც დიდად იგრძნობოდა. სწორედ ამიტომ პატრიოტულად განწყობილ სასულიერო წრეებში თანდათანობით მწიფდებოდა იდეა, რათა ძველი ჩანაწერები ერთად თავმოყრილიყო და დაწერილიყო ისტორია – თუ როგორ მოიქცა ქართველი ხალხი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე, ვინ იყო პირველი ქართველი ქრისტიანი მეფე ან ვინ იყვნენ მათი მომაქცეველნი. აი, ეს ისტორია შეიქმნა IX საუკუნეში „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ძეგლის სახით, რომელიც ქართველი ხალხის

² „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტული რედაქციის ავტორად „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ მესამე ტომში დასახელებულია არსენ ბერი (შდრ: კეკელიძე 1980: 311). ი. ლოლაშვილისა და ვ. გაბიძაშვილის მოსაზრებით, არსენ ბერი და არსენ იყალთოელი ერთი და იგივე პირია (ლოლაშვილი 1978: 31-32). ამ მოსაზრებას მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს.

პოლიტიკური და სულიერი ცხოვრების ამბავს მოიცავს, მოგვითხრობს წინა ქრისტიანობის დროინდელი ქართველი მეფეების – მირიან მეფისა და ნინო განმანათლებლის მოღვაწეობას. ამ თხზულების საფუძველზე XI საუკუნის II ნახევარში ისტორიკოსმა ლეონტი მროველმა დაწერა ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის ახალი მოთხრობა – „მოქცევა მირიან მეფისა და მის თანა ყოვლისა ქართლისა წმიდისა და ნეტარისა დედისა ჩუენისა ნინო მოციქულისა მიერ“ და ჩართო იგი თავის საისტორიო ნაშრომში – „მეფეთა ცხოვრებაში“.

მაგრამ ამ ორივე თხზულებაში ნინოს ბიოგრაფია არ არის ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მისი გარდაცვალებიდან დაბადებამდე. ფრაგმენტულობის გამო შატბერდულ-ჟელიშური (ანუ „ქართლის მოქცევისა“) და ლეონტი მროველისეული რედაქციების წაკითხვა ნინოს ხსენების დღეს ეკლესია-მონასტრებში ვერ ხერხდებოდა. ამიტომაც ქართული სასულიერო მწერლობის წინაშე დადგა ახალი ამოცანა – დაწერილიყო ნინოს ცხოვრების ისეთი მოთხრობა, რომელიც დააკმაყოფილებდა XII საუკუნის ქართველი ინტელიგენციის მხატვრულ გემოვნებას, არ დაამახინჯებდა ისტორიულ სინამდვილეს, ივარგებდა ლიტურგიკულ პრაქტიკაში სახმარებლად და არც დაუპირისპირდებოდა საეკლესიო ცენზურას. მისი სრულყოფა შიო-მღვიმის მამებმა და ძმებმა არსენ იყალთოელს შესთავაზეს. არსენმა ეს თხოვნა ჩინებულად შეასრულა: დაწერა ნინოს ცხოვრების ახალი (ორიგინალური სტრუქტურის) რედაქცია, რომელიც თავისი ლიტერატურული და ისტორიული ღირებულებებით წინა რედაქციებზე მაღლა დგას. მან თავის ნაშრომს დაურთო საგულისხმო ანდერძი.

„წმიდანო მამანო და ძმანო!

ესე „ნეტარისა ნინოდის ცხოვრებად“ შეუწყობელად და განხნეულად „ქართველთა მოქცევისა“ თანა და „ჰანბავსა მეფეთასა“ თანა და აღრეულად სწერია, ვითარცა თქუენ უწყით: რომელიმე – თვით მის წმიდისაგან მოთხრობილად, რომელიმე – მეფისა მირიანისაგან. სხუაი – იაკობ მღვდლისაგან, სხუად – აბიათარისაგან, სხუად – სიდონისაგან, გარნა წინა და უკანა და უკანა წარ, იგივე და ერთი პირი. და ამისთვის საეკლესიოდ მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უხმარ და ვერ საცნაურ. ამის პირისათვის დაფარულად მდებარე იყო და თანა-წარვხჰხდებოდეთ მოთხრობასა ლუაწლისა მისასა დღესა ხსენებისა მისისა, რომელი–ესე დიდი

ზღუევად არს ყოველთა მორწმუნეთათვის და უფროსად ჩუენ ქართველთა – სასწაულთა და შრომათა და ღუაწლთა მისთა დავიწყებათა მიცემადი, რომელი-იგი ღმერთმან ადიდა და რომლისა მიერ განათლდა ნათესავი ჩუენი და ღმრთის მეცნიერებაი ჰპოვა.

ამისთვისცა ვიკადრე თვით მის წმიდისა მეოხებათა თანა-შეწევნითა და თქუენთა ბრძანებათა მოსწავებითა მე, უნდომან მტვერმან ფერხთა თქუენთამან ყოვლად უდებად ცხორებულმან და პატივისა არარაისა ღირსმან არსენი მონაზონმან, აღწერა და ცხოვრებასა მის წმიდისა ნეტარისასა მშობელთა მისთა თანა აღზრდით, სვლათა და შრომათა, ღუაწლთა და ქადაგებათა და საწაულთა შემდგომითი მიწყებით ლიტონითა სიტყვითა. იგი არს პირი, რომელი ძუელსა შინა სწერია. არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვისაი და გამოცხადებაი საქმისაი მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალ-კეცსა და მასვე თანა აღრეულობისა ჰანზავისასა თანა-წარხდილ ვარ. და უკუეთუ რაიმე შესავალად თხრობისა ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვისა სიტყუად გვხმარებია, იგიცა საღმრთოთა წიგნთან და წმიდათა მიერ თქმულისაგან არს და ყოველი ჭეშმარიტი და ჭეშმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ”...

ამ ანდერძში ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე:

ა) ასახელებს წყაროებს, რომლებიც გამოიყენა თხზულების წერისას, სახელდობრ: „ქართველთა მოქცევას“ (ანუ „**მოქცევად ქართლისაჲ**“-ს), ლეონტი მროველის „ჰანზავსა მეფეთასა“, საღმრთო წერილსა და წმიდა მამათა ნაშრომებს; ჩამოთვლის იმ პირთ, რომელნიც მოხსენიებულნი არიან „**ნინოს ცხოვრების**“ ქვეთავების ზედწარწერილებში (მირიან მეფეს, იაკობ მღვდელს, აბიათარს, სიდონიას და თვით ნინოს);

ბ) აღნიშნავს საკითხავთა ნაკლს – მათში თხრობის თანმიმდევრობა დარღვეულია („წინა უკანა და უკანა წარ“); ამის გამო წასაკითხად მოსაწყენია, მოსასმენად კი „უხმარ და ვერ საცნაური“-ო;

გ) იუწყება მიზეზს: „ამის პირისათვის დაფარულად მდებარე იყო“ და ნინოს ხსენების დღეს მისი ღვაწლის მოთხრობას გვერდს ვუვლიდითო;

დ) გვამცნობს მოკლე შინაარსს: მოთხრობილია წმიდანის ცხოვრება „ლიტონითა სიტყვითა“, ამბავთა თანმიმდევრობის დაცვით („შემდგომითი შემდგომად“) – ჯერ აღზრდა მშობლებთან, მერე მიმოსვლა, შრომა, ღვაწლი, ქადაგებანი და სასწაულნიო;

ე) ბოლოს დასძენს, ეს ყოველივე როგორ აღწერა: ამბისთვის „არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვისაი და გამოცხადებაი საქმისაი მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალ-კეცსა და ამასვე თანა აღრეულობას ჰანბავისასა თანაწარხდილი ვარ“. თუ სადმე თხრობისას სიტყვათა გადაბმა იყო საჭირო, ამ შემთხვევაში ვიხმარე წმიდათა მიერ თქმული ფრაზები დაგამოთქმებო.

ბოლო პუნქტიდან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს არსენმა აიღო „ნინოს ცხოვრების“ ძველი რედაქცია და მასში მოთხრობილი ამბები დაალაგა მექანიკურად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. შრომის შინაარსობრივი შესწავლიდან ირკვევა, რომ მას დაუწერია ორიგინალური თხზულება.

კ. კველიძე წერს: „ენაწყლიანობა, რომელიც მეტაფრაზებს ასე ახასიათებს, იმას მიზნად არ დაუსახავს; მართალია ისიც, რომ არ დაუკლია მისთვის რაც ძუელსა შინა ეწერა, ის სავსებით ამოუწურავს, მაგრამ ვერ დავეთანხმებით ავტორს, როდესაც ამბობს, რომ ძუელისათვის არა შემიმატებია რაო. შემატებული მას ბევრი აქვს როგორც ფაქტობრივი მასალა, ისე განყენებული მსჯელობა, ლოცვა და საუბარი ამა თუ იმ საგნის შესახებ“. ამასვე აღნიშნავს ქ. ცხადაძე: – „არსენ ბერს პირველი ორი რედაქცია ლიტერატურულად დაუმუშავებია, შეუვსია, შეუსწორებია სხვა წყაროებიდან მოპოვებული მასალებით და მოუცია ახალი რედაქცია „ნინოს ცხოვრებისა“. იგი ატარებს მეტაფრასტული აგიოგრაფიის ყველა ნიშანს. მასში ავტორი აყალიბებს თავის საკუთარ შეხედულებებს მთელ რიგ საკითხებზე, რომლის გადაჭრა-გადაწყვეტასაც იძლევა ძირითად ნაწილში. დამატება (იგივე დასკვნა) აგრეთვე შეიცავს სხვადასხვა წყაროდან ამოკრებილ ისტორიულ ამბავთა თხრობას“.³

არსენის ტექსტები გავრცობილია ახალი მოტივებით, პასაჟებით, შესავალითა და დანართით; ამასთან იგი შემოკლებულიცაა: ავტორს ძველი რედაქციების ზოგიერთი ისტორიული რეალია უარუყვია, ამოულია სომხური ტენდენციის მაუწყებელი ადგილებიც, რადგანაც XI–XII საუკუნეების ოფიციალური საეკლესიო თვალსაზრისით, რომელიც კატეგორიულად უპირისპირდება მონოფიზიტურ-გრიგორიანულ

³ქ. ცხადაძე, უცნობი ავტორი – „ნინოს ცხოვრება“, საიუბილეო კრებული კ. კველიძის დაბადების 80 წლისთავზე, 1959, გვ. 392.

სარწმუნოებას, ქართველი განმანათლებლის ურთიერთობა სომხებთან მიუღებელი იყო.

ძველი შედგება სამი ნაწილისაგან – შესავლის, წმიდა ნინოს ცხოვრების შემცველი მოთხრობისა და დანართისაგან, რომელსაც უძღვის სათაური „ესეც წაურთე ყოველი, რამეთუ შუენიერ არს, საყუარელნო და სატრფიალო მსმენელთათვის“; და ერთვის აქ დამოწმებული ანდერძი. ამათგან შესავალი და დანართი მთლიანად არსენის კალამს ეკუთვნის; ძირითად ამბავშიც ჩართულია რამდენიმე პასაჟი.

თხრობა იწყება ქვეყნად იესო ქრისტეს მოვლენისა და მისი მესიანური მოღვაწეობის აღწერით. სხარტად გადმოცემულია მაცხოვრის შობა ქალწულისაგან, აღზრდა, ნათლისღება, სასწაულნი და ქადაგებანი, სიკვდილი, აღდგომა და ზეცად ამაღლება, მერმე – მოციქულთა მიმოსვლა და ქრისტიანული მოძღვრების გავრცელება. მასალა ამოღებულია სახარებიდან და მოციქულთა საქმიდან... „არა კმა ჰყო ესე ყოვლად სახიერმან მან და ყოვლითურთ შეიწყალა უძღურებად ჩუენი და დაიმდაბლა თავი თვისი ვიდრე სიკვდილამდე და სიკვდილითა მათ ჯუარისათა“ (იყალთოელი 1971:81).

ასევე აღწერილია მისი მკვდრეთით აღდგომა... „ამაღლდა ზეცად და დაჯდა მარჯუენით მამისა და შემგომად აღდგომისა უბრძანა მოწაფეთა და მოციქულთა მისთა“, ვითარმედ: „წარვიდეთ და მოიმოწაფებით ყოველნი წარმართნი და ნათელსცემდით მათ სახელთა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისაითა და ასწავებდით მათ დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქუენ“ (იყალთოელი 1971:91);

და მეერგასე დღეს სულიწმიდა მოუვლინა მათ და განყო ასევე ენები. და მისი წინამძღოლობით წარემართნენ ისინი ქადაგად სახარების.

შემდეგ არსენი მოგვითხრობს ანდრია მოციქულის მისიონერულ მოღვაწეობას. აქ იყენებს ექვთიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ძეგლს – „მოსახსენებელი მიმოსვლათათვის და ქადაგებათა ყოვლად ქებულისა და დიდებულისა მოციქულისა ანდრეასი“⁴, რომელიც მისთვის კარგად იყო ცნობილი: ის შეტანილია არსენის მიერ გადაწერილ მრავალთავში (H 1347). (რა თქმა უნდა, ეს ცნობები არაა დაცული არც „მოქცევაჲს“ ტექსტში და არც „მეფეთა ცხოვრებაში“).

⁴მ. საბინინი. „საქართველოს სამოთხე“, 1882, გვ. 24-25.

არსენ ბერი აღნიშნავს, რომ ანდრია პირველწოდებული ჯერ კაბადუკიად მივიდა, შემდეგ პონტოდ, მერე ტრაპეზუნში, ნეოკესარიად და დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში და ქადაგებდა ქრისტიანობს. შემდეგ მივიდა ღვთისმშობელთან იერუსალიმში პასექის აღსასრულებლად. ამის შემდეგ კი მარტ-ვილი კვლავ წავიდა საქადაგებლად სიმონ კანანელთან, მატათა და თადეოზთან ერთად ედესაში, და ქადაგებდნენ ქრისტეს, ასე დადიოდნენ ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, სადაც ქრისტეს მეშვეობით სასაწაულებს ჩადიოდნენ მანამ სანამ არ მიაღწიეს საქართველოში და უქადაგეს სიტყუად ცხორებისა**(იყალთოელი 1971:378)**.

შემდეგ არსენი ეხება მოციქულთა მისიონერულ საქმიანობას. იუწყება, თუ რა ნაყოფი გამოიღო მათმა მოღვაწეობამ: „იყო ვინმე მათ კერძოთა დედაკაცი მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგებაი მოციქულისაი. და მატათაი სხუათა თანა მოწაფეთა დაადგრა მუნ. და მრავალნი მოაქცინეს სარწმუნოებად და მეცნიერებად ჭეშმარიტებისა, ვიდოდეს და ასწავებდეს ვიდრე მდინარედ ჭოროხამდე და სოფლებთა ნიგალისათა, ხოლო დიდებული მოციქული ანდრია სიმონითურთ სხუათა თანა წარვიდა ოვსეთად და მიერ კულად აფხაზეთად და სევასტოპოლიდ, რომელი არს ცხუმი. ხოლო მეფე ქართველთა და უმრავლესი კერძო ქუეყანისა ჩრდილოისაი დაშთა მასვე სიბნელესა-ვე და საცთურსა კერპთ-მსახურებისასა“**(იყალთოელი 1971:101)**.

იქვე იხსენიებს ქრისტიანული სჯულისათვის წამებულთ: –„ხოლო ყოვლად-ქებულთა მათ და წმიდათა მოციქულთა, თვითეულმან და ყოველთა ერთბამად, თუ ვითარი მოქალაქეობაი აჩუენეს, ანუ ვითარი მოღუაწებაი მოიგეს, რამეთუ ყოველი სოფელი მოინადირეს და თვით მნათობ იქმნეს; და რამეთუ სიმაღლითა სათნოებათა-ითა და უშიშად თავს-დებითა ტანჯვათა და ჭირთაითა და თვით ,ის სიკუდილისა-ცა შეურაცხყოფითა ანგელოზნი-ცა განკვირვებად შემოკრიბნეს და ყოველთა მეცნიერებად ჭეშმარიტებისა წარუძღუეს და განაბრწყინვეს ქუეყანაი, და ყოველნი ქალაქნი და სოფელნი ქადაგებითა ღმრთის-მსახურებისაითა აღავსნეს. და შეწირნეს ბევრის-ბევრეულნი სულნი ღმრთისა სარწმუნოებისა მიერ წმიდისა ნათლის-ღებისა განათ-ლებულნი; და ესრეთ ჯერ-ჩინებისაებრ საღმრთოისა და საღმრთოთა ვნებათა მიბამ-ვითა რომელთა-მე ჯუარ-ცუმისა მიერ, სხუათა განტვიზვისა, სხუათა წარკუეთითა

თავთაითა დაუტევეს სოფელი ესე და ზეცისა სუფევად აღვიდეს“(იყალთოელი 1971:380).

არსენ ბერი ტექსტში ახსენებს გიორგი კაბადუკიელს, უძლეველ მხედარს, რომელიც იყო მეოხი და მფარველი და ხელისამპყრობელი მორწმუნეების. და აქვე დასძენს, რომ გიორგის დროს კაპადუკიაში ცხოვრობდა მისივე თანამოქალაქე, ახოვანი და განთქმული მხედარი ზაბილო (ნინოს მამა), რომელიც წავიდა ჰრომედ (რომში) მეფე მაქსიმიანეს წინაშე, რომელიც დიდი პატივით მიიღეს და მხედართ-მთავრად განაწესეს. ამ დროს განდგა ფრანგები და „მარბეველობით განხრწნიდეს ქუეყანასა ჰრომთასა, ვიდრემდის თვით მეფისა-ცა მიმართ ბრძოლა ყვეს“. ზაბილომ მოახერხა მათი დამარცხება და ისინი მეფის წინაშე მოიყვანა. მეფემ ზაბილო საბოძვრით აავსო, ხოლო განდგომილებს სიკვდილი მიუსაჯა. მაშინ დაიწყეს მათ ტირილი და ევედრებოდნენ ზაბილონს: „შეგვიყვანენ ტამარსა შინა უფლისა ღმრთისასა შენისასა და ნათელ-გუეც სახელითა მისითა, რომელსა შენ ჰმსახურებ, რომელმან ესევეთარი სიმხნე მოგცა შენ და ესრეთ რაი მოვისრნეთ, შენ უბრალო იყო სისხლისაგან ჩუენისა“(იყალთოელი 1971:121).

მაშინ ზაბილონმა ყოველივე აუწყა რომის პატრიარქს, რომელმაც დიდი სიხარულით აზიარა ისინი ქრისტეს საიდუმლოს. ზაბილომ კი ისინი მეფისგანაც გამოიხსნა და წარგზავნა თავიანთ ქვეყანაში, ხოლო მათ ევედრნენ ზაბილოს, რომ გაჰყოლოდა თან, რათა მისცეს ერსა მათსა ნათელი ქრისტეანობისად. ზაბილომ ისმინა მათი, ითხოვა პაპისაგან მღვდელნი და წავიდა მათთან ერთად. როცა გაიგეს, რომ ისინი შეწყალებულნი, ცოცხალნი ბრუნდებოდნენ შეიკრიბნენ მდინარე ღადამარსა და ყოველი ერი განიბანებოდეს და ნათელილებდნენ. ზაბილომ მათთან დატოვა მღვდელი, რათა ჭეშმარიტი სჯული ესწავლებინა და თვითონ კვლავ რომში დაბრუნდა. ზაბილონი ფიქრობდა იერუსალიმში წასვლას, რათა მისი სიმდიდრე იერუსალიმელ გლახაკებისთვის მიეცა: –„და შე-რაი-ვიდა იერუსალემდ, თაყუანის-სცა განმაცხოველებელსა ცხორებისა საფლავსა და წმიდათა მათ ადგილთა და ფრიადი სიმდიდრე განუყო გლახაკთა. და იხილა, რამეთუ მეცნიერი იგი მისი ყრმა რომელი დითურთ თვისით წარმოვიდა ქუეყანით მისით კაბადუკიით იერუსალემდ, რამეთუ პატრიარქ ქმნილ იყო. და ფრიადი სიყუარული აჩუენა ზაბილოს და მეგობარ მისა იქმნა (იყალთოელი 1971:386).

(ეს ცნობები ასევე დასტურდება პარალელურ ტექსტებში: „მოქცევა“ და „ქართლის ცხოვრება“).

ერთ დღეს უთხრა სარა ბეთლემელმან პატრიარქს: – ზაბილო განთქმულია ბრძოლებში, უფრო მეტად კი სიბრძნით და ღმრთისმოშიშებით; და ურჩია, რომ მისთვის მიეთხოვებინა მისი და სოსანა. პატრიარქმა თავისი და ზაბილოს მიათხოვა და წარგზავნა ქუეყანად თვისად კაბადუკიად, რომელთაგან იშვა მხოლოდ ღირსი და ყოვლად ნეტარი ნინო – „ხეთა კეთილთაგან ნაყოფი კეთილი და სათნოი ღმრთისა“ (იყალთოელი 1971: 386).

ნინოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის აღწერა არსებითად იმეორებს „ქართლის მოქცევისა“ და ლეონტი მროველის რედაქციებს, ოღონდ, ძველ ამბავს ზოგან ამოკლებს, ზოგანაც ავრცობს, ან ამა თუ იმ ფრაზას ცვლის საკუთარი შეხედულებისამებრ. საუბრობს ნინოს ყრმობაზე: „და ვითარცა იქმნა იგი თორმეტი წლის, შეითქუნეს მშობელნი მისნი და განყიდეს ყოველი მონაგები მათი და წარვიდეს იერუსალემდ მხოლოდ ასულისა ერთისა თანა ნეტარისა ნინოისა და მუნ განუყვეს ყოველი სიმდიდრე მათი“. ზაბილონმა აიღო კურთხევა პატრიარქისგან, გამოემშვიდობა მეუღლეს და შვილი კი უფალს შეავედრა და უთხრა, რომ მიმსგავსებოდა მენელსაცხებლე დედებს და თითონ წავიდა უდაბნოდ ღვთის სამსახურში; ხოლო პატრიარქმა მისი და სოსანა მისცა მსახურად უძღურ დედებს, და ასე აღესრულა იგი საღმრთოდ ღვთისა. ხოლო მისი დისწული კი შეავედრა ღვთისმოშიშ დედაკაცს. სწორედ ამ დედაკაცისაგან ისწავლა წმინდა ნინომ ღვთის სიყვარული. გაიგო ასევე კვართის ამბავიც. მას უთხრეს, რომ: „კუართი საუფლოი, რომელსა ზედა წილ-იგდეს, ხუდა წილით ჰურიათა მცხეთელთა, ხოლო ტილონი და სუდარი მიიხუნეს პეტრე და მენელსაცხებლე დედათა, ხოლო ჯუარი და სხუანი, რაოდენნი-რაი ნებსით ვნებასა მას მაცხოვრისასა მსახურ იქმნეს ხორცთა მათ საუფლოთა, შურითა განბოროტებულთა მათ ჰურიათა დაფარეს მიწასა“. და „კულადცა ჰკითხვიდა ღირსი ნინო სამოსლისა მისთვის მაცხოვრისა და ქალაქისათვის მცხეთისა. ხოლო იგი მიუგებდა ვითარმედ: „ქუეყანაი არს ჩრდილოსა დიდი, სამკვიდრებელი წარმართთა შორის პირთა ოვსეთისა, და შორის ზღვასა და სპარსეთისა და სახლ მათდა არს სამეუფეო ქალაქი მცხეთა“ (იყალთოელი 1971:390).

არსენ ბერი „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად საუბრობს წილისყრაზე, რომლის შედეგადაც საქართველო ერგო წილად ღვთისმშობელს. აქვე არსენ ბერი ხსნის წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლის მიზეზს. წმიდა ნინომ ჩუენება ნახა, სადაც ღვთისმშობელი გამოეცხადა და უთხრა მას: –„აჰა ესერა წარგავლინებ შენ ქადაგად ნათესავთა მიმართ უცხოთა, ნაწილსა ჩემსა ქუეყანასა ჩრდილოისასა, ერისა მიმართ ქართველთაისა, წარვედ სიმხნით და უშიშად და უქადაგე ჭემმარიტებაჲ“ (გვ.393) და ნიშნად მას დაუტოვა ვაზის ჯვარი.

არსენ ბერი პარალელური ტექსტების მსგავსად, ახსენებს დედაკაცს, რომელიც მოვიდა ეფესოდან მოსალოცად. მაშინ წმიდა ნინო პატრიარქს შეევედრა, რომ გაეშვა იგი იმ გზაზე, სადაც უფალი უძლოდა. პატრიარქმა ის აკურთხა და ამ დედაკაცთან ერთად წარმოემართა ეფესოში; და სწორედ აქ გაიცნო მან რიფსიმე, რომელსაც სურდა ნათელღება. რიფსიმე წმიდა ნინოს ხელით მოინათლა. ორი წლის განმავლობაში რიფსიმე და წმიდა ნინო ქრისტეს რჯულს ქადაგებდნენ, რის გამოც მოხდა რიფსიმეს დევნა საბერძნეთიდან.

არსენ ბერი „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად ასევე ახსენებს გაიანეს, რომელიც იყო გამზრდელი მისი, და რიფსიმე გაინესთან, წმიდა ნინოსთან და სხვა იგი ერგასისნი სულნი თანამორწმუნესთან ერთად სომხეთში წარმოემართა: –„და ვითარცა მოიწინეს მახლობელად სამოთხესა თრდატ მეფისასა, დაადგნეს მუნ ჟამ რაოდენ-მე, ხოლო წმიდაი რიფსიმე და მისთანანი იგი ეწამნეს სახელისათვის ქრისტესა თრდატის მიერ და გვირგვინ-შემოსილნი ღირს იქმნეს სასუფეველსა“ (იყალთოელი 1971:398).

წმინდა ნინო ღვთის განგებით გადარჩა და მან გამოიზამთრა ოლოპოროთა, ამავე ადგილს ასახელებს ლეონტი მროველი „ქართლის ცხოვრებაში“; თუმცა დასძენს, რომ ეს ადგილი რეალურად არ არსებობს.

„მოქცევაჲსა“ და „ქართლისცხოვრებისაგან“ განსხვავებით, არსენ ბერი ამბობს, რომ წმიდა ნინო ჯავახეთს ზაფხულში მოადგა. აქვე იგი მიემთხვია ტბას, რომელსაც ფარავანი ერქვა. აქვე ის ესაუბრება მწყემსებს, რაც დასტურდება „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ რედაქციებში (იყალთოელი 1971:399).

წმიდა ნინომ მიიწია ურბნისად, იქედან კი მცხეთად, სადაც იხილა ხალხი დაბნელებული და ტიროდა მათი წარწყმედის გამო. არსენ ბერი „მოქცევაჲსა“ და

„ქართლისცხოვრების“ მსგავსად ასახელებს კერპებს გაცსა და გაიმს და ბივრიტის თვალს. ასევე აღწერს ჭექა-ქუხილსა და კერპების შემუსვრას. არსენი ახსენებს დედაკაცს, რომელსაც ანასტოსი ერქვა, ვისთანაც წმინდა ნინო ცხრა თვის განმავლობაში ცხოვრობდა. ამავე დედაკაცზე საუბრობს „მოქცევაჲცა“ და „ქართლისცხოვრებაც“.

არსენ ბერი „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად, ახსენებს აბიათარსა და მის ასულს სიდონიას, და დასძენს, რომ აბიათარი იყო მღვდელთ-მომღვარი ჰურიათა.

პარალელურ ტექსტში დასტურდება წმიდა ნინოს ადგილსამყოფელის აღწერა: „შორის მაყუალთა მათ საკვირველთა, რომელი სახედ ტალავარისა გარდათხმულ იყვნეს და დაჰფარვიდეს მას“(იყალთოელი 1971:251).

„მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებისგან“ განსხვავებით, არსენ ბერი აღნიშნავს, რომ წმიდა ნინო იქცეოდა მცხეთას ექვს წელს: – „და ესრეთ იქცეოდა მცხეთას ქალაქსა შინა ექვს წელ ოდენ“ (ქართლის ცხოვრება 1955: 95; „მოქცევაჲ“ 2008:78).

არსენ ბერი კი ამბობს, რომ ნინო მცხეთაში ექვსი წლის განმავლობაში იმყოფებოდა: – „ესევითარისა მოღუაწებითა დაადგრა ადგილსა მას ექუს წელ“(იყალთოელი 1971:412).

არსენ ბერი, „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად, საუბრობს წმიდა ნინოს სასწაულებზე. წმიდა ნინოს საშუალებით უამრავი წარმართი განიკურნა: – „ხოლო ვინაითგან წარმართნი იგი მკურნალობისა ხელოვნებასა უმეცარ იყვნეს დს სიმრავლითა სნეულთაითა აღსავსე, ამისთვის-ცა ურთიერთას მივიდოდეს და სენებისაგან სიმრთელედ შეცვალებისა მისგან სახესა თვისთა სნეულთა კურნებისასა ისწავებდეს...“ (იყალთოელი 1971:412). სანაცვლოდ კი წმიდა ნინო ითხოვდა, ერწმუნათ საუკუნო მეუფის და მის სახელზე აეგოთ ტაძარი.

როცა ნანა დედოფალმა შეიტყო წმიდა ნინოს სასწაულების შესახებ „ლმობიერ-ქმნილი და განკვირვებული სასწაულსა მას ზედა დიდებულსა და ტკბილთა სწავლათა მიერ ნეტარისა ნინოსთა განათლებული, სახიდ თვისად მიიქცა; და აუწყა მეუღლესა თვისსა მოსწარაფებაი იგი კურნებისაჲ და ძალი ღმრთისაჲ, რომელსა ქადაგებს უცხო იგი. მირიან მეფემან აქო მეუღლესა თვისსა ზედა ქმნილი იგი

საკვირველებად და დაუკვირდა ფრიად, ხოლო ტაძრის შენება არა ინება“**(იყალთოელი 1971:415)**.

არსენ ბერი ჩვეულებრივ ეპიზოდებს ყვება მესამე პირში, ის თხრობისას არ იმოწმებს არც რიფსიმეს და არც პეროჟავრი სივნიელს, თხრობა თანმიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა უფრო შემოკლებული სახე აქვს.

„მოქცევასა“ და **„ქართლის ცხოვრებისგან“** განსხვავებით, არსენ ბერი ჰყვება მეფის ძის დასნეულების ეპიზოდს. დასნეულდა მირიან მეფის ძე, დედოფალმა ბრძანა, რომ ის მიეგვარათ ღირსი ნინოსთვის. როცა წმიდა ნინომ უფლის დახმარებით განკურნა მეფის ძე, მაშინ ნანა დედოფალი დაემოწაფა მას.

„მოქცევასა“ და **„ქართლის ცხოვრების“** მსგავსად, არსენ ბერი ასევე საუბრობს დედოფლის დედის ძმის განკურნების შესახებ. მიუხედავად ამისა, მირიან მეფე კვლავ ორგულებით უცქერდა წმინდანს და ეუბნებოდა, რომ ვინ მიანიჭა მას ეს ძალა, არმაზმა თუ ზადენმა, რაზედაც წმიდა ნინო პასუხობს: „შენ, მეფე, უკუნისამდე ცხონდი სახელითა უფლისათა და ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესითა, რომელი იგი არს შემოქმედი ცათა და ქუეყანისა და ჩემისა ძალისა მომნიჭებელი...“. აქვე წმიდა ნინო უხსენებს მეფეს უფლის კვართს და სწორედ მას მიაწერს აი, იმ სასწაულებს, რომელიც აღესრულებოდა წმინდანის მიერ **(იყალთოელი 1971:419)**.

ამის შემდეგ არსენ ბერი ორივე რედაქციის (**„მოქცევასა“** და **„ქართლის ცხოვრების“**) მსგავსად, საუბრობს მირიან მეფის თხოვის მთაზე სანადიროდ წასვლის შესახებ, იქ მზის დაბნელებასა და მირიან მეფის მიერ ნინოს ღმრთის აღიარებაზე **(იყალთოელი 1971:421)**.

არსენ ბერი ორივე რედაქციის მსგავსად ადასტურებს, რომ მირიანმა ბრძანა უცხო დედაკაცის – წმიდა ნინოს მოყვანა. მეფემ წმიდა ნინოს სთხოვა ეჩვენებინა შესაფერისი ადგილი, სადაც შეძლებდა ტაძრის მშენებლობას და მართლაც ააგეს ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი.

არსენ ბერი საუბარს აგრძელებს მაცხოვრის გახსენებით და აღნიშნავს, რომ იგი 33 წლის განმავლობაში სასწაულებს ჩადიოდა და ადამიანთა ცოდვის გამოსახსნელად ეწამა კიდევ.

„მოქცევადას“ და „ქართლის ცხოვრების“ მსგავსად, არსენ ბერიც აღნიშნავს, თუ როგორ მოუხმეს ჰურიებმა მცხეთელებს იერუსალიმში, რათა ქრისტეს ვნებით აღესრულებინათ მოსეს რჯული. „მაშინ გამოარჩიეს ელიოზ მღვდელი, რომელი იყო შვილი სამღვდლოთა ტომთაი, კაცი ბრძენი და მეცნიერი, და სხუანი მათ თანა. და წარგზავნეს მცხეთელთა წოდებასა მას მღვდელთ-მოდღუართასა იერუსალემდ (იყალთოელი 1971:425).

ელიოზს დედა ჰყავდა ღვთისმომშიში, რომელიც შვილს შეევედრა: – „ეკრძალე ფრიად და რომელსა-იგი ზრახვენ ბოროტსა მღვდელთ-მოდღვარნი და ფარისევლნი კაცისა მისთვის მართლისა, ნუ-მცა შერთულ არს სიტყუანი და ცნობაჲ შენი მათ თანა...“ (იყალთოელი 1971: 425) ელიოზს კი შეევედრა, რომ წამოელო რაიმე ნივთი, რასაც იესო შეეხებოდა (ეს ცნობები დასტურდება როგორც „მოქცევაში“, ასევე „ქართლის ცხოვრებაში“).

მართლაც ელიოზს დახვდა შეკრებილი ურჯულოები, რომელთაც დაემტკიცათ ჯუარ-ცემაი მხსნელისაი. ხოლო ელიოზი არ ეზიარა მათ საქმეს, შორს იდგა, როგორც იოანეს სახარებაში წერია. არსენ ბერი ელიოზის მიერ კვართის წამოღების ეპიზოდსა და უფლის ჯვარცმას დეტალურად აღწერს, რას არ გვაქვს არც „მოქცევაში“ და არც „ქართლის ცხოვრებაში“.

„ხოლო ვითარცა აღესრულა ნებსითი იგი ვნებაი მაცხოვრისაი, და ვითარცა წერილ არს, განიგდეს წილი სამოსელსა ზედა მისსა, რომელი-იგი იყო უკერველ, ზეით მოქსოვილ და წარმოილო იერუსალიმით. ხოლო როცა იესო ჯვარს აცვეს, ელიოზის დედამ ხმა-ყო ძლიერად აღძრულმან სულისა მიერ და თქუა: – „ამიერითგან მშვიდობაჲ თქუენდა მეფობაჲ ჰურიათაო, რამეთუ მოჰკალთ უფალი, და იქმენით მტერ შემოქმედისა. ელიოზის დედაც მიიცვალა სწორედ მაცხოვრის ვნების დღეს“ (იყალთოელი 1971:428).

როცა ელიოზი შემოვიდა მცხეთაში მას მიგება მისი და. ელიოზმა მას კვართი გადასცა, რომელმაც „შეიმთხვნა პირსა და შეიტკბო გულსა ზედა თვისსა, და მსწრაფლ აღმოუტევა სული“. (იყალთოელი 1971:428). ელიოზმა მისი საყვარელი და, (ვინაიდან შეუძლებელი იყო მისი ხელიდან კვართის გამოღება) კვართთან ერთად დამარხა.

არსენ ბერი „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებისგან“ განსხვავებით, ასახელებს კვართის ადგილსამყოფელს: – „ჩვენთვის ცნობილია კვართის სამოსლის ადგილი, ჭეშმარიტებით ცნობილ შემდგომთა ნათესავთა მიერ ელიოზისთა და იგი არს ჭეშმარიტად ხე იგი კვიპაროზი და ქუეშე მისსა იყო სულნელებაი ყავილთა, რომელი იგი სამარადისოდ ყოველთა მიერ იყნოსებოდა“ (იყალთოელი 1971: 428).

არსენ ბერი აღწერს სვეტიცხოვლის სასწაულებს. იგი აღწერს კვიპაროზის ხის მოკვეთის დროს აღსრულებულ სასწაულს, რომლის დროსაც წმინდა ნინოს გვერდით იმყოფებოდნენ სიდონია – აბიათრის ასული, შროშანას და სხვა ათ მორწმუნე დებს. „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრების“ ტექსტებში ეს ცნობა არაა დაცული.

მოკვეთეს კვიპაროზის ხე, რომელმაც საოცარი სურნელება გამოსცა, თუმცა მისი დაძვრა ვერანაირი ღონით ვერ შეძლეს, როცა მოსაღამოვდა მეფე და სიმრავლე ერისა წავიდნენ გაკვირვებულნი ამ საოცარი სანახაობით.

ნეტარი ნინო კი იმავე ღამეს დადგა სვეტის მახლობლად, მასთან ერთად იყვნენ სიდონია, შროშანა და სხვა ათი მორწმუნე დედაკაცი: – „და განიყარნა ხელნი აღმოსავალით და ილოცვიდა ცრემლითა მხურვალითა. და ვითარცა მოეახლა ცისკარი, მიერულა დათა მათ ყოველთა, ხოლო სიდონია და შროშანა მხოლოდ მღვიმარე იყვნეს წმიდისა მის თანა და იხილეს ხილვაი საშინელი, რამეთუ აჰა ესერა ზედა-მოადგა ჭაბუკი ერთი, ნათლითა შემოსილი. ყოვლად ცეცხლითა მოზღარდნილი და ჰრქუნა რაიმე წმიდასა მას სიტყუანი სამი, ხოლო ნინო დავარდა პირსა ზედა თვისსა, ხოლო ჭაბუკმან მან მიყო ხელი სუეტსა მას და აღიღო სიმაღლედ. სუეტი გამოსცემდა სულნელებასა და ბრწინვალებას“... (იყალთოელი 1971: 431).

ყველა ხედავდა ირგვლივ ამ სასწაულს. აღივსნენ უფლის შიშითა და სიყვარულით, მეფე და ყოველი ქალაქი ადიდებდნენ ნინოს ღმერთს.

არსენ ბერი საუბარს აგრძელებს სვეტიცხოვლის სასწაულების აღწერით. „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებისგან“ განსხვავებით, აღწერს ბრმის განკურნების ეპიზოდს, რომელიც როგორც კი შეეხო ცხოველ სვეტს – განიკურნა. ასევე განიკურნა სხვა წარმართი ყრმა, რომელიც სიკვდილს იყო მიახლებული. მეფე და მთელი ერი შიშმა შეიპყრო ამ ხილულმა სასწაულებმა, რადგან იგი დღითიდღე აღესრულებოდა.

„მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებისგან“ განსხვავებით, ასევე საინტერესო ფაქტებს ეხება არსენ ბერი. იგი ვრცლად საუბრობს ქრისტიანული სარწმუნოების

მნიშვნელობაზე: – „ხოლო სარწმუნოებადმოსვლისა და ცნობად ჭეშმარიტებისა მირიან ქართველთა მეფისა პირველ ათორმეტისა წლისა წყალობით მოხედვა ჰყო ღმერთმან ყოველსა საბრძანებელსა ზედა ჰრომთა და ბერძენთასა, ზეგარდამოითა წოდებითა ჰრწმენა უფალი ჩუენი იესუ ქრისტე ჭეშმარიტად ღმრთად და მაცხოვრად მეფესა კონსტანტინეს და დედასა მისსა დედოფალსა ელენეს; და ნათელ-იღეს სახელითა მამისაითა და ძისაითა და სულისა წმიდისათა მათ და ყოველმან პალატად-მხედრებმან მათმან ამაღლებითგან უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესით სამას და მეათერთმეტსა წელსა. და განიხარა ყოველმან ერმან მორწმუნეთამან. პირველმა ქრისტეანეთა შორის მეფემან მსგავსად წმიდათა მოციქულთა ილუაწა და აჩუენა და წარავლინა თვისი ელენე დედოფალი იერუსალიმდ ძიებად პატიოსნისა ჯუარისა და აღაშენა ტაძარი საუფლონი...“ (იყალთოელი 1971:435).

ეკლესიათა დასრულების შემდეგ, წმიდა ნინოს ბრძანებით, მეფე მირიანმა საბერძნეთში მოციქულები გააგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან და მოძღვარნი და ღვთისმსახურების მასწავლებელნი ითხოვა. იმპერატორმა კონსტანტინემ ისინი სიყვარულითა და დიდი პატივით მიიღო და საქართველოში ნიკეის კრების მონაწილე, მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი მიაგვლინა. ქართლი ჯეროვანი პატივით მიეგება პატრიარქს. მან წმიდა ნინოს ელენე დედოფლისგან გამოგზავნილი ძელი ცხოვრების ნაწილი, მაცხოვრისა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატები და ქებითა და შესხმით შემკული წერილი გადასცა. მირიანის ბრძანებით სამეფოს მკვიდრნი მცხეთას შემოიკრიბნენ. მოამზადეს სანათლო, სადაც წმიდა ნინომ ჯვარი აღმართა და პატრიარქის ხელით მეფე-დედოფალი, დიდებულნი და უამრავი წარმართი მოინათლა. ამ ადგილს „მთავართა სანათლო“ ეწოდა. პატრიარქმა ეკლესიები აკურთხა და საკურთხეველნი დაამყარა. მთავარეპისკოპოსად იოანეს დაასხა ხელი; აკურთხა მღვდელ-დიაკონნი და მეფე და ერი საღმრთო სწავლებით განამშვენა.

არსენ ბერი შემდეგ საუბრობს ჰურიებზე, რომლებიც მცხეთაში ცხოვრობდნენ, რომელთა მღვდელთმოდვარი აბიათარი იყო. მიიყვანა იგი მეფემ პატრიარქის წინაშე და უთხრა მას: – „ჩვენზე გამობრწყინდა ნათელი, ახლა კი მნებავს, რომ თქვენ, ჰურიანო, მოიქცეთ და აღიაროთ ჭეშმარიტი სარწმუნოება“. მოინათლა აბიათარი, მისი ნათესავნი, ელიოზის სახლ-ტომი და სხვა ორმოცი მოქცეული ებრაელი. ხოლო

სხვა ებრაელები კი აღსდგნენ აბიათარის წინააღმდეგ, დაარღვიეს ტაძარი და გაიფანტნენ. მონათლულ ებრაელებს მეფემ დაბა ციხე-დიდი უბოძა.წმიდა პატრიარქმა ევსტათიმ ქვეყანა მართალ სარწმუნოებაზე დაამტკიცა, განუწესა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი, საეკლესიო და საღვთისმსახურო წესები ასწავლა, რის შემდგომ დიდი პატივით გააცილეს თავის ქვეყანაში.

ამავე დროს ფრანგმა დიაკონმა წმიდა ნინოს რომის პაპისგან წერილი ჩამოუტანა. პატრიარქი ლოცავდა მეფესა და ერს, წმიდა ნინოს ქებას ასხამდა და მისგან ლოცვას ითხოვდა. დიაკონს თან ჰქონდა წერილი ფრანგი მთავრისა, რომელიც წმიდანის მამას – ზაბულონს მოენათლა. ქართლში ქრისტიანობის ნათლის მიღენა და წმიდა ნინოს სასწაულები მათ ყურამდეც იყო მიწევნილი. დიაკონმა, მთავრისბრძანებით,თვალით ხილული და მოსმენილი ყველაფერი ჩაიწერა და თავის ქვეყანაში წაიღო.

წმიდა ნინო არაგვის გადაღმა, მცხეთის პირისპირ მდგომარე მთაზე ავიდა და ღამეებს ლოცვაში ათევდა. მისი ლოცვით კლდის ძირას სასწაულებრივი წყარო აღმოცენდა, რომელსაც კურნების ძალა ჰქონდა. ამის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა დაიწყო ხის ძიება, რათა გაეკეთებინა ჯვარი და წარგზავნა რევ, მირიან მეფის ძე და მთავარ-დიაკონი მისი და წაიყვანა ხუროები, და მოკვეთეს ხე და შექმნეს სამი ჯვარი, რომლისგანაც სასწაულები აღესრულებოდა.

რამდენიმე ღამის განმავლობაში მცხეთელებმა საკვირველი სასწაული იხილეს: ზეციდან ჩამოსული ვარსკვლავების გვირგვინით შემკული ცეცხლოვანი ჯვარი განთიადამდე ეკლესიის თავზე ჩერდებოდა; შემდეგ მისგან გამოყოფილ ორვარსკვლავთაგან ერთი აღმოსავლეთით მიდიოდა, მეორე – დასავლეთით. თვითონ ჯვარი კი ნელ-ნელა არაგვის გაღმა გადიოდა და წმიდა ნინოს წყაროსთან მცირე ხნით შეჩერებული ზეცად მაღლდებოდა.

მეფემ წმიდა ნინოსგან შეიტყო, რომ ამ სასწაულით უფალი ჯვრების აღსამართავ ადგილებს მიაჩნებდა. წმიდანის რჩევით, მან ამ ადგილების გამოსაძიებლად ხალხი გააგზავნა და შეიტყო, რომ ერთი ვარსკვლავი თხოთის მთაზე ჩერდებოდა, სადაც მირიანმა ქრისტე ირწმუნა, მეორე კახეთში – დაბა „ბოდისში“, რითაც უფალი წინასწარ განადიდებდა თავისი სათნომყოფელის განსასვენებელ ადგილს.

წმიდა ნინომ უწყობდა, რომ ბოდბეში დასრულდებოდა მისი ამქვეყნიური ცხოვრება და ამიტომ უბრძანა: – „წაიღეთ ერთი ჯვარი და თხოთს აღმართეთ, სადაც უფალმა თავისი ძალა გამოგიცხადათ, ხოლო მეორე– მეფეთა ქალაქ უჯარმაში, რადგანაც ბოდბე წინ არ აღუდგება ხალხმრავალ მეფეთა ქალაქს, ხოლო ბოდბეს, ღვთის სათნო ადგილს, თვითონ ვიხილა“.

მესამე ჯვარი წმიდა ნინომ, ეპისკოპოსმა, სამეფო კარმა და ურიცხვმა ხალხმა დიდი პატივით წააბრძანეს და წმიდა ნინოს წყაროსთან მთელი ღამე ლოცვაში გაათენეს. მეორე დღეს წმიდა ნინომ ხელი დაადო ერთ ქვას და ეპისკოპოსს უთხრა, რომ ჯვარი გადაესახა მისთვის. იმ ადგილას, ბორცვზე დიდებით აღმართეს ჯვარი და მის წინაშე მუხლი მოიდრიკეს. მრავალი სასწაული აღესრულებოდა ამ ჯვართან: სნეულნი განიკურნებოდნენ, უშვილოთ – შვილი ენიჭებოდათ. ამ სასწაულებით მრავალი წარმართი მოიქცა. ერი ყოველწლიურად აღასრულებდა მასთან მსახურებას.

წმიდა ნინომ მთიულეთში, ერწო-თიანეთსა და კახეთში იქადაგა ქრისტეს სარწმუნოება. მან თან წაიყვანა იაკობ მღვდელი, მთავარდიაკონი და ერისმთავარი და გაჩერდნენ წობენს. მოუწოდეს მთიულეებს და უქადაგეს ქრისტეს რჯული. და მათ ნათელი მიიღეს იაკობ მღვდლის ხელით. ამის შემდეგ წავიდნენ ერწოთსა და ჟალეთს, შემდეგ კახეთში და გაჩერდა კაწარეთს. შემდეგ გადავიდა ქვედაბას და მოუწოდა კახეთის მთავარს და უქადაგა ქრისტეს რჯული. და, ბოლოს, უფალიმიუძღვა მისთვის განმზადებულ ადგილას – კუხეთის დაბა „ბოდისში“, სადაც დაასრულა მოციქულებრივი მოღვაწეობა. აქ მისი ქადაგებით მოინათლა დედოფალი სუჯი, მისი მთავრები, მხედრები და მონა-მხევალნი.

სრულყო რა ქადაგება ჭეშმარიტებისა, ღვაწლით დამაშვრალ დედა ნინოს სულიწმიდისგან ეუწყა, რომ ამა სოფელს დატოვებდა. მან მირიანთან წერილი გაატანა დედოფალ სუჯის, რომელშიც ლოცავს მეფესა და ერს და ატყობინებს, რომ ქრისტეს სახარება ყველამ შეიწყნარა, შემუსრეს კერპები და წმიდა სამების სახელით მოინათლნენ. მეფეს მოუწოდა, რომ მტკიცედ დაეცვა სარწმუნოება და წმიდა ნათლისღების ბეჭედი. შემდეგ ითხოვს, რომ მასთან იოანე ეპისკოპოსი გააგზავნოს – რათა წარმგზავნოს და საუკუნო საგზალი მომცესო. სუჯი მხლებლებით წავიდა მცხეთაში და მთელი გზა ფეხშიშველმა გაიარა. როდესაც სვეტიცხოვლის პირისპირ მიიწივნენ, ვერვინ გაბედა უზომოდ ადიდებულ არაგვში შესვლა. დედოფალმა ილო-

ცა, პირველი გამოცემა და სახედრით შევიდა მდინარეში. მდინარე შუაზე გაიპო და დედოფალი უვნებლად გავიდა ნაპირზე.

მირიანმა ცრემლებით დაალტო წმიდა ნინოს წერილი. მეფე-დედოფალი უამრავი ხალხით წავიდა ბოდბეში. იქ ჩასულთ მოიკითხეს წმიდანი და მისგან კურთხევა აიღეს. ეპისკოპოსმა იოანემ წირვა აღასრულა და წმიდა ნინო ქრისტეს განმაცხოველებელ სისხლსა და ხორცს აზიარა, რომელიც წაიღო საუკუნო საგზლად და უფალს შეჰვედრა სული. „ტალანტთა სიმრავლით წარმოუდგა წმიდა სამებას და პატიოსან ძღვნად სულიწმიდით შობილი ერი მიართვა“.

მთელი ერი შეიკრიბა მისი წმიდა სხეულის თაყვანსაცემად. მირიანმა ძლივს დააცხრო ხალხი, რომელიც ერთმანეთს თელავდა, მის ღვაწლით შემოსილ გვამს რომ შეხებოდა.

მეფემ მთავარეპისკოპოსსა და მთავრებთან ერთად წმიდა ნინოს სვეტიცხოველში დაკრძალვა გადაწყვიტა, მაგრამ ორასმა კაცმა ადგილიდანაც ვერ დაძრა მისი სარეცელი. მირიანმა გულისხმაჰყო, რომ სწორედ ეს იყო მის განსასვენებლად ღვთისგან მოსწავებული ადგილი და დიდი პატივითა და დიდებით იქვე დაკრძალა. ოცდაათი დღე წმიდა ნინოს საფლავთან დარჩნენ და ერის დაობლებას იგლოვდა მეფე და ერი. წმიდანის საფლავზე მეფემ მშვენიერი ტაძარი ააგო და საეპისკოპოსოდ განაჩინა.

წმიდა ნინოს შემდეგ მირიან მეფემ კეთილად წარმართა ღმრთის-მსახურება და სათნოდ ღმრთისა აღესრულა და დაკრძალეს სამთავროში. ხოლო მისმა ძემ რევ, ღმრთის სათნოდ წარმართა მეფობა და ისიც წარვიდა გზასა მამათა მისთასა.

არსენ ბერი „მოქცევაჲსა“ და „ქართლის ცხოვრებისგან“ განსხვავებით, „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში შენიშნავს, რომ აზო არის პირველი მეფე ქართველთა, ხოლო აზოს შემდეგ ოცდამეცხრე მეფე მირიანი გახდა პირველი ქრისტიანი და მას შემდეგ ყველა ქართველი მეფე არის მორწმუნე „და ჩუენ ქართველნი შვილნი ვართ მათ არიან-ქართლით გამოსრულთანი და ენა მათი უწყით. და ყოველი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა შვილის-შვილნი არიან“ (იყალთოელი 1971:458).

არსენ ბერი ნინოს ცხოვრების დასასრულს შენიშნავს: – „წმიდანო მამანო და ძმანო, ესე ნეტარი ნინოს „ცხოვრებაჲ“ შეუწყობელად და განზნებულად „ქართლისა მოქცევაჲსა“ თანა და „ჰანზავსა მეფეთასა“ თანა აღრეულად სწერია, რომელიმე თვით

წმიდისგან მოთხრობილი, რომელიმე მეფისა მირიანისაგან, სხუად იაკობ მღვდლი-საგან, სხუად აბიათარისაგან, სხუად კვლავ სიდონიასაგან, გარნა წინ და უკანა წარ, იგივე და ერთი პირი. ამიტომ საეკლესიოდ მკითხველთათვის ფრიად საწყინო იყო და მსმენელთათვის უხმარ და ვერ საცნაურ. ამის პირისათვის დაფარულად მდებარე იყო თანა-წარვჭხდებოდეთ მოთხრობასა ლუაწლისა მისისა დღესა ხსენებისა მისისასა, რომელი-ესე დიდი ზღვევაი არს ყოველთა მორწმუნეთათვის და უფროისად ჩუენ ქართველთა – სასწაულთა და შრომათა და ლუაწლთა მისთა დავიწყებასა მიცემად, რომელი– იგი ღმერთმან ადიდა რომლისა მიერ განათლდა ნათესავი ჩუენი და ღმრთის-მეცნიერებაი პოვა. ამისთვის ვიკადრე თვით მის წმიდისა მეოხებათა თანა შეწევნითა და თქუენტა ბრძანებათა მოსწაებითა მე, უნდომან მტუერმან ფერხთა თქუენტამან, ძუელსა შინა არცა შემიმატებია, არცა დამიკლია, არამედ ძალი სიტყვისაი და გამოცხადებაი საქმისაი მოკლედ და მარტივად წარმომითქუამს და მრავალკეცსა და მასვე თანა აღრეულობასა ჰანბავისასა თანა-წარხდილ ვარ. და უკუეთუ რაიმე შესავალად თხრობისა, ანუ ადგილ-ადგილ შესაკრავად სიტყვისა სიტყუაი გვხმარებია, იგი-ცა საღმრთოთა წიგნთაგან და წმიდათა მიერ თქმულისაგან არს. და ყოველი ჭემმარიტი და ჭემმარიტებით აღწერილი და წამებული მათ მიერ აჰა წინაშე თქუენსა არს, შეზღუდვილნო საღმრთოთა სიყუარულითა და მარადის მოსურნენო წმიდათა ლუაწლისანო, იკითხევდით და ერსა წარმოუთხრობდით სადიდებელად ღმრთისა და პატივისა მისისა, რომლისაი არს დიდება“ (**იყალთოელი 1971:511**).

ამრიგად, არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრება“ ქართველთა განმანათლებელი ქალწულისადმი მიძღვნილი პირველი მეტაფრასული თხზულებაა, რომელშიც გასწორებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი ნაკლი (რაზეც ავტორი თავად მიუთითებს) – თხრობის ქრონოლოგიური სწორხაზობრიობის უქონლობა. გარდა ამისა, არსენი ტექსტს ამდიდრებს ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი სხვა თხზულებების ცნობებით.

თავი IV

ნიკოლოზ გულაბერისძე – „საკითხავი“

„წმინდანინოსცხოვრების“ ერთ-ერთი რედაქციადაცულია XI საუკუნის II ნახევრის ისტორიკოსის–ლეონტიმროველისეული „ქართლისცხოვრების“ (ქართლისცხოვრება 1955: 72-130) სახელით ცნობილ კრებულში, სადაც ავტორი იყრდნობა „ნინოსცხოვრების“ უძველეს რედაქციას. მოგვიანებით, XII საუკუნის II ნახევარში მოციქულთა სწორი ქალწულ-განმანათლებლის მოღვაწეობის სწორედ ეს რედაქცია დაიმკობა და გამოიყენა ნიკოლოზ გულაბერისძემ „სვეტიცხოვლის საკითხავში“ (საბინინი 1882: 69-119). თავის თავად, გულაბერისძის თხოულებას აეტაპონიშნებოდა ისე, როგორც, სადაც არაერთი საყურადღებო საკითხია წამოჭრილი.

გულაბერისძის თხოულება მეტად საყურადღებო ცნობებს შეიცავს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიიდან. ავტორი განმარტავს, რატომ მოაქცია საქართველო ქალმა–წმინდანის მოძარატომი ყოველ საქართველოს მეფე ქალი–თამარი. ქალის კულტი, რომელიც „ვეფხისტყაოსანში“ ესთეტიკურ ფენომენად იქცა, ნათლად აირეკლა ამ თხოულებაში. ამდენად, სვეტიცხოვლის საკითხავის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამომხატველად გვევლინება.

ნიკოლოზ გულაბერისძე იყო საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი, საეკლესიო და სახელმწიფო მოღვაწე XII საუკუნის II ნახევარში. მის შესახებ საისტორიო წყაროებში ცნობები ძალზე მწირადაა შემონახული. თავის წარმომავლობას ნიკოლოზ კათალიკოსი გვამცნობს თავის სავე თხოულებაში. მას ავტობიოგრაფიის გადმოცემის მიზანდასახულობა არ ჰქონია; ეპიზოდის მიზანი სასწაულის ასახვა იყო, თუ როგორ გადარჩნენ ნიკოლოზი და მისი თანამგზავრი ცხოველი სვეტის სასწაულებრივი წინამძღოლობით. კერძოდ, მწერალმა აღწერა, რომ იგი იყო კახეთიდან და მისი ბიძა, მამის ძმა სვიმონი, პატრიარქად კურთხევამდე არმაზში წმიდა საბას მონასტერში მოღვაწეობდა. სვიმონი, როგორც ჩანს, საქართველოს კათალიკოს–პატრიარქი გამხდარა ნიკოლოზის სიყრმის წლებში; ნიკოლოზი სწორედ ამ თავის ბიძასთან მიდიოდა კახეთიდან არმაზში. სასწაულში მოთხოვნილია იმის შესახებ, თუ როგორ გაიყვანა არმაზს მიმავალი ნიკოლოზ გულაბერისძე ზეცად აღწეულმა ცხოველმა

სვეტმა სოფელ წიწამურთან („სოფელსა მას მახლობელსა არაგვისასა წიწამურს“) ადიდებული არაგვის ერთი ნაპირიდან მეორეზე თავის თანმხლებ პირთან ერთად, რომელიც ღვინით დატვირთულ ცხენს მიუძღოდა. ჩანს, ბიძა-ძმისწულს თბილი, სულიერი ურთიერთობები ჰქონდათ.

ნიკოლოზი კათოლიკოსი ყოფილა გიორგი III (1156-1184) და ბურდუხან დედოფლის ზეობის ჟამს. თამარის ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ნიკოლოზ გულაბერისძე უსათნოესი და ღვთაებრივი თვისებების მქონე პიროვნება იყო.

1177-1178 წლებში ნიკოლოზ გულაბერისძე კათალიკოსობიდან გადადგა, რის შესახებაც ბასილი ეზოსმოძღვარმა აღნიშნა: –„რომელსა სიმდაბლისა ძლითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოსობისაგან“. ნიკოლოზის კათალიკოსობიდან გადადგომა რეგრესული მოვლენა იყო საქართველოს საეკლესიო და პოლიტიკურ ცხოვრებაში, რადგან მის შემდგომ საკათალიკოსო ტახტს დაეუფლა მიქაელ მირიანის ძე, რომელმაც მიიტაცა რამდენიმე უმთავრესი სახელმწიფო სახელი, რაც თამარის ისტორიკოსმა „მოვერაგებად“ შეაფასა.

კათალიკოსობიდან გადადგომის შემდეგ ნიკოლოზის საქმიანობა დაუკავშირდა ათონის ქართველთა მონასტერს, სადაც იგი 1178 წელს ჩასულა. კათალიკოსყოფილს იერუსალიმს წასვლა ჰქონია განზრახული, მაგრამ ათონზე მომხდარი ტრაგიკული ამბის გაგების შემდეგ განზრახვა შეუცვლია და ათონისაკენ გამგზავრებულა. ივირონის მონასტრის ხელნაწერები მოწმობენ, რომ ამ წელს ათონზე ქართველთა მონასტერს დიდი უბედურება ეწვია, ხანძარი გაჩნდა და გადაიწვა კელინები. ქართველი დიდებულები ძლიერ შეწუხებულან და შესაწირავები უხვად გაუგზავნიათ მონასტრებისა და სხვა შენობათა შესაკეთებლად. ათონზე ჩასული ნიკოლოზ გულაბერისძე მყისვე მხარში ამოუდგა ივირონის მაშინდელ წინამძღვარს – მამა პავლეს და მასთან ერთად იზრუნა მონასტრის გადასარჩენად. მართლაც, მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის თანამოღვაწეობის შედეგად აღორძინდა ქართველთა სიამაყე – ივირონის მონასტერი. მამა პავლესა და ნიკოლოზ გულაბერისძის ერთობლივი მოღვაწეობის, მათი საქმიანობის მჭიდრო კავშირის შესახებ მოგვითხრობს მამა პავლეს მიერ ნიკოლოზისათვის განწესებული აღაპი, რომელიც არის ძირითადი წყარო ათონზე ნიკოლოზის მოღვაწეობის შესახებ. მან აღადგინა „მთავარანგელოზთა ეკლესია მოხატვით, გამოჭიქვით, დაჭრელებით, გალავნის ერთ-ერთი

კუთხე კომკად („ბურლოდ“) „აღამაღლა“. მანვე შეადგინა თამარ მეფის სახელზე დადებული აღაპი.

ათონიდან ნიკოლოზი იერუსალიმს წასულა, 1182 ან 1183 წელს, სადაც ერთი-ორი წელი დარჩა და საიდანაც 1184 წელს ახალგაზრდა თამარ მეფის თხოვნით დაბრუნდა, რომელმაც გამეფების პირველსავე წელს გარს შემოიკრიბა ერთგული და სანდო პიროვნებები, მათ შორის ნიკოლოზ გულაბერისძე. ამასთან დაკავშირებით „ქართლის ცხოვრებაში“, თამარის ორსავე ისტორიაში, დაცულია ცნობა თამარ მეფის მიერ ნიკოლოზ გულაბერისძის იერუსალიმიდან გამოხმობის თაობაზე, რათა საეკლესიო ცხოვრებაში რეფორმა გაეტარებინა. დავიმოწმებთ ამ მონაკვეთს საისტორიო თხზულებიდან: –„პირველად აღმოუწოდა წმიდით ქალაქით იერუსალიმით ნიკოლოზს გულაბერისძესა, რომელსა სიმდაბლისა ძლითა ეჯმნა ქართლისა კათალიკოზობისაგან. ესე რა მოიყვანა, შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თვისისა მღვდელთმოდღუარნი, მონაზონნი და მეუდაბნოენი, კაცნი მეცნიერნი სჯულისა საღმრთონი და მოსწრაფე იყო, რაითა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვისისა, რომელი-ესე ადრე განემარჯუა სასოებისა კეთილისა მქონებელსა; ხოლო შემო-რაი-კრიბეს ორისავე სამთავროსა ეპისკოპოსნი, რომელთა პირად აქუნდა ზემო-მოკსენებული ნიკოლოზს, მსგავსი სეხნისა თვისისა, და ანტონი ქუთათელი საღირის-ძე, დიდად განთქმული სათნოებათა შინა და ძლიერი საქმით და სიტყვით. მიეგებოდა მათ თამარ დიდითა სიმდაბლითა, ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა. შეკრიბნა ყოველნი ერთსა სადგურსა და დასხნა საყდრებითა, ხოლო თვით დაჯდა შორის მათსა მარტოდ და არა მეფობით“...

კრების ოფიციალურ მიზეზად სარწმუნოებრივი საკითხები იყო დასახელებული. აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ გულაბერისძის წმიდა ნიკოლოზთან შედარება, რაც ისტორიკოსს მისი ხასიათისა და ბუნების საჩვენებლად სჭირდება. ნიკოლოზსა და ანტონს ისტორიკოსმა უწოდა „პირმეტყველნი მთიებნი“, ხოლო სასულიერო პირებს, ეპისკოპოსებს – „ცის ვარსკვლავთა კრებული“.

ნიკოლოზ გულაბერისძე წარმოჩენილია სამეფო იდეოლოგიის მომხრე და ცხოვრებაში მის გამტარებელ პიროვნებად, თუმცა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა და კათალიკოსობა დათმო მას შემდეგ, რაც თვით მეფე გიორგი III სასტიკად და მკაცრად

გაუსწორდა თავის ერთადერთ ძმისწულს დემეტრე/დემნა უფლისწულს. ჩანს, რომ გიორგი III მიერ უფლისწულის დასჯის ფორმებს არ იზიარებდა, მიუხედავად ამისა, ნიკოლოზი მაშინვე დაბრუნდა საქართველოში, როგორც კი თამარმა, ტახტზე ასვლისთანავე, მოუხმო მას. ცხადია, ეს სარწმუნოებრივთან ერთად მის სახელმწიფოებრივ თვალთახედვასა და პოლიტიკურ გამჭრიახობაზე მეტყველებს.

ნიკოლოზ გულაბერისძეს საქართველოში იერუსალიმიდან დაბრუნების შემდეგ დაუწერია თავისი ჰომილექტიკური და ჰიმნოგრაფიული თხზულებები, რომლებიც უფლის კვართის, ცხოველი სვეტისა და საქართველოს უმთავრესი ტაძრის თემას ასახავენ და მათ ეძღვნება. მისი ორიგინალური თხზულებები გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული და ემჩნევათ რედაქტორის ხელი. ამას ადასტურებს „საკითხავის“ ხელნაწერებს დართული მინაწერიც, რომელშიც აღნიშნულია დომენტი კათალიკოსის მიერ ტექსტის აღდგენის ფაქტი.

ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებები ეროვნული ცნობიერების განვითარების მაღალ საფეხურს ასახავენ. მათში ქართველი ერისათვის მნიშვნელოვანი კულტუროლოგიური საკითხია აღძრული. „საკითხავში“ წარმოჩენილია საქართველოს განმანათლებლის, წმიდა ნინოს მისიონერული მოღვაწეობის მნიშვნელობა ქართველი ერისათვის.

სვეტიცხოვლისსაკითხავი ბევრისე თცნობას შეიცავს, რომელიც სხვა წყაროდან არ ვიცით. მაგ.: ამბავითურქთა შემოსევისა (საბინინი 1882:109), კოზმანბერისნაამბობი (საბინინი 1882:109), ცნობები ნიკოლოზის ბიძის, სვიმეონ პატრიარქისა (საბინინი 1882:110), დავით აღმაშენებლის ჩვენება, რომელიც მასიოანე კათალიკოსისთვის უამბია (საბინინი 1882:114-115), ეპისკოპოსთა ფიცი, რომელიც საქართველოს ეკლესიის იერარქიის ისტორიისთვის მნიშვნელოვანია და სხვ.

„საკითხავი“ ყურადსაღებია წმინდა ნინოს ღვაწლის შეფასების თვალსაზრისითაც, რადგან გულაბერისძე არის თამარის ეპოქის ავტორი, რომელიც არამხოლოდ აღწერს, არამედ აფასებს ნინოს – ქალსადა „საზეპუროერის“ განმანათლებელს. ამთავითვე უნდა შევნიშნოთ, რომ წმინდანის ცხოვრების აღწერა გულაბერისძის მიზანი არ ყოფილა.

მეგლს სრულიად განსხვავებული მიზანდასახულება აქვს. ვ. კეკელიძემ იუთითებს, რომ

„ნიკოლოზის მიზანიყოფილა აღწერა ამ თხზულებაში ის სასწაულები, რომელიც სვეტიცხოვლის მიერ სრულდებოდა ქართველების მოქცევისას და შემდეგშიც ვინაიდან სვეტიცხოვლის ამბავს ცენტრალურია დგილი უკავიან ინოსცხოვრებაში, თავის თავად ცხადია, ავტორი ვერასცდებოდა ვერც ინოსცხოვრების აღწერას“ (კეკელიძე 1951:298).

გულაბერის ძის თხზულების ჟანრობრივის სპეციფიკის განხილვაში დროკავშირშია მეგლის კომპოზიციურისაკითხების განხილვა-შეფასებასთან. „სვეტიცხოვლის საკითხავი“ კომპოზიციურ-

სიუჟეტური თვალსაზრისით თითქოსოთხიპირობითინაკვეთისგან შედგება:

- 1) შესავალი;
- 2) ინოსცხოვრება;
- 3) ა. სვეტიცხოვლისა და ბ. კვართის სასწაულები;
- 4) სვეტიცხოვლის შესხმა (ხაირეტიზმი/გიხაროდენი).

შესავალში ავტორი თავად გვიხსნის თხზულების კომპოზიციურ-სიუჟეტური და ლოგიკური აგების, სტრუქტურის (თხრობაში წმინდან ინოსხაზის ჩართვის) მიზეზს (განმარტავს

„მიზეზსაცხადყოფისას“, (საბინინი 1882:70): „სამნიესესამებისა წმიდისამსახეებელნი: კათოლიკე ეკლესია, კუართიუფლისა და სუეტიცხოველი, საუნჯესა უკუდავყოფელსაგუნაყოფებენ, მირონსა, ვითარცა დემერტ-ყოფელსა და ნათელყოფელსა გვიწყაროებენ“ (საბინინი 1882:70). ე.ი.

თხზულების კომპოზიციაცამგვარად ვეაგებული: საუბრობს კათოლიკე ეკლესიაზე, მოციქულთაღვაწლზე,

სადაც ხსენებს პეტრესა და იაკობს და ლოგიკურად გადადის ნინოზე, რომელიც არის ერთ-ერთი საფუძველი ქართული ეკლესიისა, მოციქულთა სწორი დედა, რომელზეც დგას ქართული ეკლესია, ისევე, როგორც ზოგადად მოციქულთაღვაწლზე-ეკლესია. თუკი პეტრე არის კლდე, რომელზეც დაეშენა ეკლესია,

წმიდანინოც არის ის საფუძველი (თორმეტათანამეათცამეტმოციქული), ის „მიზეზი“, რომელიც განაპირობებს „ქართლებრთა ამათაღმოსავლეთის ეკლესიათა სიმტკიცეს“, ვინც არის „სულთა ჩვენთაგამომხსნელისამოელის მონებისა და ტყუეობისაგან“ (საბინინი 1882:71).

წმიდანინოს ორგანულად უკავშირდება კვართის ამბავი, სადაც პირველად აღესრულა სვეტის სასწაული. ამგვარად,

კომპოზიციურისტრუქტურასვეტიცხოვლისსაკითხავისამგვარია: **1)შესავალი;**
2)კათოლიკესამოციქულოეკლესიისდაფუძნებაქართლში (წმიდანინოსცხოვრება–
კვართისამბავი; სვეტისადასვეტიცხოვლისსასწაულები); **3)სვეტიცხოვლისშესხმა**
(ხაირეტიზმი).

მეგლისავტორიშესავალშივეამოკვეთს,როგორცსაკითხავისშედგენისმიზანს,
ისწმიდანინოსცხოვრებისმონაკვეთებისჩართვასდაჩართულმონაკვეთთაშერჩევისსპ
ეციფიკას (შემოკლებისმიზეზებს) დაგვამცნობს:
„რამეთუვინგამოწულილვითმეძიებლობ-
დესდასაბამსადავინაობსადასადაობსანეტარისამისნინოსასა,
წიგნიიგი ხელად მიიღენ აღწერილი მოწერილობით მოთხრობისათვისქართველთა
ცხოვრებისადა მისგან გუწყოსყოველივეაღმავსებელადჩუენისანაკლულევანებისა,
ხოლო ჩუენ შესაბამად ამის დღესასწაულისა მხოლოდ აღმავსებელად კმა საყოფელი
რეცა სულ
მცირედ შემოკლებულითხრობილი მოხსენებაი ნინოსიცა აღვსწეროთ დაშემდგომი-
თიშემდგომადშეუდგინოთყოველივეჯეროვანიგამოსაჩენელიდასაცნაურ-
მყოფელისუეტისაცხოველისადაკუართისასაუფლოსადიდებულებაიუგუნურე-
ბისაჩუენისაგანშესაძლებელი“ (საბინინი 1882:73).

ამგვარად,
ნიკოლოზგულაბერისძემთავადვეგანმარტამიზეზიწმიდანინოსცხოვრებისშემოკლებ
ულივერსია-რედაქციისჩართვისა, განსაზღვრათხრობისმიზანი, რაგვარობა,
თხზულების (საკითხავის) შედგენისმოტივაციადა, ამასთანავე,
მიუთითაუპირველესიწყაროც, საიდანაცნინოსღვაწლისწარმოჩენისასუსარგებლია.

კ.კეკელიძემ „ქართულილიტერატურისისტორიის“ I ტომშიშენიშნავულა-
ბერისძისსაკითხავისმსგავსებალეონტიმროველისძეგლთან. მკვლევრისაზრით,
ნინოსმოღვაწეობადაღვაწლიაქაცისევეაშეფასებულიდაგადმოცემული, როგორც
„ქართველთაცხოვრებაში“ (კეკელიძე
1951:298).იმავეავტორისმითითებითდაბოლოდროინდელიგამოკვლევებით,
ნიკოლოზგულაბერისძისთხზულებაშიჩანს „ქართლისმოქცევის“,
„მატიანექართველთაჲს“, „ნინოსცხოვრების“სხვარედაქციების (მაგ.:
არსენბერისეული), ეფრემმცირისშრომის

(„მოსახსენებელი მოქცევის აჩუენის ადთურომელთა წიგნთა შინა ბერძენთა სახსენებულა რს“), ასევე, არაქართველ მოღვაწეთა წყაროების, რუფინუსის, ბერიმელქიტინიკონის, მოსეხორენაცის (თამარაშვილი 1995: 200-240), ბასილიდი დისექსთა დღეთას (რომელსაც თავადავტორი ახსენებს) (საბინინი 1882: 71), მსოფლიოს აეკლესიოკრებათა (მხედველობაში გვაქვს მრწამსის ექსცერპტები, ძალიან საყურადღებო დამნიშვნელოვანი, რომელსაც წმინდან ინოწარმოთქვამს თხოვრებაში და, რომელიც სხვარედაქციებში ამგვარის ახით, შესაძლოა, არც იყოს), იოანე დამასკელის „გარდამოცემის“ კვალიც.

ნიკოლოზ გულაბერის ძის საკითხავი სხვა რედაქციების მსგავსად ინარჩუნებს ქვეთავთათან მიმდევრობას: აბიათარის მონათხრობი, სიდონიას მონათხრობი, მაგრამ ზედმიწევნით არ მისდევს მათ. ძეგლთა ურთიერთმედარება თხოვრებათა ურთიერთმიმართების სამი ასპექტი წარმოაჩინა:

ა) ორი ძეგლი ზედმიწევნით (ან მცირე ვარიანტულის ხვაობით) მისდევს ერთმანეთს: „უფალო, მრავლითა ძალითა შენითა“... (საბინინი 1882: 74); „შევიდა სახლსა სამოთხის მცუელისასა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 93) „შევიდა სახლსა მას სამოთხის მცუელისასა“; თანმხვედრია სიდონიას მონათხრობის მნიშვნელოვანი ეპიზოდი, ერთგვარი ადათარიღება (გულაბერის ძის ძველებითი ზიარებს მროველის ეულს);

ბ) გულაბერის ძე „ქართლის ცხოვრების“ მოკლევრსიას გვთავაზობს, სადაც კვალი ამუკანასკნელის ანათელია და (ამგვარ პასაჟთა მოძიებარ თული არა ამათის იმრავლის გამო);

გ) თხოვრებები ერთმანეთის განგანსხვავდება. როგორც ქ. ცხადაძემ იუთითებს, – „საფიქრებელია, რომ სხვაობანი გამოუწვევია „ქართლის ცხოვრების“ რედაქტორ-შემდგენლების ადამთარგმნელის საერთომიზანსადაგეგმას, ზოგჯერ კი გადამწესხველის გემოვნებას.

ქართულ წყაროებში ყველაზე მეტი ცვლილებით ლეონტი მროველის რედაქცია წარმოდგენილია XII საუკუნის II

ნახევრის მოღვაწის ნიკოლოზ გულაბერის ძის საყურადღებო შრომაში.

ავტორის მიზანია აღწეროს უფ-
ლისკვართისადგილსამყოფელზე აგებულ ტაძარში აღმართული სვეტიცხოვლის ისტორ-
იადამისისასწაულები. გულაბერის დისთვის საინტერესოა „**წინოსცხოვრე-
ბის**“ ისნაწილი, რომელშიც გადმოცემულია ნინოს მოღვაწეობამცხეთაში,
მის მიერ ქართლის მოქცევა და არამთელი ცხოვრება.

ამიტომ იგი თხოვრობას იწყებს ნინოს ჯავახეთს შემოსვლით და ამთავრებს სვეტისა და ჯვრებ
ისსასწაულებით.

ამნაწილს ავტორი გადმოგვცემს ლეონტი მროველის თანახმად თავის უფალი თხოვრობის სა-
ხით“ (ცხადაძე... 1960:390-1). მაგ.: გულაბერის ძე ართურთავსა ბიათარის I მონათხოვრობს;
ქართლად შემოსვლის ეპიზოდში არახსენებს გაცს, განსხვავებით მროველისგან;
ზოგხელნაწერში ცალკეთა ვადაა გამოყოფილი ჯვრის აღმართვა (საბინინი 1882:78);
ზოგჯერ თხოვრობა იდენტური თურა, მსგავსია
(ამგვარ შემთხვევაში საუბრობენ ვერსიფიკაციაზე და არ არედაქციაზე),

მაგრამ განსხვავებულია ფაქტობრივად:

„შემდგომად წელიწადთა მრავალთა ესმა ძისწულსა ადერკიმეფისასა“ (საბინინი 1882:
100). შემდგომად მრავალთა წელიწადთა ძისწულის შვილმანა ადერკიმეფისამან...“

მნიშვნელოვანი ფაქტობრივი სხვაობაა 4 ჯვარი (რომელსაც სიმბოლური,
სახისმეტყველებით დაიდურია განსხვავება შემოაქვს თხოვრობაში).

შესაშური კრიტიკული და ლოგიკური აზროვნება წარმოჩნდება, როცა გულაბერის-
ძეორის სხვადასხვა ეპისკოპოსის ქართლად შემოსვლის ცნობას განიხილავს.

იგი არ იღებს უკრიტიკოდ არცერთს, მაგრამ ხედავს შესაძლებლობას,
მოაგვაროს ორივე ინფორმაცია ერთმანეთთან, რასაც გვთავაზობს კიდევ.
განსხვავებულია ტოპონიმი: მუხრანი-მუხნარი; მნიშვნელოვანი სხვაობა,
როცა ის განპირობებულია გულაბერის-

ძისპარადიგმატიან კიდევ გელათის სკოლისთვის დამახასიათებელია აზროვნებით,
პოზიციით, მსოფლხედვით. ეს, ძირითადად, მაშინ ხდება, როცა „ცხოვრებისეული“
ინფორმაცია, თხოვრობა გულაბერის დის მიზანს სცდება და ანკიდევ, ნიკოლოზითვის,
რომ „სათანადო არს“ „გამოწულილვა“ თუ „ძიება“-კომენტარი.
მისთვის მნიშვნელოვანია ფაქტთა სიზუსტე, ამიტომ ვესაკამათოს აკითხს არკვევს:
„ვითარწინა აღმდგომარს სიტყვასიტყვისა, ფრიადსა ძიებელარსო“ (საბინინი 1882:

89).უნდაშევიწყოთ, რომგულაბერისძეთავისუფლადეკიდებამასალას:
ზოგჯერგანავრცობს, ხანამცირებს, სხვაგანკომენტარსურთავს
(მაგ.იოანეპისკოპოსის,
სვეტისსასწაულებისათუნინოსმიერადსრულეზულსაკვირველქმედებათამოხსე-
ნებისას).

როგორცაღვნიშნეთ, თხზულებასუძღვისშესავალი,
რომელიცერთგვარიშემზადებაა,
„ცხადყოფისმიზეზთა“სწორედფილოსოფიურიახსნაა,
რადგანუფალმაქართველთაგანსანათლებლადწარმოავლინაქალი–ნინო. მხოლოდ
„სათანადო“

კომენტარისშემდეგნიკოლოზგულაბერისძეიწყებსთხრობასწმიდანინოსშესახებ.
სიუჟეტურიხაზიამგვარადვითარდება. თხრობაიწყებანილოსჯავახეთშიშემოსვლით
(განსხვავებით „ქართლისცხოვრებისგან“), რასაცმოსდევსმცხეთაშიჩამოსვლა;
წარმართთადღესასწაულიდაურიადედაკაცთანშეხვედრა (ნიკოლოზიარახსენებს
„მამათაჩვენთაღმერთს“ –გაცს, რომელიციმთავითვეჩანს„ქართლისცხოვრებაში“);
ნინოსლოცვადასასწაული (კერპთამსხვრევა); ბარტამეფისსაგრილი;
ანასტოსადამისიმეუღლისკურნება (ნინოსხილვა– „კაცინათლისფერი“) დამოქცევა
(მრწამსისექსცერპტი, რომელიცამეპიზოდშიაჩართული,
განსხვავდებაცხოვრებისგან); მაცვლოვანის „პოვნა“;
აბიათარისადასიდონიასდამოწაფება; ექვსთადედათა (ურიათა) მოქცევა
(„მოთხრობააბიათარმღუდლისაგანკუართისათვისსაუფლოსა,
თუვითარმოგუენიჭა“); ურიათამოწოდებანამღვდლისმიერ (ანაქრონიზმი);
ელიოზისდედისადადისმიცვალებადაკვართისამზავი
(მათიმიცვალებისმიზეზთაახსნა); ადერკიმეფისამზავი; ნინოსხილვა;
ადერკიმეფისძისწულის (ზოგირედაქციით–ძმისწული), არმაზელის, ამზავი;
ნინოსხილვა; მირიანისადანანასსასწაულებრივიმოქცევა;
ამის შემდეგ აბიათარი წმიდა ნინოსგან გამოიძიებდა, ვინ იყო ქრისტე და რისთვის განკაცდა. წმიდანმა ყველაფერი მოუთხრო და განუმარტა ძველი და ახალი

სჯულიდან. მან ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი, წმიდანს დაემოწაფა და ქრისტიანობის მხურვალე მქადაგებელი გახდა.

წმიდა ნინო მცხეთაში მოსვლისთანავე ემებდა მაცხოვრის კვართს. აბიათარმა მას წინაპართაგან გადმოცემული ამბავი მოუთხრო: როდესაც ებრაელები უფალ იესო ქრისტეს წინააღმდეგ აღიძრნენ, თვისტომთ ყოველი მხრიდან მოუწოდეს. მცხეთის მკვიდრ ებრაელებს იერუსალიმიდან მოწერეს: „იმ კაცისაგან, რომელსაც იესო ჰქვია, განქარდა მოსეს სჯული, დაირღვა ჩვენი ყოველი წესი და ლამის მთელი ქვეყანა მას შეუდგეს. მოდით და შეგვეჩიეთ, კაცნო ბრძენნო და სჯულისმეცნიერნო და აღვასრულოთ მცნება ღვთისა და მოსესი“. ებრაელებმა სამღვდელო ტომის შთამომავალი ელიოზ მღვდელი და ლონგინოზ კარსნელი გააგზავნეს იერუსალიმში.

მოხუცებულმა დედამ წასვლის წინ ამცნო ელიოზს, რომ არ მიეღო მონაწილეობა მართალი კაცის სიკვდილში, რამეთუ იგი წინასწარმეტყველთაგან მოსწავებული მესიაა, ხოლო მისი ღვთისმომშიში და – ქალწული სიდონია შეევედრა ელიოზს, მისთვის იესოს ხელშენახები რაიმე ნივთი ჩამოეტანა.

როდესაც ებრაელებმა მაცხოვრის ჯვარცმა გადაწყვიტეს, ელიოზი და ლონგინოზი არ ეზიარნენ მათ განზრახვას. ისინი ჯვარცმის შორიახლოს იდგნენ.

მცხეთაში დაბრუნებულმა ელიოზმა შეიტყო, რომ იმ დროს, როდესაც გოლგოთაზე მაცხოვრის წმიდა ხელები ჯვარს მიაღსჭვალეს, სულიწმიდით აღძრულმა ელიოზის დედამ ხმამაღლა დაიძახა: ამიერიდან მშვიდობით, მეუფებო ურიათაო, რამეთუ განხორციელებული ღმერთი მოაკვდინეთო – და ამ სიტყვებით მიიცვალა.

მაცხოვრის ჯვარზე ვნების შემდგომ უფლის კვართი მცხეთელებს ხვდათ წილად. იერუსალიმიდან წამოსულმა ელიოზმა თან წამოიღო უფლის კვართი. მცხეთაში მოსულს ქალწული სიდონია მიეგება. ძმას გამოართვა მაცხოვრის კვართი, გულში ჩაიკრა და მყის სული განუტევა.

მცხეთელები შეშფოთდნენ ამ უცხო სასწაულის ხილვით. ელიოზმა შიშით და ძრწოლით კვართიანად დაკრძალა საყვარელი და, რადგანაც ვერ შეძლეს მის ხელთაგან უფლის სამოსლის გამოღება.

სწორედ მაცხოვრის კვართზე იყო ამოსული ის მშვენიერი კვიპაროსი, რომლის მოჭრაც ბრძანა მირიანმა.

მოკვეთილმა ხემ გამოუთქმელი სურნელება გამოსცა. მისგან სვეტი შეამზადეს და როდესაც აღმართვა დააპირეს, ვერაფრით ვერ დაძრეს ადგილიდან, რამეთუ საღმრთო ძალა აჩერებდა მათ. ამასობაში დაღამდა და ამ საოცრებით გაკვირვებული და შეწუხებული მეფე და ხალხი სახლებში წავიდა.

იმ ღამეს წმიდა ნინო თავის თორმეტ მოწაფესთან ერთად სვეტის მახლობლად ლოცულობდა. შუაღამისას კაცთა მოდგმის მტერმა, რომლის მეუფებაც ირღვეოდა ქართლში, დასაბრკოლებლად მათ ამგვარი ჩვენება მოუვლინა: თითქოს ჩამოირღვა არმაზისა და ზადენის მთები, რომელთაც მტკვრისა და არაგვის დინება შეაჩერეს. დაგუბებულმა მტკვარმა ნაპირებიდან გადმოხეთქა და ქალაქი წალეკა. ატყდა გრგვინვა და საშინელი გოდებისა და ვაების ხმები გაისმა. შეშინებულმა დედებმა გაქცევა დააპირეს. წმიდა ნინომ შეაჩერა ბოროტის მზაკვრებით მოტყუებულნი და უთხრა: „ნუ გეშინიათ, დებო, მთები იქვე დგანან და წყალნიც იქვე დიან; მთების ჩამოქცევა ნიშანია იმისა, რომ ურწმუნოების მთები დაირღვევა ქართლში, წყლის შეჩერება – ეშმაკთა მიმართ შეწირულ ყრმათა სისხლის შეწყვეტაა, ვაების ხმები – ეშმაკთა გოდებაა, რომელნიც ჯვრის ძალით აქედან განდევნილნი თავის თავს იგლოვენ. დაბრუნდით და ილოცეთ“. მეყსეულად ჩაცხრა ხმები და ყველაფერი გაქრა. წმიდა ნინო ხელაღპყრობით ლოცულობდა და ღმერთს ევედრებოდა, არ დაბრკოლებულიყო საქმე სარწმუნოებისა, რასაც წადიერებით შეუდგა მეფე და ერი.

ცოტა ხნის შემდეგ გამძვინვარებულმა ბოროტმა სხვა შემადრწუნებელი ჩვენება მოუვლინა მათ: თითქოს ძლიერმა ლაშქარმა დაღეწა ქალაქის სამივე კარიბჭე და მცხეთა სპარსთა ლაშქრით აივსო. ატყდა საშინელი ხოცვა და სისხლი მდინარესავით მიდიოდა ქუჩებში. გაისმა საშინელი ძახილი: – „ამას ბრძანებს სპარსთა მეფე ხუარა და მეფეთ-მეფე ხუარან-ხუარა: – ყოველი ურია განარიდეთ მახვილს“. შეშინებულ დედებს შეიარაღებულნი მიუახლოვდნენ. ამ დროს ვიღაცამ ძლიერად დაიძახა: მირიან მეფე შეიპყრესო. წმიდა ნინომ ირგვლივ მიმოიხედა და თქვა: – „ვინც ყვირის, ვიცი, ახლა ძალიან უჭირს და ვმადლობ უფალს, რომ ეს მათი წარწყმედის, ქართლის ხსნისა და ამ ადგილის დიდების ნიშანია“. ნუგემისცა დედებს და გაამხნევა. შემდეგ მიუბრუნდა მხედრებად გარდასახულ ეშმაკებს და უთხრა: – „სად არიან სპარსთა მეფენი – ხუარა და ხუარან-ხუარა? – საბასტანით გუშინ წამოხვედით? – მალე მოსულხართ. დიდი ლაშქარი ხართ და ძლიერად დაღეწეთ ქალაქი, მახვილი დაეცით ქართა

და ნიავეთ. წადით ჩრდილოეთის წყვიდადში, აჰა, მოვიდა, ვისაც თქვენ გაურბიხართ!“ ჯვარი გადასახა იქაურობას, უცბად გაუჩინარდა ყველაფერი და სიმშვიდე ჩამოვარდა.

ცისკრის ჟამს ღამის ჩვენებებით გადაღლილ დედებს ჩაეძინათ. მხოლოდ წმიდა ნინო და სიდონია იყვნენ მღვიძარედ და ლოცულობდნენ. ამ დროს წმიდანთან ნათლითმოსილი ჭაბუკი მივიდა და სამი სიტყვა უთხრა. წმიდა ნინო მიწაზე დავარდა; ჭაბუკმა ხელი მოჰკიდა სვეტს და მალა წაიღო. მალე სვეტი ცეცხლივით დაეშვა, ჰაერში ორი კაცის სიმაღლეზე შეჩერდა და ბრწყინვალეობასა და საოცარ სურნელს გამოსცემდა.

გამთენიისას სვეტის ვერშეძვრით დაღონებული მეფე ბაღში მიმოდიოდა. დაწყებულ ეკლესიას თვალი შეავლო და იხილა, რომ ნათელი ელვასავით აღიწეოდა ცამდე. მთელი ქალაქი შეიკრიბა ამ სასწაულის სანახავად. მირონმდინარე ნათლის სვეტი ნელ-ნელა ქვემოთ დაეშვა და ხელშეუხებლად თავისსავე ძირს დაემყარა. შიშითა და სიხარულით აღვსილი მეფე და ერი წმინდა ნინოს ღმერთს ადიდებდა.

სვეტიცხოვლის მიერ ურიცხვი სასწაული აღესრულებოდა. ხალხი თვალს ვერ უსწორებდა მის შემადრწუნებელ ღვთაებრივ ნათელს. მისი ბრწყინვალეობა რომ დაეფარა, მეფემ საბურველი შეუქმნა. სნეულნი საბურველს ეხებოდნენ და იკურნებოდნენ. სვეტიცხოვლის ტაძარს „წმიდა წმიდათა“ ერქვა და შიშით იქ შესვლას ვერავინ ბედავდა.

ეკლესიათა დასრულების შემდეგ, წმიდა ნინოს ბრძანებით, მეფე მირიანმა საბერძნეთში მოციქულები გააგზავნა იმპერატორ კონსტანტინესთან და მოძღვარნი და ღვთისმსახურების მასწავლელნი ითხოვა. იმპერატორმა კონსტანტინემ ისინი სიყვარულითა და დიდი პატივით მიიღო და საქართველოში ნიკეის კრების მონაწილე, მართლმადიდებლობის მტკიცე დამცველი – ანტიოქიის პატრიარქი ევსტათი მიავლინა.

ქართლი ჯეროვანი პატივით მიეგება პატრიარქს. მან წმიდა ნინოს ელენე დედოფლისგან გამოგზავნილი ძელი ცხოვრების ნაწილი, მაცხოვრისა და ყოვლად-წმიდა ღვთისმშობლის ხატები, ქებითა და შესხმით შემკული წერილი გადასცა.

მირიანის ბრძანებით, სამეფოს მკვიდრნი მცხეთას შემოიკრიბნენ. მოამზადეს სანათლო, სადაც წმიდა ნინომ ჯვარი აღმართა და პატრიარქის ხელით მეფე-

დედოფალი, დიდებულნი და უამრავი წარმართი მოინათლა. ამ ადგილს „მთავართა სანათლო“ ეწოდა. პატრიარქმა ეკლესიები აკურთხა და საკურთხეველნი დაამყარა. მთავარეპისკოპოსად იოანეს დაასხა ხელი; აკურთხა მღვდელ-დიაკონნი და მეფე და ერი საღმრთო სწავლებით განამშვენა. მან მონათლა, აგრეთვე, ურიათა მღვდელთ-მომღვარი აბიათარი, მისი ნათესავნი, ელიოზის სახლ-ტომი და სხვა ორმოცდაათი მოქცეული ებრაელი. ებრაელები აღსდგნენ აბიათარის წინააღმდეგ, დაარღვიეს სინაგოგა და გაიფანტნენ. მონათლულ ებრაელებს მეფემ დაბა ციხე-დიდი უბოძა.

წმიდა პატრიარქმა ევსტათიმ ქვეყანა მართალ სარწმუნოებაზე დაამტკიცა, განუწესა ეპისკოპოსნი, მღვდელნი და დიაკონნი, საეკლესიო და საღვთისმსახურო წესები ასწავლა, რის შემდგომ დიდი პატივით გააცილეს თავის ქვეყანაში.

ამავე დროს ფრანგმა დიაკონმა წმიდა ნინოს რომის პაპისგან წერილი ჩამოუტანა. პატრიარქი ლოცავდა მეფესა და ერს, წმიდა ნინოს ქებას ასხამდა და მისგან ლოცვას ითხოვდა. დიაკონს თან ჰქონდა წერილი ფრანგი მთავრისა, რომელიც წმიდანის მამას – ზაბულონს მოენათლა. ქართლში ქრისტიანობის ნათლის მიფენა და წმიდა ნინოს სასწაულები მათ ყურამდეც იყო მიწვენილი. დიაკონმა, მთავრის ბრძანებით, თვალით ხილული და მოსმენილი ყველაფერი ჩაიწერა და თავის ქვეყანაში წაიღო.

წმიდა ნინო არაგვის გადაღმა, მცხეთის პირისპირ მდგომარე მთაზე ავიდა და ღამეებს ლოცვაში ათევდა. მისი ლოცვით კლდის ძირას სასწაულებრივი წყარო აღმოცენდა, რომელსაც კურნების ძალა ჰქონდა. ამ კლდის სიახლოვეს უხსოვარი დროიდან ზამთარ-ზაფხულ ფოთოლმსხმოიარე სურნელოვანი ხე იდგა, რომელსაც კაცის ხელი არ შეხებოდა. ეს ხე საკვირველი იყო იმითაც, რომ სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი მის ფოთოლს ან თესლს თუ შეჭამდა, გადარჩებოდა. როდესაც ეპისკოპოსს ამ ხის ამბავი აუწყეს, მან თქვა: – ღმერთმა დასაბამიდანვე თავის სამსახურად განამზადა ეს ქვეყანა. და ეს ხეც ამ ჟამისათვის აღმოაცენა. რადგანაც ახლა მოეფინა ღვთის მადლი ქართლს, ჯვარცმული უფლის სადიდებლად ჯვრები მისგან შევქმნათო.

ხარებობას – 25 მარტს ეპისკოპოსისა და მეფისწულის თანხლებით რტოებიანად ჩამოიტანეს მოკვეთილი ხე, რომელიც ტაძრის სამხრეთ ნაწილში – სვეტიცხოველთან დაასვენეს. მის ფოთლებს 37 დღის განმავლობაში ფერიც კი არ შეუცვლია. ამ ხისგან

სამი ჯვარი გამოკვეთეს და 7 მაისს მეფეთა ხელისდადებით ეკლესიაში აღმართეს. რამდენიმე დამის განმავლობაში მცხეთელებმა საკვირველი სასწაული იხილეს: ზეციდან ჩამოსული ვარსკვლავების გვირგვინით შემკული ცეცხლოვანი ჯვარი განთიადამდე ეკლესიის თავზე ჩერდებოდა; შემდეგ მისგან გამოყოფილ ორ ვარსკვლავთაგან ერთი აღმოსავლეთით მიდიოდა, მეორე – დასავლეთით. თვითონ ჯვარი კი ნელ-ნელა არაგვის გაღმა გადიოდა და წმიდა ნინოს წყაროსთან მცირე ხნით შეჩერებული ზეცად მაღლდებოდა. მეფემ წმიდა ნინოსგან შეიტყო, რომ ამ სასწაულით უფალი ჯვრების აღსამართავ ადგილებს მიაჩნებდა. წმიდანის რჩევით მან ამ ადგილების გამოსაძიებლად ხალხი გააგზავნა და შეიტყო, რომ ერთი ვარსკვლავი თხოთის მთაზე ჩერდებოდა, სადაც მირიანმა ქრისტე ირწმუნა, მეორე კახეთში – დაბა „ბოდისში“, რითაც უფალი წინასწარ განადიდებდა თავისი სათნოყოფელის განსასვენებელ ადგილს. წმიდა ნინომ უწყოდა, რომ ბოდბეში დასრულდებოდა მისი ამქვეყნიური ცხოვრება და ამიტომ უბრძანა: „წაიღეთ ერთი ჯვარი და თხოთს აღმართეთ, სადაც უფალმა თავისი ძალა გამოგიცხადათ, ხოლო მეორე – მეფეთა ქალაქ უჯარმაში, რადგანაც ბოდბე წინ არ აღუდგება ხალხმრავალ მეფეთა ქალაქს, ხოლო ბოდბეს, ღვთის სათნო ადგილს, თვითონ ვიხილავ“.

მესამე ჯვარი წმიდა ნინომ, ეპისკოპოსმა, სამეფო კარმა და ურიცხვმა ხალხმა დიდი პატივით წააბრძანეს და წმიდა ნინოს წყაროსთან მთელი ღამე ლოცვაში გაათენეს. მეორე დღეს წმიდა ნინომ ხელი დაადო ერთ ქვას და ეპისკოპოსს უთხრა, რომ ჯვარი გადაესახა მისთვის. იმ ადგილას, ბორცვზე დიდებით აღმართეს ჯვარი და მის წინაშე მუხლი მოიდრიკეს. მრავალი სასწაული აღესრულებოდა ამ ჯვართან: სნეულნი განიკურნებოდნენ, უშვილოთ – შვილი ენიჭებოდათ. ამ სასწაულებით მრავალი წარმართი მოიქცა. ერი ყოველწლიურად აღასრულებდა მასთან მსახურებას.

ერთხელ მირიანმა წმიდა ნინოს უთხრა: „მნებავს ჩემი სიძე პეროზი და მთიულნი მახვილით მოვაქციო...“. მან მიუგო: „უფლისგან ნაბრძანები არაა მახვილის აღება; სახარებითა და პატიოსანი ჯვრით ვუჩვენოთ მათ ჭეშმარიტი გზა“.

წმიდა ნინომ მთიულეთში, ერწო-თიანეთსა და კახეთში იქადაგა ქრისტეს სარწმუნოება. ხალხმა შემუსრა კერპები და მოინათლა. და, ბოლოს უფალი მიუძღვა მისთვის გამზადებულ ადგილზე – კახეთის დაბა „ბოდისში“, სადაც დაასრულა მოციქულებრივი მოღვაწეობა. აქ მისი ქადაგებით მოინათლა დედოფალი სუჯი, მისი

მთავრები, მხედრები და მონა-მხევალნი.სრულყო რა ქადაგება ჭეშმარიტებისა, ღვაწლით დამაშვრალ დედა ნინოს სულიწმიდისგან ეუწყა, რომ ამ სოფელს დატოვებდა. მან მირიანთან წერილი გაატანა დედოფალ სუჯის, რომელშიც ლოცავს მეფესა და ერს და ატყობინებს, რომ ქრისტეს სახარება ყველამ შეიწყნარა, შემუსრეს კერპები და წმიდა სამების სახელით მოინათლნენ. მეფეს მოუწოდა, რომ მტკიცედ დაეცვა სარწმუნოება და წმიდა ნათლისღების ბეჭედი. შემდეგ ითხოვს, რომ მასთან იოანე ეპისკოპოსი გააგზავნოს – რათა წარმგზავნოს და საუკუნო საგზალი მომცესო.

სუჯი მხლებლებით წავიდა მცხეთაში და მთელი გზა ფეხშიშველმა გაიარა. როდესაც სვეტიცხოვლის პირისპირ მიიწივნენ, ვერვინ გაბედა უზომოდ ადიდებულ არაგვი შესვლა. დედოფალმა ილოცა, პირჯვარი გამოისახა და სახედრით შევიდა მდინარეში. მდინარე შუაზე გაიპო და დედოფალი უვნებლად გავიდა ნაპირზე.

მირიანმა ცრემლებით დაალტო წმიდა ნინოს წერილი. მეფე-დედოფალი უამრავი ხალხით წავიდა ბოდბეში. იქ ჩასულთ მოიკითხეს წმიდანი და მისგან კურთხევა აიღეს. ეპისკოპოსმა იოანემ წირვა აღასრულა და წმიდა ნინო ქრისტეს განმაცხოვრებელ სისხლსა და ხორცს აზიარა, რომელიც წაიღო საუკუნო საგზლად და უფალს შეჰვედრა სული. „ტალანტთა სიმრავლით წარმოუდგა წმიდა სამებას და პატიოსან ძღვნად სულიწმიდით შობილი ერი მიართვა“.

მთელი ერი შეიკრიბა მისი წმიდა სხეულის თაყვანსაცემად. მირიანმა ძლივს დააცხრო ხალხი, რომელიც ერთმანეთს თელავდა, მის ღვაწლშემოსილ გვამს რომ შეხებოდა.

მეფემ მთავარეპისკოპოსსა და მთავრებთან ერთად წმიდა ნინოს სვეტიცხოველში დაკრძალვა გადაწყვიტა, მაგრამ ორასმა კაცმა ადგილიდანაც ვერ დაძრა მისი სარეცელი. მირიანმა გულისხმაჰყო, რომ სწორედ ეს იყო მის განსასვენებლად ღვთისგან მოსწავებული ადგილი და დიდი პატივითა და დიდებით იქვე დაკრძალა. ოცდაათი დღე წმიდა ნინოს საფლავთან დარჩნენ და ერის დაობლებას იგლოვდა მეფე და ერი.

წმიდანის საფლავზე მეფემ მშვენიერი ტაძარი ააგო და საეპისკოპოსოდ განაჩინა. სიკვდილის სარეცელზე მყოფმა მირიანმა დედოფალს ანდერძი დაუტოვა: –„შენ, ნანა, თუ დაგცალდება, ჩემი სიკვდილის შემდეგ სამეფო განძი ორად გაყავი და ერთი ნაწილი წმიდა ნინოს საფლავს შეწირე, რათა ჟამთა სიგრძემ და ცვალებამ არ

შეარყოს ეს ადგილი და უკუნისამდე შეუძვრელად იყოს... ასევე ვევედრები მთავარეპისკოპოსს, განადიდოს ეს ადგილი, რადგანაც პატივის ღირსია“.

წმიდა ნინოს საფლავთან ურიცხვი სასწაულები აღესრულებოდა და დღესაც სულიერად დაკნინებულსა და დაუძლურებულ ერს მანვე უნდა აღმოუცენოს ცხოველი წყარო კურნებისა და შემუსროს ურწმუნოების კერები.

წმიდანინოს ხსენებას საქართველოს ეკლესია წელიწადში ორჯერ დღესასწაულობს: 1(19) ივნისს აღინიშნება მისი საქართველოში შემოსვლა, ხოლო 27(14) იანვარს – გარდაცვალება.

უძველესი თხზულება, რომელიც ნინოს შესახებ დაწერილა და რომელმაც შექმნა ნინოს კულტი, არის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შემდგენელი ნაწილი– „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოასი“. მის შექმნას აკად. კ. კეკელიძე IX საუკუნის უკანასკნელი მეოთხედით და X საუკუნის დასაწყისით განსაზღვრავს.⁵ „ნინოს ცხოვრების“ ეს ვერსია გახდა წყარო ნინოს შესახებ შექმნილ შემდეგდროინდელ ცხოვრებათათვის.

XI საუკუნის II ნახევარში ლეონტი მროველს შეუდგენია „ნინოს ცხოვრების“ ახალი რედაქცია, რომელსაც დიდი პოპულარობა მოუპოვებია. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ანუ „ნინოს ცხოვრების“ შატბერდულ-ქელიშური რედაქციის საფუძველზე XII საუკუნეში არსენს შეუქმნია წმინდა ნინოს მეტაფრასტული ცხოვრება.⁶ ნინოს სამისიონერო საქმიანობასა და ცხოვრებას მისი საქართველოში შემოსვლის შემდეგ ეხება ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულებაც: „საკითხავნი სუეტის-ცხოვლისანი, კუართისა საუფლოასა და კათოლიკე ეკლესიისაჲ“⁷, რომელიც „ნინოს ცხოვრების“ მრავალი ეპიზოდი და დეტალი მროველისეული რედაქციის ცხოვრებიდან აუღია. არსენის მეტაფრასტული ცხოვრების საგრძნობი შემოკლების საფუძველზე, XIII საუკუნის უცნობ ავტორს შეუდგენია „ნინოს ცხოვრების“ სხვა, ზემოთ დასახელებული რედაქციებიც. „ნინოს ცხოვრების“ შემოკლებული რედაქცია თავისი შედგენილობისა და ხასიათის მიხედვით განეკუთვნება მოკლე, სვინაქსარული ტიპის ცხოვრებათა რიცხვს.

„ნინოს ცხოვრების“ შემოკლებული ვერსია შეისწავლა ქ.ცხადაძემ, რომელიც ასეთ დასკვნას აკეთებს: – „XIII საუკუნის უცნობი ავტორის მიერ გადამუშავებული

⁵ კ.კეკელიძე, ძვ.ქართ. მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 504. გამოცემულია ექ. თაყაიშვილის მიერ;
⁶ ს.ყაუხჩიშვილი. „ქართლის ცხოვრება“
⁷ მ.საბინინი. „საქ.სამოთხე“, გვ. 69-117.

„ნინოს ცხოვრების“ ტექსტი არის არა უბრალო შემოკლება არსენ ბერისეული მეტაფრასტული რედაქციისა, არამედ იგი დამოუკიდებელი სვინაქსარული რედაქციის მსგავსი მოკლე რედაქციაა”.⁸ ამ მოკლე ცხოვრების XIII საუკუნის შექმნის ფაქტი ჩვენ შესაძლებლობაა გვაძლევს დავუშვათ, რომ ქართველ მოღვაწეთა ლიტურგიკული დანიშნულების მოკლე ცხოვრებათა შედგენის ტრადიცია სვინაქსარულ ცხოვრებათა წარმოშობის შემდეგაც განაგრძობს არსებობას, რადგან სხვა ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარულ ცხოვრებებთან ერთად, ნინოს მოკლე, სვინაქსარული ცხოვრება უკვე XI საუკუნეში იყო შექმნილი (sin-4).

მსგავსად ვრცელი ცხოვრების რედაქციებისა, მრავლადაა ცნობილი „ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციებიც. ქართულ ლიტურგიკულ კრებულებს ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ოთხი რედაქცია შემოუნახავს. უძველესი რედაქციის მოკლე სვინაქსარული ცხოვრების ერთადერთი ნუსხა მოთავსებულია XI საუკუნის sin-4 ხელნაწერში, რომლის ტექსტი – „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“-ში გამოსცა აკად.ივანე ჯავახიშვილმა. ეს სვინაქსარული ცხოვრება პერიფრაზულია. თავისუფალი თხრობის ფორმით, სულ რამდენიმე წინადადებით აღნიშნულია ნინოს მოღვაწეობის ძირითადი მომენტი – „დავიწყებული ქუეყანაი ქართლისაი“-ს მოქცევა. აქვე გაკვრითაა ნათქვამი, რომ მიზეზი ნინოს ქართლში სამისიონერო მოღვაწეობისა, „ქართველთა ნათესავის“ ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობა იყო, რაც „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებიდან არ შეიძლება მომდინარეობდეს.⁹ გაურკვეველია ნინოს ვრცელი ცხოვრების ოთხი რედაქციიდან რომელს ეყრდნობა აღნიშნული თხზულება, თუმცა ცხოვრების არსენისეული, შემოკლებული რედაქციები და ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება გამორიცხულია, რადგან ისინი სვინაქსარულ ცხოვრებაზე გვიან შეიქმნენ.

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ პირველი რედაქცია საფუძვლად დადებია მეორე XIV საუკუნის ხელნაწერით ცნობილ, შედარებით ვრცელ რედაქციას. H-600

⁸ კ.კეკელიძე. საიუბილეო კრებული, გვ.401

⁹ წილხვდომილობის ფაქტის აღნიშვნა „ნინოს ცხოვრებიდან“ არის გულაბერისძის თხზულებაში, არსენისეულ მეტაფრასტულ ცხოვრებაში და აქედან გადასულა შემოკლებულშიც, ხოლო „მოქცევისა“ და ლეონტის რედაქციებში ამის შესახებ არაფერია ნათქვამი. აქედან დასკვნა, რომ სვინაქსარული ცხოვრების ეს ეპიზოდი არ შეიძლება მომდინარეობდეს „ნინოს ცხოვრების“ რედაქციებიდან, რადგან შემოკლებული და არსენისეული რედაქციები სვინაქსარულ ცხოვრებაზე გვიან შეიქმნენ (არსენისეული XII ს., შემოკლებული – XIII ს., სვინაქსარული – I-XI საუკუნეები (ამდენად, ეს დეტალი სხვა წყაროდან ან ზეპირი გადმოცემის მიხედვითაა შეტანილი.

ხელნაწერში, რომელიც ნინოს ვრცელ, ჭელიშური რედაქციის სახელით ცნობილ ცხოვრებას შეიცავს, ვრცელი ცხოვრების ბოლოს მოთავსებულია ნინოს სვინაქსარული ცხოვრება და საგალობლები. ე.ი. ვრცელი ცხოვრების ტექსტს დართული აქვს ნინოს დღესასწაულის დღის სრული „განგება“. სვინაქსარული ცხოვრების ეს რედაქცია მხოლოდ ამ ხელნაწერის ნუსხითაა ცნობილი. ამ თხზულების აშკარა სვინაქსარული ხასიათის მიუხედავად, მისი ნუსხა არც ერთ ლიტურგიკულ კრებულში არ შეგვხვებოდა.

ნინოს სვინაქსარული ცხოვრების ამ ორი რედაქციის შედარებიდან ჩანს, რომ XIV საუკუნის ნუსხას ერთი ოთხად განუვრცია „ნინოს ცხოვრების“ უძველესი, XI საუკუნის მოკლე ტექსტი. ამას ადასტურებს მათი ტექსტობრივი მონაცემები. მაგალითად, მოვიყვანოთ მისი ფრაზეოლოგიური შეხვედრის ადგილები:

I რედაქცია (XI ს.)

„ესე ნეტარი ნინო დააღარცთუ დედობრივითა ბუნებითა ფრიად უკანაჲს იყო თავთა მათ მოციქულთაჲსა, არამედ მადლითა და სასწაულითა ღმერთმან სწორ მათდა გამოაჩინა და დავიწყებული ქუეყანაჲ ქართლისაჲ მალითა სიტყუათა მისთა-ითა და ურიცხუთა სასწაულთა აღსრულებითა მოაქცია და სწავლითა თვისითა დაამტკიცა, რომელ მიერთგან და ვიდრე აღსასრულამდეჰგიეს და ნამუშაკვეი თვისი წმიდასა ღმრთის-მშობელს შეჰვედრა“ (**sin-4, 98 გვ**).

II რედაქცია (XIV ს.)

„ხოლო ესე ნეტარი ფრიად უკანას იყო თავთა მათ მოციქულთაჲსა, არამედ მადლითა და სასწაულითა ღმერთმან სწორ მათდა გამოაჩინა და დავიწყებული ქუეყანაჲ ქართლისაჲ მლითა სიტყუათა მისთაითა და ურიცხუთა სასწაულთა მისთა ქმნითა მოაქცია; და მოძღუარებითა თვისითა დაამტკიცა, რომელ მიერთგან ვიდრე აღსასრულამდე ჰგიეს შეუძვრელად მართალსა სარწმუნოებასა ზედა და ნამუშაკვეი თვისი წმიდასა ღმრთის-მშობელისა შეჰვედრა“ (**H-600, 41 v**).

ორივე „სვინაქსარულ ცხოვრებაში“ თითქმის სიტყვა-სიტყვით განმეორებულია ერთი და იგივე. თუ II რედაქციაში მოტანილი მაგალითის დასაწყისში გამოტოვებულია მხოლოდ „დედობრივითა ბუნებითა“, რაც არის I რედაქციის შესაბამის ადგილას, ეს იმიტომ, რომ II რედაქციამ ეს გამოთქმა ცოტა ზემოთ გამოიყენა „დედობრივითა გუამითა“-ს სახით და შემდგენელი აქ, როგორც ჩანს, განმეორებას მოერიდა.

ასეთივე უმნიშვნელო ხასიათისაა შედარებული ადგილების სხვა განსხვავებანიც „არსრულებითა-ქმნითა, სწავლითა-მოდურებითა”, აგრეთვე II რედაქციის ჩანართი: „შეუძვრელად მართალსა სარწმუნოებასა ზედა“.

„სვინაქსარული ცხოვრების“ II რედაქციას წყაროს გავრცობის ორიგინალური მეთოდი აქვს: ის მიჰყვება წყაროს თანმიმდევრობას და მის ზოგად თხრობაში მეტი კონკრეტულობა შეაქვს. მაგალითად, I რედაქცია იწყება ასე:–„ამასვე დღესა მიცვა-ლებაჲმდა ნინო მოციქულისა და ქართველთა განმანათლებელისა, რომელმან ფრიადი მოღვაწეხანი და ურიცხუნი სასწაულნი აღასრულნა“. II რედაქციას „ქართველთა განმანათლებელისა“ გავრცობილი აქვს: –„რომელი მოევლინა ქუეყანასა ქართლისასა და კერპთა მონებისაგან დაბნელებული ერი განათავისუფლა“; ხოლო დანარჩენი ზუსტად არის განმეორებული. შემდეგ II რედაქციის „სვინაქსარულ ცხოვრებაში“ ამ ფრაზის ბოლოსა და I რედაქციის მომდევნო ფრაზის დასაწყის ადგილას ჩართულია საკმაოდ მოზრდილი თხრობა, რაც I რედაქციის „სვინაქსარული ცხოვრების“ „ურიცხუნი სასწაულნი“-ს დაკონკრეტებას წარმოადგენს; აქ ჩამოთვლილია ყველა ის ძირითადი სასწაული, რომლებიც ჩვენთვის ვრცელი ცხოვრების რედაქციიდანაა ცნობილი. ამ სასწაულების აღნიშვნა მათი მხოლოდ დასახელებით ამოიწურება: „და კუალად აღმართება სუეტისა მის ცხოველისა და კუალად მაყუალთა მათ შინა რამდენნი კურნებანი აღასრულნა... და შემუსრნა კერპნი...“ და სხვა.

I რედაქციაში ზემოთ აღნიშნული საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის ფაქტი II რედაქციაში გაცილებით ვრცლადაა წარმოდგენილი.

II რედაქცია, ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, სიტყვა-სიტყვით და მთლიანად იღებს თავის წყაროდან (I რედაქცია) ყველაფერს, რაც კი ამ საკითხთან დაკავშირებითაა ნათქვამი, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება; სხვა წყაროებიდან ამოღებული ცნობებით, ეს დეტალი საკმაოდ გავრცობილია: „წარმოემართა (ე.ი. ღვთისმშობელი) მისდა ხუედრებულსა მას ნაწილსა და თანა წარიყვანა იაკობ მღვდელთ-მოდვარი და იოვანე ღმრთისმეტყველი და დანი იგი, რომელნი მსახურებდეს, და წარვიდა და ვლო გზასა და, ვითარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა, ვითარმედ: „არა ჯერ-არს განშორებაი შენი იერუსალიმით, არამედ დაჯედ ქალაქსა შინა, ვითარცა დედოფალი ყოველთა, რამეთუ ნაცვალად ჩემისა

შემდგომად შენ იყო მზრუნველ და ნუგეშინის-მცემელ მათდა, რომელნი სახელისა ჩემისათვის ილუაწდენ. და ნაწილისა მის შენდა ხუედრებულისათვის აწ ნუ მჭმუნვარე ხარ, სასურველო დედაო, რამეთუ ყოველნივე დაბადებულნი ჩემნი შენდა შევედრებულ არიან და ნათესავისა მისთვის მე ვიზრუნო და არა უგულებელს ვყო. ამისთვის დედაკაცისაგან ინება მოქცევაი მისი”(H-600, 42 გვ).

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ II რედაქცია ამ საკითხში ზოგადად არსენის მეტაფრასტული ცხოვრებიდან ამოდის, მაგრამ გარკვეული დეტალებით წყაროსაგან განსხვავდება და, როგორც ჩანს, დამატებითი წყაროებიც აქვს გამოყენებული. არსენისეულ ნინოს ცხოვრებაში დაწვრილებითაა ლაპარაკი „წილხვდომილების“ შესახებ, ოღონდ ზოგიერთი დეტალი განსხვავებულია. ჯერ აღნიშნულია, რომ „წილგდების“ შედეგად იოვანეს ხვდა „კერძოფესოსიანა, ქუეყანაჲ ასიისაჲ“, მაგრამ იგი ყოყმანობდა წასვლას, რადგან არ შეეძლო ღვთისმშობლის მარტო დატოვება, ამიტომ ღვთისმშობელმა გამოთქვა სურვილი მასთან ერთად სამისიონერო მოგზაურობაში წასვლისა; „და წარემართა მის თანა სვლად და ქადაგებად და მაგდანელი მარიამ და სხუანი მენელსაცხებელნი მათ თანა“. სამი დღის სიარულის შემდეგ მათ გამოეცხადათ ქრისტე და სთხოვა ღვთისმშობელს იერუსალიმში დაბრუნება.¹⁰

საფიქრებელია, რომ „სვინაქსარულმა ცხოვრებამ“ ისარგებლა არსენისეული ცხოვრების იმ ადგილით, სადაც ლაპარაკია ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის ერთად სამისიონერო მიზნებით იერუსალიმიდან წამოსვლაზე, მაგრამ თხრობაში დამატებითი დეტალებიც შეიტანა. მაგალითად, არსენისეულ „მეტაფრასტულ ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ მათ ქრისტე გამოეცხადათ სამი დღის სიარულის შემდეგ, „სვინაქსარულ ცხოვრებაში“ კი მითითებულია გეოგრაფიული პუნქტი: –„და წარვიდა და ვლო გზასა და, ვითარცა მიიწია იოპედ, გამოეცხადა მას უფალი და ჰრქუა“... (H-600, 42 გ). საიდან გაჩნდა აქ ეს სახელწოდება, რადგან საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებით ეს გეოგრაფიული სახელი არც ერთ წყაროში არ იხსენიება?

¹⁰ „ნინოს ცხოვრების არსენისეული რედაქცია“, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ქ. ქურციკიძემ.

ექვგარეშეა, რომ „სვინაქსარული ცხოვრების“ ავტორს გამოყენებული აქვს აპოკრიფული ძეგლი: „საქმენი და სწავლანი იოვანესნი“¹¹, რომელშიაც იოვანენათლისმცემელთან დაკავშირებით, როდესაც იგი თავის ხვედრებულ ქვეყანაში ქრისტეს სარწმუნოების ქადაგებისათვის გაემართა, ნათქვამია: „და შთავედით ჩვენ იერუსალემით იოჰედ, რაითა შევიდეთ ნავსა და წარვიდეთ კერძოთა ასიასათა“.¹² როგორც ჩანს, არსენისეული ნინოს ცხოვრების ზემოთ მოტანილ ეპიზოდს სვინაქსარული ცხოვრების ავტორმა ღვთისმშობლისა და იოვანეს იოჰედ ჩასვლის დეტალი დაუმატა ხსენებული აპოკრიფიდან, რომელშიაც ღვთისმშობლის შესახებ ამ ამბებთან დაკავშირებით არაფერი არ არის ნათქვამი.

განსხვავებულია ამ ორი ძეგლის ცნობები ღვთისმშობლის თანამოგზაურთა შესახებაც. „მეტაფრასტული ცხოვრებით“: „წარემართა მის თანა სვლად და ქადაგებად, და მაგდანელი მარიამ და სხუანი მენელსაცხებელნი მათ თანა“. სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციაშიც იხსენებია „დანი იგი, რომელნი მსახურებდეს“, მაგრამ მათ გარდა სვინაქსარული ცხოვრებით ღვთისმშობლისა და იოვანე ნათლისმცემლის თანამოგზაური ყოფილა იაკობ მღვდელთ-მოდღვარი: „წარმოემართა მისდა ხუედრებულსა მას ნაწილსა და თანა-წარიყვანა იაკობ მღვდელთ-მოდღუარი და იოვანე ღმრის-მეტყუელი და დანი იგი, რომელნი მსახურებდეს” (H -600,42 გვ). ვინ უნდა იყოს ეს იაკობ მღვდელთ-მოდღუარი? ეს არ უნდა იყოს იაკობ მოციქული, იერუსალიმის პირველი ეპისკოპოსი, რადგან ის ყოველთვის მოიხსენიება როგორც „იაკობ ძმა უფლისა“.

შესაძლებელია, სვინაქსარული ცხოვრების ავტორს ანაქრონიზმი მოსვლოდეს და ის იაკობ მღვდელი, რომელიც ნინოს ცხოვრების რედაქციებში ნინოს მოღვაწეობასთან დაკავშირებით იხსენიება („წარვიდა ნეტარი ესე (ე.ი.ნინო) და თანა წარიყვანა იაკობ მღვდელი და მთავარდიაკონი...“), ღვთისმშობლის თანამგზავრად ექცია, თუმცა ასეთი აღრევა ძნელი დასაჯერებელია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციაში მოტანილი ქრისტეს ვრცელი მიმართვა ღვთისმშობლისადმი, „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასტული რედაქციის შესაბამისი ადგილის თავისებური გადაკეთება უნდა იყოს.

¹¹ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ. გამოსცა ც. ქურციკიძემ, 1959, გვ.55-91;

¹²ქართული ვერსიები აპოკრიფებისა მოციქულთა შესახებ. გამოსცა ც. ქურციკიძემ, 1959, გვ.56

ამრიგად, „ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ II რედაქცია ძირითადად ქარგად „ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ უძველეს, მოკლე რედაქციას იღებს, ხოლო წყაროში მოცემული შეკუმშული დეტალების გასავრცობად, სხვა წყაროებს იყენებს. ამ რიგის წყაროებიდან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია არსენისეული „ნინოს მეტაფრასტული ცხოვრება“, საიდანაც აღებულია საქართველოს ღვთისმშობლის წილხვდომილობის ეპიზოდი და აპოკრიფული თხზულება– „საქმენი და სწავლანი იოვანესნი“, საიდანაც უნდა იყოს აღებული გეოგრაფიული ადგილის სახელწოდება „იოპე“ (ანტიოქიის მახლობლად). ამრიგად, „ნინოს ცხოვრების“ ეს რედაქცია რამდენიმე წყაროს გამოყენების კარგ ნიმუშს იძლევა.

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ III რედაქცია XVII-XVIII საუკუნეების ერთადერთი ნუსხით არის ცნობილი. ის შეტანილია A-1582 გულანის სვინაქსარულ ნაწილში. უმეტესი ნაწილი აქ თხრობას დათმობილი აქვს ნინოს მშობლებისა და მისი იერუსალიმში ცხოვრების შესახებ. აქ აღნიშნულია, რომ „ესე წმიდაჲ იყო მამით კაზადუკიელი და დედით კოლასელი“.

ეს დასკვნები ვრცელ ცხოვრებაზე დაკვირვების შედეგადაა მიღებული, რადგან კონკრეტულად ნინოს მშობლების სადაურობაზე ვრცელ ცხოვრებათა რედაქციებს არ აქვთ ხაზი გასმული.

გადაჭრით იმის მტკიცება, თუ ვრცელი ცხოვრების რომელი რედაქცია უდევს საფუძვლად ამ „ნინოს სვინაქსარულ ცხოვრებას“, ძნელია, რადგან ვრცელი ცხოვრების რედაქციები ფრაზეოლოგიურად დიდ ნათესაობას იჩენენ ერთმანეთთან, ხოლო მეორე მხრით „სვინაქსარული ცხოვრების“ ეს მოკლე რედაქცია პერიფრაზულია. მიუხედავად ამისა, საფიქრებელია, რომ შეიძლება მისი წყაროების დადგენა; ამ „ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ შესაძლებელი წყაროებიდან უნდა გამოირიცხოს არსენისეული მეტაფრასტული და შემოკლებული ცხოვრების რედაქციები, რადგან მასში დადასტურებულია ლექსიკური ერთეულები „*მიროფორი*“, „*ხალენი ელიასი*“, აგრეთვე ნინოს დედის კოლასელობა და ზოგიერთი სხვა დეტალი აღნიშნულ ცხოვრებათა შესაბამის ადგილას არ ჩანს.

არ შეიძლება წყარო ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულების მიჩნევაც, რადგან ამ თხზულებაში ნინოს შესახებ თხრობა მხოლოდ მისი საქართველოში შემოსვლის შემდეგ იწყება. ამრიგად, ნინოს სვინაქსარული ცხოვრების მესამე რედაქცია უნდა

ეყრდნობოდეს ან „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ან ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ რედაქციას. მართლაც საფიქრებელია, რომ წყარო ლეონტისეული თხზულება უნდა იყოს. ამას გვაფიქრებინებს შემდეგი ადგილი:

„სვინაქსარული ცხოვრება“ (III)

„მშობელთა მისთა განყიდეს ყოველნი მონაგები მათი და განუყვეს გლახაკთა“ (A-1582, 451 v).

ლეონტი მროველის რედაქცია

„განყიდეს მშობელთა მისთა ყოველივე, რაიცა აქუნდა, წარვიდეს იერუსალიმად და განუყვეს კლახაკთა“ (ქართლის ცხოვრება. 1995, გვ.76).

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“

„მშობელთა ჩემთა განყიდეს ყოველი, რაიცა აქუნდა, და წარვიდეს იერუსალიმად“.

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ ეს რედაქცია აღნიშნავს ნინოს საქართველოში მისვლის თარიღსაც – „დასაბამითგან წელთა ხუთი ათას რვაას ორმოცდა მეთესა (350-342 წ.) და ამაღლებისა ქრისტესისა სამას ოცდა მერვესა წელსა“ (328 ე.ი.ქრისტეს შობიდა 361). ეს თარიღები, როგორც ვხედავთ, არ ეთანხმებიან არც ერთმანეთს და არც ვრცელი ცხოვრების თარიღებს (ჭელიშურით 352წ.,მატბერდულით – 352 და 358 წლები (კ.კეკელიძე, ქართ.ლიტერ.ისტ. I, გვ.498), როგორც ვხედავთ, თარიღები აქაც ისე არეულ დარეულია, როგორ ნინოს ცხოვრების სხვა რედაქციებში.

„ნინოს ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციებიდან ყველაზე ვრცელი, მაგრამ გვიანდელი არის ის რედაქცია, რომელიც A-425 სადღესასწაულოში შეუტანიათ. როგორც სხვა ქართველ მოღვაწეთა სვინაქსარულ ცხოვრებათა დიდი ნაწილი, რომელიც ამ სადღესასწაულოშია შეტანილი, „ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ ეს რედაქციაც სპეციალურად ამ კრებულისათვის უნდა იყოს შედგენილი. აქედან ის გადაუტანიათ A-220 სვინაქსარულ კრებულშიც. ამ „ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ მხოლოდ დასახელებული ორი ნუსხაა ცნობილი.

„ნინოს სვინაქსარული ცხოვრების“ ეს რედაქცია ნინოს შესახებ შექმნილ თხზულებებთან შედარებით არაფერს ახლავს და განსხვავებულს არ იძლევა, მაგრამ საინტერესოა იმით, რომ მისი წყარო არის „ნინოს ცხოვრების“ არა რომელიმე ვრცელი

რედაქცია, არამედ ნიკოლოზ გულაბერისძის (XII საუკუნის II ნახევარი) თხზულება „საკითხავნი „სუეტის ცხოველისანი კუართისა საუფლოდასა და კათოლიკე ეკლესიისა“¹³. ეს თხზულება, როგორც ცნობილია, მარტოდენ ნინოს ბიოგრაფიის გადმოცემის მიზნით არ დაწერილა. ნინოს ცხოვრების ეპიზოდები მოთხრობილია უმთავრეს მიზანთან დაკავშირებით – ახსნილიყო საქართველოში მისიონერად ქალის მოვლინების მიზეზები.

„სვინაქსარული ცხოვრების“ ეს რედაქცია თხრობას ნინოს მცხეთაში მოსვლიდან იწყებს, ისევე, როგორც მისი წყარო – ნიკოლოზ გულაბერისძის თხზულება, თუმცა წყაროში ორიოდ სიტყვით ნახსენებია ნინოს ჯავახეთში შემოსვლა. ერთი სიტყვით, არც წყარო და არც მასზე დამყარებული **„სვინაქსარული ცხოვრება“** არაფერს არ ამბობენ ნინოს იერუსალიმში ცხოვრების შესახებ. **„სვინაქსარული ცხოვრება“** ნინოს ქართლში მოსვლისა და იქ დამკვიდრებული კერპთაყვანისმცემლობის მოკლედ აღწერის შემდეგ გადმოგვცემს ნინოს კერპების დამსხვრევის ეპიზოდს, რაც თითქმის სიტყვა-სიტყვითაა აღებული ნიკოლოზის თხზულებიდან:

„სვინაქსარული ცხოვრება“

„და იყვნენ კერპნი არმაზისნი კაცი სპილენძისა და ტანსა ეცუა ჯაჭვი ოქროსა და ჩაბალახი მყარი თავსა მისსა. თუალნი ეყარნეს ერთი ზურმუხტისა და მეორე ბივრითი და ხელთა ეპყრა ხრმალი ბრწყინვალე და იქცევდა ხელთა შინა თვისთა“ (A-425).

მროველის რედაქცია

„ვითარცა მიხედნა, იხილა რა დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტანსა ეცუა ჯაჭვი ოქროსა და ყაბალახი მყარი თავსა მისსა, თუალნი ეყარნეს ერთი ზურმუხტისა და მეორე ბივრითი და ხელთა ეპყრა ხრმალი ბრწყინვალე, ვითარცა ელვა და იქცევდა ხელთა შინა თვისსა“. (საქ.სამოთხე, გვ.73).

სვინაქსარული ცხოვრების აღნიშნული ეპიზოდი, რომელიც თითქმის მთელი **„სვინაქსარული ცხოვრების“** ერთ მესამედს შეადგენს, აღებულია ნიკოლოზის თხზულებიდან თითქმის მთელი მოცულობით და ფრაზეოლოგიით, სამაგიეროდ დანარჩენ ნაწილში კი ის ადგილ-ადგილ გამოწკრივებს გვაძლევს, შემდეგ კი მოკლე

¹³ ეს თხზულება ნინოს ცხოვრების დეტალების გადმოცემაში მთლიანად ლეონტი მროველის შრომას ეყრდნობა, (საქართველოს სამოთხე, გვ.73)

პერიფრაზედაც გადადის; ეს უმთავრესად შეეხება ნინოს მიერ ჩადენილი სასწაულების აღწერას, რაც „სვინაქსარულ ცხოვრებაში“ თითქმის მარტოოდენ ფაქტის აღნიშვნით ამოიწურება.

უფრო ფართოდაა წარმოდგენილი სვინაქსარული ცხოვრების ბოლო ეპიზოდი – მირიან მეფის „მოქცევა“ მზის დაბნელების სასწაულის შედეგად, რაც სვინაქსარულ ცხოვრებას წყაროდან გადმოუღია ადგილების გამოკრებითა და ზოგჯერ თავისუფალი თხრობით.

„სვინაქსარული ცხოვრების“ IV რედაქცია ქართლის მოქცევის თარიღებსაც იძლევა: „განათლდა ყოველი ქუეყანა ქართლმსა და (კახეთისა A-220) დასაბამითგან სოფლისა ხუთი ათას რვაას ოცდათვრამეტსა“ (ე.ი. 330 ან 338 წლები) და ქრისტეს ამალღებითგან სამასთორმეტსა“ (A-425,334 გვ). ისევე, როგორც სხვა წყაროებში („ნინოს ვრცელ და სვინაქსარულ ცხოვრებათა“ რედაქციებში), ეს თარიღები ერთმანეთთან შეუთანხმებელია.

ნინოს ცხოვრების პირველ სვინაქსარულ რედაქციაში წმ. ნინოს ღვაწლი წარმოჩენილია ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და მოციქულთა ქადაგების კონტექსტში. უფრო ვრცელია მეორე სვინაქსარული რედაქცია, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება.

ძირითადი დასკვნები

„ნინოს ცხოვრება“ ძალზე საინტერესოდ და ორიგინალურად გაიაზრებს და გადმოსცემს ქართული კულტურის ისტორიის ისეთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, როგორცაა ქართლის მოქცევა, ანუ გაქრისტიანება. ქართლის სამეფოს, როგორც სასულიერო, ისე საერო სფეროს მესვეურებს შესანიშნავად ჰქონდათ გაცნობიერებული და ღრმად გააზრებული ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიღების, როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიურ-კულტურული არსი და მნიშვნელობა. ამის მტკიცე საბუთი კი ქართლის მოქცევის შესახებ შექმნილი თხზულებაა თავად. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც გაქრისტიანება თავისი არსით გაცნობიერებული და გააზრებული ნაბიჯია ერის ისტორიაში.

საქართველოერთ-ერთიპირველიქვეყანაა, რომელმაც IV საუკუნის 20-იანწლებშიქრისტიანობასახელმწიფორელიგიადადიარა და ეს ფაქტი უპირობოდ უკავშირდება ქართველთა განმანათლებლის – წმიდა ნინოს სახელს.

წმიდანინოსდამსახურებამაშინდგომარეობს, რომმისიქართლშიშემოსვლისდროსქრისტიანობასახელმწიფოსარწმუნოებადგამოცხადდა.

მისიქადაგებისშედეგადსამეფოკარისწევრებთანერთადმთელიერიმოექცაახალსარწმუნოებაზე. ამისგამოითვლებაიგიქართველთაგანმანათლებლადდამოციქულთა სწორად.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია წმიდა ნინოს ქართველთა განმანათლებლად და მოციქულთა სწორად მიიჩნევს. ქართული წყაროები მას „ქართლის მაცხოვრად“ და „დედად ქართველთა თემისაჲს“ უწოდებს.

საქართველოს ეკლესია ქართველთა განმანათლებლის დღეს წელიწადში ორჯერ აღნიშნავს: პირველ ივნისს, მისი საქართველოში შემოსვლისა, ხოლო ოცდაშვიდ იანვარს – წმიდა ნინოს მიცვალებისა.

ყოველი ახალი ეპოქა ახლებურად გადაიაზრებდა წმიდა ნინოს ღვაწლს, და, შესაბამისად, იქმნებოდა „ნინოს ცხოვრების“ ახალ-ახალი რედაქციები, რომლებიც თავისებურად პასუხობდნენ სხვადასხვა ეპოქის მოთხოვნილებას. ქართველთაგანმანათლებლის, წმიდანინოსადმიმიძღვნილიწერილობითიწყაროებიმრავალმხრივიდამრავალფეროვანია. მათიმრავალმხრივობაიმიოთავანპირობებული,

რომქართულიწერილობითიწყაროებისგარდა, მისშესახებცნობებიდაცულიაადრეულიხანისუცხოურწერილობითწყაროებში. თავისმხრივ, ქართულიწყაროებისმრავალფეროვნებაიმაშიგამოიხატება, რომჩვენამდემოადღწიაქართველიგანმანათლებლი-სადმიმიძღვნილმაჰაგიოგრაფიულითხზულებისრამდენიმერედაქციამ, რომელიცსხვადასხვასაუკუნითთარიღდება.

„ნინოს ცხოვრების“ რედაქციებს შორის მიმართებები ასე შეიძლება წარმოვადგინოთ:

1. უძველესი რედაციები „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტშია თავმოყრილი:

ა) მოკლე „ნინოს ცხოვრება“, რომელშიც, თავის მხრივ, ნახსენებია გრიგოლ არქედიაკონის უფრო ადრეული „მოკლე ქართლის მოქცევის“ წიგნი;

ბ) ვრცელი „ნინოს ცხოვრება“, ძირითადად, წმ. ნინოს მონათხრობს ემყარება და წარმოადგენს წმ. ნინოს თანამედროვე მოღვაწეების – სიღონიას, აბიათარ მღვდლის, პეროჟავრი სივნიელის, სალომე უჯარმელის, იაკობ მღვდლის, სუჯი დედოფლისა და მირიან მეფის თხზულებათა (მოგონებათა) კრებულს.

2. ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრება“ ემყარება „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ შემავალ ორივე ტექსტს – „ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციას „ქართლის ცხოვრების“ შემდეგნელი ქრონოლოგიური პარადიგმის ფუნქციას აკისრებს და სატანადო ადგილებში შეაქვს ჩანართები ვრცელი „ნინოს ცხოვრებიდან“.

3. არსენ იყალთოელის „ნინოს ცხოვრება“ ქართველთა განმანათლებელი ქალწულისადმი მიძღვნილი პირველი მეტაფრასული თხზულებაა, რომელშიც გასწორებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ და ლეონტი მროველის „ნინოს ცხოვრების“ ძირითადი ნაკლი (რაზეც ავტორი თავად მიუთითებს) – თხრობის ქრონოლოგიური სწორხაზობრიობის უქონლობა. გარდა ამისა, არსენი ტექსტს ამდიდრებს ქართლის მოქცევისადმი მიძღვნილი სხვა თხზულებების ცნობებით.

4. ნიკოლოზ გულაბერისძის „საკითხავი“ ჰომილეთიკური თხზულებაა, რომელშიც დასმულია თამარის ეპოქის საქართველოს საზოგადოებრივი აზრისთვის ნიშანდობლივი საკითხები, როგორცაა: ქალის მოციქულობა და გამეფება, საქართველოში დაუნჯებული ქრისტიანული სიწმინდეები და მათგან მომდინარე სასწაულები. შესაბამისად, ნაწარმოებში აღწერილ სასწაულებს, რომელთა ნაწილიც

სრულიად უცხოა „ნინოს ცხოვრების“ სხვა რედაქციებისთვის, კონცენტრირებულია სამი სიწმინდის – სვეტი-ცხოველის, საუფლო კვართის და ჯვარი პატიოსანის გარშემო.

5. „ნინოს ცხოვრების“ პერიფრაზი წარმოადგენს არსენ იყალთოელისული ტექსტის შემოკლებულ ვერსიას.

6. ნინოს ცხოვრების პირველ სვინაქსარულ რედაქციაში წმ. ნინოს ღვაწლი წარმოჩენილია ღვთისმშობლის წილხვდომილობისა და მოციქულთა ქადაგების კონტექსტში. უფრო ვრცელია მეორე სვინაქსარული რედაქცია, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება.

განხილული ძეგლების მიზანია წარმოჩნდეს წმიდა ნინოს მოციქულებრივი ღვაწლი და ქართლის მოქცევის მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.ახალი აღთქუმა, თბ.1995.
- 2.აბულაძე 1963: აბულაძე ილ., „სვინაქსარული რედაქციები“, თბ;
- 3.აბულაძე 1963: აბულაძე ი. „ძველი ქართული აგიოგრაფიულ-ლიტერატურული ძეგლები“, თბ.
4. ალექსიძე 1984: ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ტ. 7, თბ.
- 5.ალექსიძე 2007: ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, თბ.
6. ალექსანდერი 1998: ალექსანდერი პ. „ბიბლიისენციკლოპედია“, თბ;
- 7.არსენბერი 1902: „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, შედგენილი დიდის არსენ ქართლისა კათალიკოზის მიერ, X საუკუნეში, XI-XII საუკუნეების ხელნაწერიდგან. დაბეჭდილი მღ. პ. კარბელაშვილის რედაქციით და ბოლოთქმით, თბ;
- 8.ალექსიძე 2007: ალექსიძე ზ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“. თბ;
- 9.ზაქარაძე 1889: ზაქარაძე დ., „ისტორია საქართველოსი“, თბ.
- 10.ზეზარაშვილი 2004: ზეზარაშვილი კ. რიტორიკისა და თარგმანის თეორია და პრაქტიკა. თბ;
11. ზულმაისიმისძე 1976: კათალიკოზი ზულმაისიმისძე ა., გალობანი წმიდისა ნინოსის; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ;
- 12.გიორგაძე 1985: გიორგაძე გრ., „ხეთურ-არმაზული „ტრიადები“, „მნათობი“, N 7;
- 13.გიგინეიშვილი, გიუნაშვილი 1979: გიგინეიშვილი ზ., გიუნაშვილი ელ., „შატბერდის კრებული“, თბ.
- 14.გიგინეიშვილი 1988: გიგინეიშვილი ბ. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქრონოლოგია“, „მნათობი“, N 8, თბ;
- 15.გიუნაშვილი, გოილაძე 2009: გიუნაშვილი ელ., გოილაძე ვ., „ქართლის მოქცევა“, თბ.
- 16.გოგოლაძე 1998: გოგოლაძე მ., „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შედგენილობა, წყაროები და დათარიღება, გამომცემლობა „საქართველო“, # 3, თბ.
- 17.გოილაძე 1991: გოილაძე ვ., „წმიდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისათვის“, გამომცემლობა „მნათობი“ 2, თბ;
18. გოგიტიძე 1997: გოგიტიძე ს., „მირიან მეფე და ქართლის მოქცევა“, ბათ.
- 19.გოილაძე 2003: გოილაძე ვ., „პირველი ქართული საეკლესიო თხზულება“, გამომცემლობა „მნათობი“, #5-6, თბ;
- 20.გრიგოლია 1975: გრიგოლია კ., არენბერი, ქ. ს. ე. ტ. 1;
- 21.ენციკლოპედია 1991: ბიბლიისენციკლოპედია. ტ. II, თბ.
- 22.თაყაიშვილი 1890: თაყაიშვილი ე., „სამი ისტორიული ქრონიკა“, თბ;
- 23.ინგოროყვა 1978: ინგოროყვა პ., „თხზულებანი“, ტ. IV, თბ;
24. ინგოროყვა 1939: ინგოროყვა პ., „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, გამომცემლობა „მნათობი“, N 4;
- 25.ინგოროყვა 1939: ინგოროყვა პ., „ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, „მნათობი“, N 4.
- 26.იყალთოელი 1978: იყალთოელი ა., ცხოვრება და მოქალაქეობა ნინოსი; ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, თბ;
- 27.კაკაბაძე 1924: კაკაბაძე ს., „მოქცევაჲ ქართლისაჲ, საისტორიო ძიებანი“, თბ.
- 28.კეკელიძე 1980: კეკელიძე კ., „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“, ტ. I, თბ.

29. კეკელიძე 1951: კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია. ტ. I, თბ.
30. კეკელიძე 1960: კეკელიძე კ., „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I, თბ.
31. კეკელიძე 1957: კეკელიძე ვ. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. IV ტ., თბ;
32. კობლატაძე 2012: კობლატაძე გ., ქრისტიანული ეკლესიის ისტორია, თბ.
33. კუჭუხიძე 1999: კუჭუხიძე გ., კიდევ ერთხელ „წმიდა ნინოს ცხოვრების“ დათარიღებისათვის, ლიტერატურული მიეზანი, XX, თბ;
34. ლოლაშვილი 1978: ლოლაშვილი ი., „არსენ იყალთოელი“, გამომცემლობა „მეცნიერება“. თბ.
35. ლოლაშვილი 1984: ლოლაშვილი ივ., „ნინოს ცხოვრების რედაქციები“, ქ. ს. ე., ტ. 7, თბ;
36. ლორთქიფანიძე 1966: ლორთქიფანიძე მ., „ადრეფეოდალური ხანის ქართული საისტორიო მწერლობა“, თბ;
37. ლოცვანი 2004: ფსალმუნნი და ლოცვანი. თბ.: „აკრიანი“;
38. ლექსიკონი - ცნობარი I, 1984: ქართული მწერლობა ლექსიკონი-ცნობარი. წიგნი I, თბ.: „განათლება“;
39. მელიქიშვილი დ. 1996: ჟურნ. „გელათის“ სალიტერატურო სკოლის ენობრივი სტილის ერთიანობისა და ინდივიდუალურობის საკითხისათვის. ჟურნ. „გელათის“ მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი, № 2.
40. მელიქიშვილი 1999: მელიქიშვილი დ., ძველი ქართული ფილოსოფიურ-თეოლოგიური ტერმინოლოგიის ისტორიიდან. „ლოგოსი“, თბ;
41. მეტრეველი 1998: მეტრეველი რ., ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი. თბ;
42. მეტრეველი 2000: მეტრეველი რ., საქართველოს კათალიკოს პატრიარქები. თბ.: ნეკერი;
43. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ 2007: , სინური ხელნაწერი, თბ;
44. მროველი 1987: მროველი ლ., ცხოვრება მეფეთა, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ.
45. ნიჟარაძე 1962: ნიჟარაძე ბ., სვანური მითები. ტ. I., თბ;
46. ორბელიანი 1991: ორბელიანი ს., „სიტყვის კონა“, II ტ., თბ;
47. ოქროპირიძე 2009: ოქროპირიძე ა., ვაზი – სიცოცხლის ხე, ჟურნალი „სპექტრი“;
48. პატარიძე 1993: პატარიძე ლ., „ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსის“ (ქართლის გაქრისტიანების კულტურულ-ისტორიული საკითხები“, თბ;
49. საბინინი 1882: საბინინი მ., საქართველოს სამოთხე. ნიკოლოზ გულაბერისძის „სვეტიცხოვლის საკითხავი“;
50. საბინინი: საბინინი მ., ცხოვრება წმინდისა ნანასი, საქართველოს სამოთხე, პეტერბურგი.
51. სალუაშვილი 2010: სალუაშვილი მ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რედაქციების
52. სალუაშვილი 2010: სალუაშვილი მ., „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს რედაქციების პარალელური ტექსტები, თბ.
53. სალუაშვილი 2010: სალუაშვილი ს., „ქართლის მოქცევის თარიღთან დაკავშირებული საისტორიო მიეზები“, თბ;
54. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, ტ. II, თბ. 1973;
55. სირაძე 1987: სირაძე რ., ქართული აგიოგრაფია. თბ.: „ნაკადული“;
56. სირაძე 1992: სირაძე რ., ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა. თბ;
57. სირაძე 1989: სირაძე რ., „ნინოს ცხოვრება“ და დასაწყისი ქართული მწერლობისა, გამომცემლობა „განთიადი“, N 3

58. სირაძე 2008: სირაძე რ., სამეცნიერო კრებული, „წმიდა ნინო“, თბ;
59. სულავა 2004: სულავა ნ., ტერმინის „საზეპუროერი“ ინტერპრეტაციისთვის. ჟურნ. „ლიტერატურა დახელოვნება“, № I, თბ;
60. ტუსკია 2009: ტუსკია მ., სამეცნიერო კრებული, ტ. I, თბ.
61. უცნობი ავტორი 1981: ქართული პროზა, ტ. I, თბ;
62. ქადაგიძე 2001: ქადაგიძე., თამარ მეფის დროინდელი მატიანე. თბ;
63. ქავთარია 2015: ქავთარია მ., „წმიდა ნინო ემბაზი ქართლისა“, თბ.
64. „ქართლის ცხოვრება“ 1955: „ქართლის ცხოვრება“. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით. ტ. I, თბ.: სახელგამი;
65. ქურციკიძე 1984: ქურციკიძე ც., „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტის და ენის საკითხები, ფილოლოგიური ძიებანი, I, თბ;
66. ყაუხჩიშვილი 1926: ყაუხჩიშვილი ს., „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“, თბ;
67. ყუბანეიშვილი 1945: ყუბანეიშვილი სოლ., „გრიგოლ დიაკონი და მისი თხზულება“, ლიტერატურული ძიებანი, II, თბ;
68. ყაუხჩიშვილი 1926: ყაუხჩიშვილი ს., „გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ“, თბ;
69. ყუბანეიშვილი 1946: ყუბანეიშვილი ს., „ცხოვრება და მოქალაქეობა ღირსისა და მოციქულთაწორისა ნეტარისა ნინოდისი“, „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, ტ. I, თბ;
70. ჩხაიძე 2013: ჩხაიძე მ., „ცხოვრება წმიდა ნინოდისი“, თბ;
71. ჩხარტიშვილი 1987: ჩხარტიშვილი მ., „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის ატრიბუცია, გამომცემლობა „მნათობი“;
72. ჩხარტიშვილი 1987: ჩხარტიშვილი მ., „ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხოვრება წმიდისანი ნინოდისი“ თბ.
73. ჩხარტიშვილი 2007: ჩხარტიშვილი მ., ჰიეროტოპია „წმიდა ნინოს ცხოვრებაში“. ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. მასალები;
74. ცხადაძე. 1960: ცხადაძე ქ. უცნ. ავტორის „ნინოს ცხოვრება“. კ. კეკელიძე. თბ;
75. წულაია 1979: წულაია ვ., გამომცემლობა „მაცნე“, ისტორიის სერია, N 3;
76. ხელაია 1909: ხელაია ა., „ძველი საქართველო“, I, თბ;
77. ჯავახიშვილი 1977: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი, ტ. 8, თბ.
78. ჯავახიშვილი 1998: ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. XI, თბ.
79. ჯავახიშვილი II, 1983: ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია. II, თბ;
80. ჯაფარიძე 1996: ჯაფარიძე ანანია, მთავარეპისკოპოსი, „საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია“, ტ. I, თბ.